DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Licheli, Vakhtang (ed.)
- Title: Pipeline Archeology II / მილსადენის არქეოლოგია II
- Publication Date: 1999
- Publisher: Georgian Academy of Sciences; Archeological Research center; Georgian Pipeline Company.
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_c65ec45a93

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

IV E
5087(1)

მილსადენის არქეოლოგია



PIPELINE ARCHAEOLOGY

IVE
5087

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences

2284/

მილსადენის არქეოლოგია

PIPELINE ARCHAEOLOGY

საქართველოს მილსადენის კომპანია
Georgian Pipeline Company

ბიბლიოთეკა

ტომი I
Vol. I

თბილისი 1999 Tbilisi

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
ა 68

რედაქტორი: ვ. ლიჩელი, ი.მ.დ.

Edited by V. LICHELI

რეცენზენტები: ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი
დ. მუსხელიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი

სარედაქციო კოლეგია: ოთ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე)
გ. კვირკველია
გ. ნარიმანიშვილი

Editorial board: O. LORDKIPANIDZE (Chairman)
O. JAPARIDZE
G. KVIRKVELIA
D. MUSKHELISHVILI
G. NARIMANISHVILI

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 1999
© Centre for Archaeological Studies. 1999

შინაარსი
Contest

ვ. ლიჩელი. მილსადენის მშენებლობა და არქეოლოგია 5
V. Licheli. Pipeline Construction and Archaeology 7
რ. ნორმანი. სმკ და აკც – ახალი ურთიერთობანი 9
R. Norman. GPS and CAS – New Relations 10
გ. ჭანტურია. უმთავრესი საზრუნავი 11
G. Tchanturia. Main Priorities 12
ოთ. ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და თანამედროვეობა 13
O. Lordkipanidze. Archaeology, Present and Future 15
ც. ჩიკოიძე, გ. მინდიაშვილი, მ. ჩხატარაშვილი, ნ. პაჭიკაშვილი. კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში 17
Ts. Chikoidze, G. Mindiashvili, M. Chkhatarashvili, N. Pachikashvili. Archaeological Works Along Gardabani New-Lay Section 25
გ. ფხაკაძე. ლოჭინის ხევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები 27
G. Pkhakadze. Report on the Results of the Lochini Archaeological Expedition 30
ა. აფაქიძე, გ. ყიფიანი, ვ. ნიკოლაიშვილი. ნარეკვავის ახლადაღმოჩენილი სამაროვანი 32
A. Apakidze, G. Kipiani, V. Nikolaishvili. Recently Discovered Semetery in Narekvavi (Mtskheta) 37
ნ. მირიანაშვილი. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია 39
N. Mirianashvili. Nastakisi Archaeological Expedtion 50
ალ. რამიშვილი. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები ფლევის ნავთობსადენი სადგურის მშენებლობისას 55
A. Ramishvili. Archaeological Findings During Oil Pump Station Construction in Didi Plevi (Khashuri District) 65
თ. მეშველიანი, რ. პაპუაშვილი, ე. ქორიძე, მ. ჯალაბაძე. გორაძირის არქეოლოგიური გათხრები 71
T. Meshveliani, R. Papuashvili, E. Koridze, M. Jalabadze. Archaeological Expedition at Goradziri 78
ვ. ჯაფარიძე, კ. კალანდაძე, გ. გვინჩიძე. არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობსადენის ტრასაზე აღმოსავლეთ კოლხეთში 82
V. Japaridze, K. Kalandadze, G. Gvinchidze. Archaeological Investigation on the Pipeline Route, Estern Colchis 92
რ. პაპუაშვილი. გულეიკარის არქეოლოგიური ძეგლები 99
R. Papuashvili. Archaeological Monumants of Guleikari 102
ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე, ბ. მურვანიძე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება სუფსის ტერმინალსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. 1997-1998 წწ. 104
V. Sadradze, R. Davlianidze, B. Murvanidze. Archaeological Investigation of Supsa Terminal and Adjasent Area 114

არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობსადენის გასწვრივ

Archaeological Works along GWREP



1. Vaziani	ვაზიანი	7. Korbouli Radio Station	კორბოულის რადიო სადგური
2. Gldani	გლდანი	8. Sviri	სვირი
3. Lochini	ლოჭინი	9. Guleikiri	გულეკირი
4. Mtskheta	მცხეთა	10. Supsa terminal	სუფსის ტერმინალი
5. Ksani Pump Station	ქსნის სატუმბი სადგური	11. Landfall	ზღვის მონაკვეთი
6. Didi Plevi Pump Station	დიდი ფლევის სატუმბი სადგური		

ვახტანგ ლიჩელი

მილსადენის მშენებლობა და არქეოლოგია

1997 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრი აქტიურად ჩაება ნავთობის მილსადენის ე.წ. დასავლეთის მარშრუტის მშენებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ეს განაპირობა საქართველოში მოქმედმა კანონმდებლობამ და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 ივლისის № 397 ბრძანებულებამ „საქართველოში მასშტაბური მშენებლობის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ამ ბრძანებულებით, მშენებლობათა ზონაში არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის დაფინანსება მშენებელ უწყებებს დაეკისრათ, ხოლო კოორდინაცია და ხელმძღვანელობა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

არქეოლოგიურ გათხრებში, გარდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა, მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და მცხეთის ინსტიტუტის ექსპედიციები.

არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა რამოდენიმე მიმართულებით: მილსადენის ახალი მონაკვეთის მშენებლობის ზონაში (დასაწყისში ეს იყო მონაკვეთი აზერბაიჯანის საზღვრიდან სამგორამდე, ანუ, ძირითადად, გარდაბნის რაიონი), ძველი მილსადენის შეკეთების ზოლში (სამგორიდან სოფ. სუფსამდე), სუფსის ტერმინალის მშენებლობის ადგილზე, ტერმინალიდან ზღვაში დაძირვის მონაკვეთამდე, წყალქვეშ (ეს იყო ვიწრო ზოლი, სადაც არქეოლოგიური მასალა არ დადასტურდა, თუმცა ოდნავ მოშორებით, მდ. სუფსის შესართავის ჩრდილო-დასავლეთით სულ მალე, ზღვაში ორი იმპორტული ამფორა აღმოჩნდა), რადიოსადგურის (ს. კორბოული) მშენებლობის მოედანზე.

ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წყალობით განადგურებას გადაურჩა ჩვენი ეროვნული კულტურის სხვადასხვა პერიოდის ათეულობით ძეგლი. ამასთან, ჩვენ მივიღეთ სრულიად ახალი მეცნიერული ინფორმაცია საქართველოს ძველი ისტორიის მრავალ კარდინალურ საკითხზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სუფსის ტერმინალის მიდამოებში ჩატარებული კვლევა, რომელმაც წარმოაჩინა დემოგრაფიული სიტუაცია ძველი ქალაქის, ფაზისის მიდამოებში ძვ.წ. VII-IV სს-ში. საქმე იმაშია, რომ სადღაც ამ ზღვისპირა ზოლში (მდ. სუფსის შესართავიდან ვიდრე ყულევამდე) მდებარეობდა ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი ქ. ფასისი. ცნობებს მისი არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ ვხვდებით არაერთ ძველ ბერძნულ და რომაულ ხელნაწერში (მაგალითად, სკილაქს კარიანდელის, არისტოტელეს, სტრაბონის, პომპონიუს მელას, არიანეს და სხვათა ნაშრომები). მაგრამ ქ. ფასისის მიკვლევა აქამდე არ მოხერხდა. ამდენად მისი შემოგარენის შესწავლას, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აქამდე სრულებით უცნობი საკულტო ძეგლი აღმოჩნდა საჩხერის მახლობლად სოფელ კორბოულში. ამ მიდამოებში ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში ისწავლებოდა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების სამარხები, მაგრამ გორაძირის ბორცვის წვერზე მიკვლეულმა ნაშთებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები შესწავლილია ქართ-

ლში, სოფ. თეზის და ოკამის მიდამოებში ნავთობის სასატუმბი სადგურის მშენებლობის ტერიტორიაზე. მილსადენის გარდაბნის მონაკვეთზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა აქამდე უცნობი ძვ.წ. II-I ათასწლეულების სამარხეული კომპლექსები და მრავალფენიანი ნამოსახლარები.

საზოგადოდ კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და საქართველოს მილსადენის კომპანიას შორის არსებული საქმიანი კონტაქტები, რომლებიც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მზრუნველობის, პირადად კი ბატონ გ. ჭანტურიას მეთვალყურეობის ქვეშ ვითარდებოდა, პირველი დღიდანვე – გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას – უაღრესად კორექტულ ხასიათს ატარებდა. სწორედ ორივე მხარის მუდმივი მზადყოფნა ოპერატიული მოქმედებისათვის იყო ის პირობა, რომელმაც ერთის მხრივ, დაღუპვისაგან იხსნა და წარმოაჩინა ათეულობით მატერიალური კულტურის ძეგლი, ხოლო მეორე მხრივ კი – უზრუნველჰყო მილსადენის შეუფერხებელი მშენებლობა.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი დიდი მადლიერებით აღნიშნავს იმ ღვაწლს, რომელიც არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენის საქმეში შეიტანა საქართველოს მილსადენის კომპანიამ, მისმა ვიცე-პრეზიდენტმა ბატონმა დენის სტიურტმა, განსაკუთრებით ბატონმა მარტინ ლედნორმა (მრჩეველი გარემოს დაცვის საკითხებში), რობინ ნორმანმა (მთავარი მენეჯერი გარემოს დაცვის საკითხებში), აგრეთვე ქალბატონმა მაია თავართქილაძემ (ტექნიკური ასისტენტი) და ბატონმა ზურად თოფურიძემ (საკონტაქტო ასისტენტი გარემოს დაცვის საკითხებში).

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა აკც-სა და სმკ-ს ურთიერთობათა ფორმის შესახებ: არქეოლოგიური ძეგლების კვლევა ხორციელდებოდა ორი გზით – გათხრების საშუალებითა და სამშენებლო სამუშაოთა მეთვალყურეობით. ის არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა შესწავლა არ მოხდა უშუალოდ მილსადენის მშენებლობის დროს, თანახმად ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიისა, დაფიქსირდა არქეოლოგიურ კატალოგში, ეს კი გულისხმობს კიდევ ორ ათეულზე მეტი არქეოლოგიური ძეგლის შესწავლას მილსადენის ექსპლოატაციის პერიოდში. ამდენად, იმედი გვაქვს, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ „მილსადენის არქეოლოგიის“ ამ კრებულს მეორე ტომიც დაემატება.

Vakhtang Licheli

PIPELINE CONSTRUCTION AND ARCHAEOLOGY

The Centre for Archaeological Studies (CAS) has been actively involved in activities related to construction of Western Route Export Pipeline (WREP) since 1997. Participation of the archaeological profession has been conditioned by operating legislation of Georgia and decree No. 397 of the President of Georgia on "Urgent Measures for Protection of Historical-Cultural Monuments of Country Related to Implementation of Large-Scale Construction Projects in Georgia", dated 31/07/1997. According to the decree, investors have to provide funding for studies of archaeological features within construction zones while CAS of the Academy of Sciences of Georgia has to co-ordinate and manage these studies on behalf of the developers.

In addition to CAS, archaeological expeditions from State Museum of the Academy of Sciences of Georgia, Art Museum of Georgia and Mtskheta Institute for Archaeology has participated in archaeological surveys related to WREP construction.

Archaeological works were spread in several directions, namely: new-lay construction zone (from Azerbaijan border to Samgori, i.e. Gardabani district); old pipeline rehabilitation zone (from Samgori to village of Supsa), Supsa Terminal construction site, Terminal - Landfall section, hydroarchaeological survey in the off-shore part (narrow coastal strip where no archaeological material had been identified, though later, two imported amphorae were discovered nearby, north-west of the river Supsa estuary), Radio Station 6 (Korbouli) construction site.

Scores of monuments of our national culture dating from various periods have been rescued thanks to archaeological works undertaken. In addition, absolutely new scientific information has been obtained on a number of key issues of the ancient history of Georgia. In these terms a survey undertaken in the vicinity of Supsa Terminal, casting new light on demographic situation in the Phasis area in 7th-4th centuries B.C. is of particular interest. The case is that one of the largest trading centres of the ancient world - town of Phasis was located somewhere within this coastal zone. Information on the existence and functioning of this city is found in many Greek and Roman manuscripts (e.g. works of Aristotle, Skilax, Strabo, Pomponius Mela, Ariane, etc.) though the precise location of the town has not been determined yet. Therefore, studies of the areas adjacent to possible locations are of particular significance.

Cult monument unknown before has been discovered in the village of Korbouli, near Sachkhere. 8th-7th centuries B.C. tombs were excavated in this area in '60-70s. However, features discovered on Goradziri hilltop have surpressed our most optimistic expectations.

Archaeological features significant in terms of economic history of medieval Georgia have been studied on a pump station construction site in the vicinity of Tezi and Okami in Kartli.

2nd-1st millennium B.C. multi-layer settlements and burial mound complexes unknown before have been identified as a result of archaeological studies undertaken along Gardabani section of the oil pipeline.

Generally, it should be emphasized that business contacts between CAS of the Academy of Sciences of Georgia and GPC established thanks to contribution of GIOC and personal involvement of Mr. G. Chanturia - GIOC President have been particularly rewarding from the very beginning. Due to readiness of both parties for immediate response, scores of monuments of material culture have been revealed and saved from destruction, and pipeline construction schedule has been met.

CAS would like to acknowledge contribution made by GPC, Mr. Dennis Stuart - GPC Vice President, Resident-Manager and in particular, Mr. Martin Lednor - GPC Environmental Advisor, Mrs. Robin Norman - GPC Environmental Manager, as well as Ms. Maia Tavartkiladze - GPC Environmental Department Technical Assistant, and Mr. Zura Topuridze - Environmental Liaison Assistant in rescue of archaeological features.

And finally, the form of relationships between CAS and GPC must be described in more detail: studies of archaeological features have been undertaken in two ways - through excavations and monitoring over construction activities. According to the strategy developed jointly, archaeological features which could not be excavated in the course of pipeline construction have been included into a catalogue of deferred archaeological works. This implies that approximately twenty more archaeological features will be studied during the operational phase of the pipeline. Thus, I hope that another volume will be added to this collection of "Pipeline Archaeology".

რობინ ნორმანი

სმკ და აკც – ახალი შრომითობანი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სმკ ამაყობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის აღიარებით. ბოლო ორი წლის მანძილზე სმკ-სა და საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ამ სიმდიდრის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. რიგი არქეოლოგიური ძეგლისა იქნა შესწავლილი და ამის შედეგად მიღებული მონაცემებით კიდევ უფრო გამდიდრდა მეცნიერული ცოდნა.

სმკ-მ პირველად არქეოლოგიური შესწავლები დაიწყო 1997 წელს ყველა ახალ ასაშენებელ ობიექტზე არქეოლოგიური ნებართვების მიღების მიზნით. სამუშაოების მსვლელობასთან ერთად ბევრ სხვა არქეოლოგიურ გათხრებს ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, არქეოლოგები მოწვეული იყვნენ ყველა სამშენებლო საქმიანობის დროს მონიტორინგის ჩასატარებლად იმ უბნებში, სადაც არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნით მილსადენის ახლოს დაუდგენელი არქეოლოგიური ძეგლების არსებობა იყო ნავარაუდები. სმკ-ს ორასზე მეტი კონტრაქტი აქვს დადებული არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისათვის 1997 წლის დასაწყისიდან 1998 წლის ბოლომდე.

ამ პერიოდის განმავლობაში სმკ-მ და არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს მილსადენის გაყოლებით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლის დეტალური აღწერით, რამაც განაპირობა მილსადენის მშენებლობის განმავლობაში ნებისმიერ არქეოლოგიურ აღმოჩენაზე სწრაფი რეაგირება. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული არქეოლოგიური აღმოჩენები დაფიქსირებულ იქნა მომავალი გათხრებისათვის მშენებლობის შემდგომ. სმკ-მ აიღო ვალდებულება აკც-ს მიმართ მილსადენის ექსპლოატაციის დროს კიდევ ჩაატაროს გათხრები სხვა დაუდგენელი არქეოლოგიური აღმოჩენების მოძიების მიზნით.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სმკ-სა და აკც-ს ერთობლივად ჩატარებული საქმიანობის მოკლე შეჯამებას, რითაც მომავლისათვის დოკუმენტურად დაფიქსირდება აღნიშნული სამუშაო.

მიუხედავად იმისა, რომ მილსადენის მშენებლობა დასრულდა, კვლავ გაგრძელდება არქეოლოგიური საქმიანობა სხვა ძეგლების მოძიების მიზნით. სმკ კვლავ გააგრძელებს არქეოლოგიური საკითხების პრიორიტეტულ დაცვას და ხელს შეუწყობს არქეოლოგიური წრეებისა და საზოგადოებისათვის მოძიებული ძეგლების ჩვენებას სხვა ამგვარი სათანადო პუბლიკაციების უზრუნველყოფით.

და ბოლოს, სმკ-ს სახელით მინდა მადლობა გადავუხადო აკც-ს და საქართველოს ექსპედიციების ბევრ არქეოლოგს პროექტის წარმატებით დასრულების საქმეში მათი გაწეული შრომისა და ძალისხმევის გამო. სწორედ ამ ჩატარებული შრომის შედეგი იყო, ხშირად მეტად რთულ პირობებში, პროექტის წარმატებით დასრულება არა მარტო ნავთობის ტრანსპორტირების, არამედ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის მხრივ. იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა ისტორიული და კულტურული ძეგლების შენარჩუნების სფეროში კვლავაც გაგრძელდება მილსადენის ექსპლუატაციის ფაზაზეც და მთელი საქართველოს და საერთაშორისო არქეოლოგიური საზოგადოება გაეცნობა საქართველოს ისტორიის მნიშვნელობას.

Robin Norman

GPS AND CAS – NEW RELATIONS

Preservation of Georgia's cultural heritage is one of the major components in the environmental impact assessment process. GPC is proud of the recognition of the significance of the cultural inheritance of Georgia. Over the last two years, GPC and CAS have worked closely together to ensure the protection of this heritage. A number of archaeological features have been studied and the resultant data has enriched the existing scientific knowledge.

GPC first commissioned archaeological studies in early 1997 in order to obtain Archaeological Permits for all new facilities that were due to be constructed. Many other excavations were undertaken as works proceeded. Additionally, archaeologists were invited to monitor all construction activities in those areas that CAS determined may have unidentified archaeological features preserved close to the pipeline. GPC has issued over 200 contracts for archaeological works from 1997 to the end of 1998.

Over the course of this period, GPC and CAS signed a protocol detailing the response to any archaeological features identified along the pipeline route. This enabled a swift response to any archaeological finds made during the construction period. In some instances these finds were recorded for subsequent excavation after the construction period. GPC is committed to commissioning CAS to excavate these deferred excavations during the course of pipeline operations.

This catalogue represents a summary of the endeavours made jointly by GPC and CAS and will ensure that this work is recorded and documented for the future.

Although the pipeline has now been completed, ongoing archaeological activity will continue with these deferred excavations. GPC will continue to keep archaeological issues as a high priority and assist in showcasing artifacts to the archaeological community and the public in general, and with support of appropriate publications such as this.

Finally, on behalf of GPC, I would like to thank CAS and the many individual archaeologists from the expeditions across Georgia for their efforts in ensuring the successful completion of this project. Because of this effort, often in very difficult conditions this Project has been a success not only for the transportation of oil, but also for the mechanism it provided to allow the discovery of significant artifacts described in this publication. I hope that our cooperation in the field of preservation of historical and cultural monuments will continue into the operational phase and that all of Georgia and the worldwide archaeological community can enjoy the significance of Georgia's history.

გიორგი ჭანტურია

უმთავრესი საზრუნავი

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის შექმნისა და საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი „დასავლეთის მიმართულების ნავთობსადენის“ პროექტის განხორციელებისას საქართველოს უნიკალურ კულტურასა და გარემოზე ზრუნვა გახლავთ.

სიმბოლურია, რომ ნავთობსადენი, რომელიც საქართველოს თითქმის მთლიანად ჰკვეთს, მიჰყვება უძველეს „აბრეშუმის გზას“, რომლის აღორძინება დღეს ასე მნიშვნელოვანია ჩვენი სამშობლოსათვის; ხოლო ის უმდიდრესი მასალა, რომელიც მილსადენის გასწვრივ იქნა აღმოჩენილი, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ როლსა და მისიას, რომელიც საქართველოს ჰქონდა ამ ისტორიულ გზაზე.

დღეს, როდესაც მშენებლობის პროცესი დასრულებულია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად თავისი უდიდესი მასშტაბებისა, მის განმავლობაში არა მარტო არ დაზიანებულა ქართული ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები, არამედ პროექტის განმხორციელებელთა ხელშეწყობით ჩატარებული იქნა მთელი რიგი არქეოლოგიური გათხრებისა და სამუშაოებისა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მრავალი უნიკალური ძეგლის აღმოჩენა და მათი ფართო საზოგადოებრიობისათვის გაცნობა.

ჩვენი აზრით, ასეთი ურთიერთთანამშრომლობა არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მსგავსი გრანდიოზული პროექტები საქართველოში. ჩვენ შევეცდებით, რომ მომავალშიც შევინარჩუნოთ ის სტანდარტები და მიდგომები, რომლებიც ამ პროექტის განხორციებაში იქნა მიღწეული.

ასეთი ურთულესი სამუშაოების წარმატებით ჩატარება, რა თქმა უნდა, მოითხოვს მრავალი ადამიანის თავდადებულ შრომას, ამიტომ ჩვენ გვინდა უდიდესი მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ყველასადმი, ვინც მხარში გვედგა ამ ურთულესი წლების განმავლობაში. დიდ მადლობას ვუხდით აკც-ს თითოეულ წევრს, რომელთა თავდადებულმა შრომამ შესაძლებელი გახადა საუკუნეების სიღრმეში ჩამარხული საგანძურის წარმოჩენა კაცობრიობისათვის. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სმკ-ს ყოველდღიური ზრუნვა და უდიდესი წვლილი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების საქმეში, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ის წარმატებული შედეგები, რომელიც დღეს ამ სფეროში გვაქვს.

გვსურს აგრეთვე ხაზი გავუსვათ იმ დაუღალავ ძალისხმევასა და მხარდაჭერას, რაც მთელმა ქართველმა ერმა გამოხატა პროექტის მიმართ, საქართველოს პრეზიდენტიდან დაწყებული და რიგითი მოქალაქით დამთავრებული.

დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ნავთობსადენის ექსპლუატაციის პერიოდშიც ასევე ნაყოფიერად გაგრძელდება.

და ბოლოს, ნება გვიბოძეთ გამოვთქვათ ღრმა რწმენა და უდიდესი სურვილი, რომ წინამდებარე გამოცემა გახდება მშვენიერი საჩუქარი ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც პატივს სცემს საქართველოს მრავალსაუკუნოვან წარსულს და მისი ნათელი მომავლისა სჯერა.

Giorgi Tchanturia

MAIN PRIOROTIES

Work to preserve Georgia's unique culture and environment has been among the priorities for the Georgian International Oil Corporation starting from its inception, and throughout the Western Route Pipeline Project implementation process.

It is symbolic that the pipeline traversing almost the whole of the territory of Georgia runs along the route of the ancient Silk Road whose restoration stands high on Georgia's agenda today. The rich stock of artifacts unearthed along the pipeline route prior to construction works provides convincing proof of the significant role Georgia was playing vis-a-vis this historic road.

Today, as the construction process is over, one can safely state that the monuments of Georgia's historic heritage suffered no damage from the project works, despite their enormous scale. Moreover, the wholehearted support rendered by the project implementers enabled archaeological excavations that exposed and made known to the general public unique artifacts, previously unknown.

We believe that such a cooperation is a telling example of Georgia's potential to successfully realize projects of a similarly grand scale in future. We, at GIOC, will do our best to live up to the standards and approaches we have developed and made part and parcel of our philosophy.

Successful execution of the highly complicated work under the project has put many demands on the people involved. We wish to acknowledge the very strong contributions of all those who have been part of the project during these extremely busy and difficult years. We wish to thank the staff of the Archaeological Research Center whose dedication made it possible to bring to light the riches hidden deep in the centuries. We are grateful to each and every of them for their devotion in the course of archaeological works, which largely determined the attained success.

Special mention must be made of the unwavering support that the project received from the whole of the Georgian nation, starting with the President of the country down to the ordinary citizen.

We feel confident that work towards preserving Georgia's cultural heritage will be equally successful after the pipeline operation starts.

And finally, we hope that this publication will be an excellent gift to all those who take pride in Georgia's glorious past and believe in her bright future.

ოთარ ლორთქიფანიძე

არქეოლოგია და თანამედროვეობა

არქეოლოგიის როლი კვლავაც განუზომელი იქნება XXI საუკუნეშიც, რადგან სწორედ არქეოლოგიას შეუძლია მოიპოვოს სრულიად ახალი მასალა საზოგადოების, ამ შემთხვევაში კი საქართველოს ისტორიის ისეთი კარდინალური და ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა პირველი ადამიანების საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრებისა და უძველესი საზოგადოების განვითარების პროცესი, ქართველთა ეთნოგენეტიკური ისტორია, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გენეზისი, ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია, ადამიანთა ცხოვრების წესი საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მხოლოდ არქეოლოგიას ძალუძს მოიპოვოს ქართული ქრისტიანული არქიტექტურისა და კულტურის ჯერ უცნობი ძეგლები, ფილოლოგიური მეცნიერებისათვის – ძველ დამწერლობათა ახალი ნიმუშები, უმნიშვნელოვანესი მასალა ქართული ეპიგრაფიკული და პალეოგრაფიული მეცნიერებისათვის.

მაგრამ არქეოლოგიას ახალი საზრდო მხოლოდ ჰუმანიტარული, ანუ ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებისათვის კი არ მოაქვს... მიწის წიაღში განამარხებული ადამიანის საქმიანობის ნაშთები შეიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების წესის შესახებ, არამედ აგრეთვე, იმდროინდელი ბუნების შესახებაც. ადამიანის ხელით დამზადებული თიხის ჭურჭელსა და კერამიკაში საერთოდ, დაკონსერვებულია იმდროინდელი მაგნიტური ველი, რაც უძვირფასესი წყაროა მაგნიტური ველის ვარიაციის – თანამედროვე გეოფიზიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის კვლევისათვის. ხის, ძვლისა და მცენარეულ ნაშთებში დაკონსერვებულია მრავალფეროვანი ინფორმაცია იმდროინდელი კლიმატისა და ბუნების სხვა მოვლენების შესახებ. ასევე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ადამიანისა და ცხოველთა ძვლები, მცენარეული ნაშთები აღიარებულია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ ბიოლოგიურ სახეობათა ევოლუციის ისტორიისათვის. აღარას ვამბობ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ ძეგლებს ტექნიკის ისტორიისათვის და „მივიწყებული“ თუ „დაკარგული“ ძველი ტექნოლოგიების აღდგენას თანამედროვე მსუბუქი მრეწველობის ცალკეული დარგებისათვის. ასე რომ, არქეოლოგია არა მხოლოდ საისტორიო-საზოგადოებრივი მეცნიერებაა, არამედ თანამედროვე ერთიანი მეცნიერული სისტემის ორგანული ნაწილია, რომელსაც მისი კვლევის ობიექტის (ბუნების წიაღში – მიწასა თუ წყალქვეშ განმარხული ადამიანის საქმიანობის ნაშთებისა) მრავალმხრივი ინფორმაციულობის გამო, სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის საქმეში. ამ თვალსაზრისით საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმიტომ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე აღმოჩენილია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპის ძეგლი – ქვის ხანის სულ ადრეული საფეხურებიდან გვიან საშუალო საუკუნეებამდე. სწორედ აქ იღებს სათავეს მსოფლიოს არქეოლოგიური მეცნიერების სულ უფრო მზარდი ინტერესი საქართველოს არქეოლოგიის მიმართ.

ქართული არქეოლოგიის მონაპოვარი კი შემეცნებითი საერთაშორისო ტურიზმისათვის სრულიად უნიკალურია: ევრაზიაში უძველესი ადამიანის ნამოსახლარი და საშუალო საუკუნეების გრანდიოზული ნაქალაქარი

დმანისში; პროტოქალაქური დასახლება („თრელიგორები“) დიღმის ველზე არქეოლოგიური მუზეუმით და ნარიყალას არქიტექტურული კომპლექსი თბილისში; კახეთის არქეოლოგიური ძეგლები; არმოზიკეს სახელით ბერძნულ წყაროებში მოხსენიებელი ნაქალაქარი ბაგინეთზე, თუ სამთავროს სამაროვანი მცხეთაში; ძალისი და მისი დიდებული მოზაიკები; უფლისციხის კლდეში ნაკვეთი არქიტექტურული კომპლექსი; ვარციხისა და შორაპნის გათხრებით გამოვლენილი ბიზანტიური ეპოქის ციხე-ქალაქები; ვანის ნაქალაქარი და არქეოლოგიური მუზეუმი; ლეგენდარული კუტაია-ქუთაისი თავისი მრავალფეროვანი, სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურული ძეგლებითა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმით; ციხეგოჯი-ნოქალაქევი და მისი არქეოლოგიური მუზეუმი; პეტრა-ციხისძირი, გონიო-აფსაროსი აჭარაში, ძველი ფაზისი-ფოთი და მისი არქეოლოგიური მუზეუმი; სვანეთი თავისი ციხე-კოშკებითა და სრულიად უნიკალური არქეოლოგიური მასალებით.

Otar Lordkipanidze

ARCHAEOLOGY, PRESENT AND FUTURE

The role of archaeology will remain significant in the XXI century because archaeology is the field which can obtain absolutely new material on cardinal problems of the history of Georgia such as the settlement of the first men and the process of development of ancient society in Georgia, the ethnogenetic history of Georgians, genesis of state structures, metallurgy of the Bronze and Iron Ages, way of life at various stages of social development, etc. to date studied to a lesser degree. It is only archaeology that can reveal as yet unknown monuments of the Georgian Christian architecture and culture, uncover new specimens of ancient writing for philological studies, significant material for the Georgian Epygraphical and Paleographical sciences.

However, archaeology provides new material not only to the humanities i.e. sciences studying the mankind. Fossilized remnants of the activities of man contain information pertainingnot only to the way of social life but also relevant to the natural history of that period. Handmade pottery and ceramics have conserved the magnetic field of that time, which is a valuable source for research into magnetic field variation - one of the most significant problems of contemporary geophysical science. Various informations on the climate and other natural phenomena are retained in remnants of wood, bone and vegetation. Moreover, bones of man and animals, and vegetation remnants are recognized as one of the most important sources for the evolutionary history of biological species. Furthermore, the significance of archaeological features for technical history and the revival of "forgotten" or "lost" technologies of light industry, particularly souvenir industry development in Georgia, cannot be overestimated. Thus, archaeology is not only a historical-social science but it is also an organic part of the current scientific system, which assumes ever increasing significance in the scientific and technical progress of mankind due to the multi-aspect informational value of its research object - the remnants of human activities fossilized in nature, both on the ground surface and underground. Archaeological monuments of Georgia are of particular importance in this light because monuments of all stages of the development of mankind from the early stages of the Stone Age to the Late Medieval Period have been discovered in the country. This is the principal reason for the increasing interest of world archaeology in the Georgian archaeology.

Achievements of Georgian archaeology for cognitive international tourism are absolutely unique, e.g. a settlement – the most ancient in Eurasia and magnificent medieval city remnants in Dmanisi; proto-city settlement - "Treligorebi" with an archaeological museum on Digomi valley and Narikala architectural complex in Tbilisi; archaeological monuments of Kakheti; city remnants in Bagineti referred to as "Armozike" in the Greek sources and Samtavro necropolis in Mtskheta; Dzalisi and its spectacular mosaics; an architectural complex cut in rock at Uplistsikhe; city - fortresses of the Byzantine epoch identified as a result of archaeological excavations at Vart-

sikhe and Shorapani; Vani city remnants and archaeological museum; legendary Kutaia - Kutaisi with various architectural monuments of various periods and historical-ethnographical museum; Tsikhegoji - Nokalakevi and archaeological museum; Petra-Tsikhisdziri; Gonio – Apsaros in Ajara; ancient Phasis - Poti and archaeological museum; Svaneti with its castles, towers and absolutely unique materials.

ცისანა ჩიკოიძე, გიორგი მინდიაშვილი, მერი ჩხატარაშვილი, ნაზი პაჭიკაშვილი

კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

2841

1. კუხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1997 წლის 5-7 ოქტომბერს იმუშავა გარდაბნის რაიონის მილსადენის ტრასის KP 19 კმ-ზე, სადაც სადაზვერვო სამუშაოების დროს შენიშნული იქნა შუასაუკუნეთა ნამოსახლარის ნაშთები. მოიზომა ფართობი 100 × 33 მ. გაკეთდა კვადრატული ბადე 25 × 25 მ და შიდა კვადრატები 5 × 5 მ. გაიჭრა 12 სადაზვერვო ჭრილი (ზომები: 5 × 5 მ, 4 × 5 მ, 5 × 2 მ, 7 × 2 მ, 5 × 3 მ, 5 × 2 მ და ა.შ.). შესასწავლი ფართობის ზედაპირზე აიკრიფა შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა. გაჭრილ თხრილებში კი გამოვლინდა განვითარებული შუასაუკუნეების საკმაოდ დიდი ნამოსახლარის დაზიანებული კულტურული ფენები. თხრილებში აღმოჩნდა მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის: ჯამების, ქილების, დოქების და დერგების ნატეხები, ასევე ცისფრად და მწვანედ მოჭიქული ჯამების ნატეხები (ტაბ. I).

პარალელურად იმავე მონაკვეთებზე იმუშავა მეორე რაზმმა, სადაც გაითხარა ქვამიწაყრილიანი ყორღანი. პრეპარაციის შემდეგ კარგად გამოიკვეთა რიყის ქვის რამდენიმე წყების ყრილი. აღმოჩნდა დაზიანებული სამარხი-კენოტაფი.

2. 1997 წლის 9-12 ოქტომბერს სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა გარდაბნის რაიონში ნავთსადენის ტრასის 26-ე კმ-ზე, სადაც აღმოჩნდა ნამოსახ-



სურ. 1. ძვ.წ. X-IX სს. ნამოსახლარის ნაშთები.

ლარი. ვრცელ ფართობზე ზედაპირულად აიკრიფა უამრავი ობსიდიანის, კაჟის იარაღებისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. უშუალოდ ნავთსადენის ტრასის ტერიტო-



სურ. 2. № 4 თხრილში აღმოჩენილი ნაგებობის გეგმა

× 11 მ; №3-ის 5 × 3 მ; № 4-ის – 6,30 × 6 მ; № 5-ის – 2,60 × 6 მ. ყველა თხრილში, მიწის ზედაპირიდან 30-40 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა კულტურული ფენა. ამ დონეზე მათი გათხრა შევაჩერეთ. ნამოსახლარის ხასიათის გარკვევის მიზნით მცირე მასშტაბის გათხრა ვაწარმოეთ № 2 და №4 თხრილებში, სადაც აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საკმაოდ ძლიერი და კარგად შემონახული ნამოსახლარი შესაბამისი ნაგებობებითა და კერამიკული მასალით (ტაბ. II). № 2 თხრილში გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები, კუთხემომრგვალებული შენობის ნაშთი მოტკეპნილი იატაკითა და ზედ მიმობნეული თიხის ჭურჭლებით: ჯამები, ქილები, დერგები და სხვ. (სურ. 3-5), № 4 თხრილში კი გამოვლინდა



სურ. 3. ძვ.წ. X-IX სს. ნამოსახლარის ნაშთები

რიაზე აიზომა ფართობი 100 × 25 მ. გაიჭრა ხუთი სადაზვერვო თხრილი: №1-ის ფართობია 2,60 × 6მ; № 2-ის – 8,40

დიდი ქვის ლოდების კედლების ნაშთები (სურ. 1-2). ნამოსახლარის გათხრა აქაც ამ დონეზე შევაჩერეთ.



სურ. 4. ძვ.წ. X-IX სს. ნაგებობის ნაშთები



სურ. 5. ძვ.წ. X-IX სს. ნაგებობის გეგმა

3. 1997 წლის 17-18 ოქტომბერს სამუშაოები მიმდინარეობდა ნავთობსადენის ტრასის KP 25-25,5 კმ-ზე. ადრე ჩატარებული დაზვერვების დროს აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა და აიკრიფა ენეოლითური ხანის მასალა, რის გამოც იგი მიჩნეული იქნა ენეოლითური ხანის სამოსახლოდ.



სურ. 6. გვიანშუასაუკუნეების კერამიკა

გათხრის შედეგად გაირკვა, რომ იგი წარმოადგენდა გვიანშუასაუკუნეების ნამოსახლარს. გათხრები ჩავატარეთ ერთმანეთის გვერდით მდებარე ორ უბანზე. მოიზომა თხრილები: № 1 – 30 × 9 მ და № 2 – 100 ×13 მ. თხრილებში აღმოჩნდა დამწვარი იატაკებისა და რიყის ქვის კედლის ნაშთები შესაბამისი არქეოლოგიური მასალით. მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა: დოქები, ქილები, ჯამები და სხვა ნატეხები (სურ. 6). №1 თხრილში გამოჩნდა რიყის ქვის კედლის ნანგრევების ნაშთები, ხოლო № 2 თხრილში კი კარგად გამოიკვეთა რიყის ქვითა და თიხით ნაგები კედლები (სურ. 7), სადაც სამი რიგი ქვის წყობა იყო შემორჩენილი. კედლის სიგრძეა 7 მ, სიგანე – 0,25-0,3 მ, სიმაღლე – 0,30-0,4 მ. ამ კედელს ჩრდილოეთის მხრიდან ირიბად ერწყმოდა ასეთივე წყობის კედელი, რომლის შემორჩენილი სიგრძეა 2,5 მ, სიგანე – 3 მ. მთელ ფართობზე გამოვლინდა დამწვარ-დანახშირებული ფენა, რომლის დიდი ნაწილი დამწვარი იატაკის ნაშთს წარმოადგენდა, ნაწილი კი – ნაგებობათა დანახშირებული ძელებისაგან იყო შექმნილი. რიყის ქვის კედლის ჩრდილოეთით გავაკეთეთ საკონტროლო ჭრილი, სადაც 0,60 მ სიღრმეზე უკვე დავედით უძრავ ფენაზე.



სურ. 7. გვიანშუასაკუნების ნამოსახლარი

ამრიგად, ტრასის ამ მონაკვეთზე აღმოჩნდა გვიანი შუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთი, ძალზედ დაზიანებული. მისი შემდგომი გათხრა და შესწავლა მიზანშეწონილად აღარ მივიჩნიეთ. მოვახდინეთ ძეგლის ფიქსაცია, გაკეთდა ნამოსახლარის გეგმა, ჭრილები და ჩაიხატა იქ აღმოჩენილი მასალა.

ექსპედიციამ, იმავე დღეებში (19-21 ოქტომბერი) მეორე რაზმით იმუშავა მილსადენის 26,5 კმ-ზე, სადაც გამოჩნდა ყორღანული სამარხები. ერთი მათგანი უშუალოდ მდებარეობდა სამშენებლო თხრილის ცენტრში, მეორე კი მის გარეთ, ტრასის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც გზის გაყვანის დროს ჩამოეჭრა ქვაყრილის ნაწილი და ნაწილობრივ დაზიანდა. მისი შესწავლა დაგეგმილია მომავალ წელს.

მოვზომეთ გამოტოვებული ტერიტორიიდან ფართობი 30 × 10 მ, გაიჭრა საკონტროლო თხრილი, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა სამარხი საკმაოდ ძლიერი რიყის ქვის ყრილით. თავდაპირველად ავიღეთ 30 სმ სისქის ქვანარევი ჰუმუსური ფენა, რომლის ქვეშაც, 1 მ სიღრმეზე გაგრძელდა რიყის ქვის ყრილი და მოიხაზა სამარხი ორმო ზომით 2,4 × 3,34 მ. მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე გამოჩნდა ჩონჩხი. სამარხის იატაკი კი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,40 მ სიღრმეზე. მიცვალებული დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, იწვა მარჯვენა გვერდ-



სურ. 8. ყორღანული სამარხი.
ძვ.წ. XIV-XIII სს.



სურ. 9. ყორღანული სამარხი.
ძვ.წ. XIV-XIII სს.

ზე ხელ-ფეხ მოხრილი, სახით დასავლეთისაკენ (სურ. 8-9). ჩონჩხის ზომებია: სიგრძე – 1,15 მ, თავის ქალიდან მენჯამდე – 0,85 მ. ბარძაყის ძვლის სიგრძე – 0,45 მ, თავის ქალის გარშემოწერილობა – 0,65 მ. თავთან შემოლაგებული ჰქონდა ოთხი თიხის ჭურჭელი. უშუალოდ თავის ქალასთან იდო პატარა ზომის კოჭობი (ჭურჭელი ამოღების დროს დაიშალა), თავის

ქალის ჩრდილოეთით, ერთმანეთის გვერდით იდო ორი ქოთანი, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ჯამი (სურ. 10). გარდა ამისა სამარხში აღმოჩნდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები. სამარხის დასავლეთ ნაწილში, ერთმანეთის გასწვრივ იდო ცხვრების (?) სამი თავის ქალა, ხოლო მეოთხე იდო ჩონჩხის ჩრდილოეთით.

იმავე მონაკვეთზე ტრასიდან 50 მ მოშორებით, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა ამავე ტიპის დაზიანებული სამარხი, რომელიც პატარა ხევით შექმნილ ფლატეში ჩანდა და რომელსაც სრული განადგურება ემუქრებოდა. სამარხს თავზე ედო 30 სმ სიმაღლის ქვაყრილი, რომლის ქვეშაც იდო დიდი ზომის ფილა ქვა (სიგრძე



სურ. 10. ძვ.წ. XIV-XIII სს. ყორღანული სამარხის ინვენტარი

4. 1997 წლის 25-27 ოქტომბერს სამუშაოები ჩატარდა მილსადენის ტრასის 26,8 კმ-ზე, სადაც შენიშნული იყო ყორღანული სამარხი. გაითხარა 30 მ სიგრძისა და 10 მ სიგანის თხრილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში, ჩრდილოეთ მხარეს, მილებს შორის აღმოჩნდა ქვაყრილიანი სამარხი. სამარხის თავზე აიკრიფა ობსიდიანის ნატეხები. ქვაყრილის სანახევროდ აღების შემდეგ, ორმო ჩავჭერით 1 მ სიღრმეზე. ამ დონეზე თხრილში ამოვიდა წყალი, რის გამოც სამარხის გაწმენდა ბოლომდე ვერ მოხერხდა.

2,10 მ, სიგანე – 1,20-1,30 მ, სიმაღლე – 0,30) და ჭურჭელი (სურ. 11). მიწის ზედაპირიდან 1,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ჩონჩხი, რომელიც დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთისაკენ, სახით დასავლეთისაკენ. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში. ჩონჩხი კარგად იყო შემონახული, თავის ქალა დაზიანებული (სურ. 12-13). ჩონჩხის სიგრძე – 1,10 მ, ბარძაყის სიგრძე – 0,44 მ, წვივის ძვლის სიგრძე – 0,33 მ. მიცვალებულს თავთან 25 სმ დაშორებით ჩრდილოეთ მხარეზე შემოლაგებული ჰქონდა სამი



სურ. 11. სამარხის გადახურვა



სურ. 12. სამარხი გაწმენდის შემდეგ



სურ. 13. სამარხის გეგმა

სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელი. ყველაზე დიდი ჭურჭლის, დერგის პირი აღმოჩნდა ზედაპირიდან 70 სმ-ზე. ყორღანი წინასწარ დათარიღდა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით. აღსანიშნავია, რომ ეს მონაკვეთი წარმოადგენს ყორღანულ ველს, სადაც ჩანს კიდევ რამდენიმე სამარხი.

5. 1998 წლის 17-21 აპრილს სამუშაოები ჩატარდა სოფ. გლდანთან, მილსადენის ტრასის KP 525,5 კმ-ზე. ექსპედიციამ გათხარა ძეგლის ნაწილი, რომელიც სამშენებლო თხრილის გვერდით ფერდობზე იყო დარჩენილი. ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ (სიღრმე – 1,20 მ) გამოჩნდა ნაგებობათა ნაშთები. გაიჭრა ოთხი სადაზვერვო თხრილი (ზომები: 3,6 × 2,2 მ; 2,1 × 1,7 მ; 2 × 1 მ; 4,7 × 0,7 მ).

№1 თხრილში აღმოჩნდა სახელოსნოს ნაშთი – ქურა. იგი შედგებოდა ორი გამოსაწვავი განყოფილებისგან, რომელიც ამოვსებული იყო ნაცარ-ნახშირით. ორივე განყოფილება და მასთან დაკავშირებული სამუშაო მოედანიც შემოსაზღვრული იყო კედლებით. ქურის ორივე განყოფილებიდან ნაცროვანი ფენის ამოწმენდის შემდეგ გამოჩნდა ქვით მოგებული იატაკი.

ამავე მონაკვეთში გაითხარა კიდევ სამი მცირე ზომის თხრილი, სადაც აღმოჩნდა საცხოვრებელი ნაგებობების ძალზედ დაზიანებული ნაშთები, ქვიშა-ქვისა და რიყის ქვის შერეული მშრალი წყობით ნაგები კედლები და დამწვარი ფენები.

თხრილებში აღმოჩნდა საინტერესო კერამიკული მასალა:

ქოთნები – ჩალისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი თიხისა, ზოგი პირგაშლილი, დაშვებული მხრებით, ზოგიც პირმოყრილი, დაბალი ყელით. ორივე შემკულია წვრილად ნაჭდევი („ფრჩხილისებური“) ორნამენტით (ს.წ. № 29, 38).

კოკა – პირყელისა და კედლის ნატეხები, ჩალისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი თიხისა, სამტუჩა პირით, მაღალი, ფართო ყელით, ტუჩზე მიძერწილი აქვს ორი ბრტყელი მეჭეჭი, მხარზე შემკულია მოკლე ნაჭდევი ორნამენტით შედგენილი სარტყლით (ს.წ. № 27). მათ აქვთ მუცელთან მიძერწილი ბრტყელგანიკვეთიანი ყურები (ს.წ. № 28). დანარჩენი ჭურჭლის ნატეხებიც შემკულია ნაჭდევი მოკლე ხაზებით და მკრთლად ამოკაწრული ტალღური ორნამენტით (ს.წ. № 31, 32, 35).

ზემოთ აღწერილი ჭურჭელი თარიღდება ახ.წ. III-IV საუკუნით.

Tsisana Chikoidze, Giorgi Mindiashvili, Meri Chkhatarashvili, Nazi Pachikashvili

ARCHAEOLOGICAL WORKS ALONG GARDABANI NEW-LAY SECTION

In spring of 1997 the Kukheti Archaeological Expedition undertook archaeological surveys along the Gardabani new-lay section, where cultural layers of ancient burial mounds and settlements were identified. Archaeological excavations proceeded in autumn, 1997 and spring, 1998 in parallel with construction works. As a result, a settlement and burial mounds dating from the Late Bronze - Early Iron age (8th-7th cc. B.C.), remnants of a settlement and artisan's shop of the Late Classical period (3rd-4th cc. A.D.), and medieval settlements were discovered.

Settlements dating from 11th-12th and 18th cent. have been identified at KPI9 and KP25-26.5. Cultural layers were comprised of the following: burnt floors and cobble walls, glazed and unglazed pottery, bowls, jugs, jars, pots, flasks, etc. (fig. 6-7, pl. I). The ceramics collected here are closely analogous to excavation materials found in various cities and villages of Georgia.

A well-preserved settlement of the Late Bronze - Early iron age (10th-9^{th}c B.C.) was excavated at KP26. The following was surveyed and studied: remnants of buildings with round corners, compacted floors and brown to grey pottery (fig. 1-5).

The archaeological material discovered in settlements allows us to form a clear picture of the way of life and culture of the residents.

Burial mounds (cairns) excavated at KP26.5 and KP26.8 were of particular interest. A number of obsidian and flint fragments were collected in their vicinity. A skeleton buried on its right side was discovered in one of the cairns with a cobble mound, at the depth of 1.20 m from the ground surface. Four black clay ornamented pots had been placed around the head: a small jar, two large pots and a bowl (fig. 8-10).

The second tomb was covered with a monolithic stone slab (length - 2.1 in; width - 1.2 in; height - 0.3 in). The skeleton was lying on its right side with three clay vessels of various sizes around the skull (fig. 11-13).

As a result of the archaeological excavation, it was determined that this area is a burial ground where an 8th-7th cc. settlement was also found.

An artisan's shop with a furnace and remarkable ceramic fragments with wavy ornaments found at KP25.5 near the village Gldani is very significant.

Even though some archaeological features have been damaged during construction, the archaeological excavations undertaken here have a high scientific value, since they contribute to the archaeological map of the region. Moreover, a number of new archaeological features were discovered, which enriched the existing scientific knowledge of the region.

ტაბ. I



გურანდა ფხაკაძე

ლოჭინის ხევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები

1998 წლის მარტში გარდაბნის არქეოლოგიური ექსპედიციის ლოჭინის ხევის რაზმმა ჩაატარა სამუშაოები ლოჭინის ხევის ტერიტორიაზე მილსადენის გაყვანის დროს (კათოდური დაცვა) გამოვლენილი სამაროვნის გადასარჩენად (531 კმ ნიშნულის).[1]

გაიჭრა თხრილი 20 × 4 კვ. მ მილსადენის გასწვრივ და შემდეგ დამატებითი თხრილი ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,60 × 10 მ^2 (სურ. 1).

№ 1 სამარხის ნაშთი თხრილის ცენტრში დაფიქსირდა სამხრეთ კედელთან 1,30 მ სიღრმეზე (სურ. 2). გაიწმინდა ბრტყელი ქვის ფილა ზედ ორი თიხის ჭურჭლით და ლურჯი მინის ორი მრგვალი მძივით (ტაბ. I_1).

№ 2 სამარხის ნაშთი თხრილის ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა იგივე დონეზე.



სურ. 1. თხრილის გეგმა

ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად გამოვლინდა და გაიწმინდა ოთხი დანგრეული სამარხის ნაშთი. როგორც ჩანს, ისინი ქვაყრილიან ორმოსამარხთა ტიპს განეკუთვნებოდნენ. არც ერთ მათგანში მიცვალებულის თავის ქალა ან სხვა რაიმე ძვალი აღმოჩენილი არ ყოფილა.

№ 3 სამარხის ნაშთი დამატებით თხრილში დაფიქსირდა. მას შემორჩენილი ჰქონდა ქვაყრილის ნაწილი და სამარხში ორი ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა (ტაბ. I_3).

მიწას ეტყობოდა თავის ქალის ანაბეჭდი. როგორც ჩანს, თავთან 2 ჭურჭელი ედგა. აქვე იყო კიდევ რამოდენიმე ჭურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. I_2).

[1] კონტრაქტის მიხედვით სამუშაოთა ვადა განისაზღვრა 10 დღით. ექსპედიციის შემადგენლობა: ხელმძღვანელი გ. ფხაკაძე, მენეჯერი მ. ბარამიძე, წევრები - გ. მირცხულავა, რ. რუსიშვილი, ლ. ჯიბლაძე, მ. კინწურაშვილი.



სურ. 2. სამარხი № 1

№ 4 სამარხიც ქვაყრილიანი იყო, სიგრძე - 2,50 მ, სიგანე - 1,70 მ. ქვაყრილის აღების შემდეგ მხოლოდ თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა (სურ. 3, ტაბ. I_4).

გარდა ამისა თხრილების მთელ ფართობზეც თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები იყო გაფანტული (ტაბ. I_5). არქეოლოგიურ მონაპოვარს მხოლოდ კერამიკა შეადგენდა.

კერამიკა მოშავო-მონაცრისფროა, წვრილმარცვლოვანი, ხრეშნარევი; ყველა მათგანი დამზადებულია ჩარხზე. ფაქტურით იგი ზუსტად იმეორებს იორ-ალაზნის აუზში გავრცელებულ ჭურჭლის კეცსა და ფორმებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროფილის თიხის ნაწარმი დამახასიათებელი ჩანს ე.წ. „სამთავრული კულტურის“ ძეგლებისათვისაც. განსხვავება მხოლოდ კერამიკის ფაქტურაშია. „სამთავრული კულტურის“ თიხის ნაწარმისათვის დამახასიათებელია წვრილმარცვლოვანი,



სურ. 3. სამარხი №4

ხშირად განლექილი, წმინდა კეცი, რაც საერთოდ უცხოა ლოჭინის ხევის და სა-

ერთოდ იორ-ალაზნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალებისთვის.

მონაპოვარ მასალაში გამოიყოფა დერგის, ქოთნის და ორი ტიპის ლანგრის პროფილები. დერგები (სამარხი № 1) ხასიათდება სფერული ტანით, ჩაღარული ყელით, გადმოკეცილი, ქობიანი მომრგვალებული პირით და მსუბუქად გამოყოფილი ბრტყელი ძირით. მხარზე მათ 3-3 ღარი შემოუყვება. მსგავსი ფორმის ჭურჭლები იორ-ალაზნის კულტურაში გავრცელებული ჩანს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ და მის უშუალოდ მომდევნო ხანაში და ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. ძვ.წ. I ათასწლეულის კომპლექსებში ისინი უკვე სრულიად გამქრალია.

პროფილის მიხედვით მათთან ახლოს დგას ქოთნები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზედაპირი დაღარულია კონცენტრული წრეებით და ზოგიერთ მათგანს უჩნდება ქუსლიანი, ირიბი ნაჭდევებით შემკული ძირი. საყურადღებოა, რომ ზედაპირდაღარული, ბრტყელძირიანი, ძირზე ირიბი ნაჭდევებით კერამიკა ე.წ. ბაიბურთის ტიპის, დამახასიათებელი ნაკეთობაა ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურისათვის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე. ამავე პერიოდისათვის ძალზე სპეციფიური და დამახასიათებელი ჩანს მაღალცილინდრულყელიანი სასმისები, რაც არ ჩანს ლოჭინის ხევის სამაროვნის მასალებში და მნიშვნელოვანია სამაროვნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის განსაზღვრისათვის. ერთი შეხედვით არქაული იერის ე.წ. ბაიბურთის იერის ზედაპირდაღარული ფრაგმენტებიც საშუალებას იძლევა ამ თარიღის გარკვევისათვის. მხედველობაში გვაქვს ამ რიგის ქუსლიანი ძირის გაჩენა. შიდა ქართლის მასალების მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის უკანასკნელი მეოთხედის უადრეს კომპლექსებში ქუსლიანი ძირი არ დასტურდება და მათი გამოჩენა სწორედ ამ პერიოდშია საგულისხმებელი. მომდევნო საფეხურებზე ქუსლიანი ძირი აგრძელებს არსებობას. ამავე დროს ზედაპირდაღარული კერამიკა მომდევნო საფეხურებზე სრულიად ქრება. აშკარაა, რომ ამ ორი ელემენტის შერწყმის ფაქტი ერთ ჭურჭელზე, შესაძლებლობას იძლევა ლოჭინის ხევის სამაროვნის ქვედა საზღვარი მონაპოვარი მასალის მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

ძალზე საყურადღებოა სამაროვანზე აღმოჩენილი ლანგრები. მათში ორი ტიპი გამოიყოფა. პირველი ხასიათდება მრგვალქობიანი, მოკეცილი პირით, სწორი მხარით და ტანზე მკვეთრი წიბურით გადასული. მეორე ხასიათდება უქობო, გარეთ გაზიდული პირით, მსუბუქად ჩაღარული მხრით. მსგავსი ფორმის ლანგრები ძალზე სპეციფიურია ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურისათვის, ფაქტიურად მთელი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. აღსანიშნავია, მხოლოდ ერთი გარემოება. ერთ-ერთ ლანგარს შიდაპირზე ტალღოვანი ორნამენტი დაუყვება. შიდა პირზე ორნამენტი ჩნდება მხოლოდ ძვ.წ. VIII ს-ის კომპლექსებში და ამ ტექნიკურ ჩვევას გარკვეული დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს. თარიღის გასარკვევად ასევე ნიშანდობლივია რელიეფური ფოლაქისებური შვერილით შემკული ერთი ფრაგმენტი. მსგავსი შვერილები არაა ტიპიური აღმოსავლური მასალებისათვის და ისინი მხოლოდ ერთეულების სახითაა წარმოდგენილი მოგვიანო, ადრერკინის ხანის კომპლექსებში. ამავე პერიოდში ჩნდება ისინი კოლხურ კერამიკაზე, სადაც მას მყარი, დამათარიღებელი მნიშვნელობა ენიჭება.

ამგვარად აშკარაა, რომ ლოჭინის ხევის სამაროვნის შესწავლილი სამარხეული კომპლექსები ძირითადად ორ ქრონოლოგიურ ეტაპს უნდა დაუკავშირდეს. ადრეული კომპლექსები (სამარხი № 1 და 4) როგორც ჩანს ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო მეოთხედს უნდა მიეკუთვნოს, დანარჩენი მასალა კი ძვ.წ. VIII-VII სს.

Guranda Pkhakadze

REPORT ON THE RESULTS OF THE LOCHINI ARCHAEOLOGICAL EXPEDITION

On March 1998 archaeological excavations were carried out on the cemetery found by the construction of the pipeline located within the territory of the Lochini Gorge.

Two tranches were laid: one of 1,6 × 10 m2, another of 20 × 10 m2 and remains of four tombs were unearthed (fig. 1).

These tombs must have belonged to the stone-embarkment covered pit-grave type. Unfortunately, no craniological material was found and archaeological findings were only represented by blakish-grey, well-baked and wheel-made ceramic production. Among the verious potsherds – pots, pithoi, basins, jugs and small vessels could be distinguished. Pithoi had large spherical body, flat base and horisontal grooves round the shoulders. Pots had the same form, but their bottoms were decorated with notches and nips. Such vessels are characteristic for the late bronze culture of the Iori-Alazani basin and the whole Central Transcaucasus, and are dated to the last quarter of 2nd mill. B.C.

The profiles of the basins and small vessels are also typical for the Central Transcaucasian culture, but some elements, such as zigzags on the inner surface of the crown and button-shaped projections pointed to the comparativly later period. The Colchian material gives us a basis for dating this group of pottery to the beginning of the Early Iron Age.

Thus, the excavated cemetery of the Lochini gorge contains two chronological groups of tombs.

The grave N. 1 (fig. 2, pl. I_1) and N. 4 (fig. 3, pl. I_4) represent the Late Bronze Age – last quarter of the 2nd mill. B.C. Graves N. 2 (pl. I_2) and N. 3 (pl. I_3) and pottery sherds scattered over the area (pl. I_5) belonged to the beginning of the Iron Age – 8th-7th century B.C.

ტაბ. I



ანდრია აფაქიძე, გურამ ყიფიანი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი

ნარეკვავის ახლადაღმოჩენილი სამაროვანი



სურ. 1. სამარხი № 35

მცხეთის შემოგარენში - ნარეკვავთან სხვადასხვა დროს აღმოჩნდა შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში, გზის მშენებლობისას დაზიანდა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები. მათ შორის დიდი ინტერესი გამოიწვია შავი საღებავით მოხატულმა წითელკეციანმა თიხის ჭურჭელმა. 1960 წელს მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. ა. კალანდაძე). გათხრების შედეგად აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეული კომპლექსები.

1977 წლიდან სისტემური არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

1998 წელს, ბაქო-სუფსის ნავსადენის ტრასის მშენებლობასთან დაკავშირებით,



სურ. 2. სამარხი № 35. დეტალი

543-ე კმ-ზე დაზიანდა სამარხები. ამ ადგილას მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტმა (ხელმძ. ა. აფაქიძე) გამოავლინა 42 სამარხეული კომპლექსი. მათი ასაკი ზოგადად XI-X-VI-V საუკუნეებით განისაზღვრა.

ნარეკვავის ახლადაღმოჩენილი სამაროვანი მდებარეობს მდ. ნარეკვავის მარჯვენა სანაპიროზე, მუხრანის ველის დასასრულს.



სურ. 3. სამარხი № 39

მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ნამოსახლარები და მისი სინქრონული სამაროვანი.

1998 წელს, საქართველოს მილსადენის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის ნარეკვავის რაზმმა 400 მ^2 ფართობზე ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები (თებერვალ-მარტში). გამოვლინდა 42 ქვაყრილიანი ორმოსამარხი (ზოგიერთ სამარხს ქვაწრეც ჰქონდა შემორჩენილი). სამარხები მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,5-1,5 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა და გაჭრილი იყო თიხანარევ კონგლომერატში. ყველა სამარხი (გარდა ორი გამონაკლისისა - № 3 და № 32) ინდივიდუალური აღმოჩნდა. სამარხები მჭიდროდ - ერთმანეთის სიახლოვეს არის განლაგებული. ზოგ შემთხვევაში ისინი ერთ ვერტიკალში, ერთმანეთზეა გამართული, რაც შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა. მეტი წილი მიცვალებულებისა ხის სარეცელზე დაუკრძალავთ, ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ძირითადად ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორიენტირებულნი (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა). ორ სამარხში მიცვალებულებს თავი ქვის სასთუმალზე ედო (№ 8 და № 32).

აღსანიშნავია, რომ ეს წესი მცხეთაში - კამარახევის დედაქალაქობის დროინდელ სამაროვანზე (ძვ.წ. IV-III სს.) - შედარებით მოგვიანო ხანაში საყოველთაო ხდება. იქ უკლებლივ ყველა მიცვალებულს თავის ქალა ქვის სასთუმალზე უდევს. ნარეკვავის სამაროვანთან გენეტიკური კავშირი შეინიშნება აგრეთვე ინვენტარშიც (ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები). ეს კი თავისთავად

კულტურულ თუ ეთნიკურ კავშირურთიერთობაზე და მემკვიდრეობითობაზე უნდა მეტყველებდეს.

სუფრის, სამზარეულო, სამეურნეო და სარიტუალო თიხის ჭურჭელი. მათ შორის აღსანიშნავია თავდაფანჯრული, ორმაგპირი-



სურ. 4. სამარხი № 9

ზემოაღნიშნულ სამარხებში დადასტურდა: კერამიკა - ლეგა-მონაცრისფროდ და მოშავოდ გამომწვარი, რომელიც შემკულია ამოღარული, რელიეფური და წნევით დატანილი ორნამენტით. სამაროვანზე გვხვდება



სურ. 5. კერამიკა № 9 სამარხიდან

ანი თიხის დერგი - სარიტუალო ჭურჭელი, რომლის ანალოგი მხოლოდ სამთავროს სამაროვანზეა აღმოჩენილი - ისიც შემთხვევით მონაპოვარში. აღმოჩნდა მოჭიქული სასმისებიც (სამარხი № 31 და № 41); ბრინჯაოსა და რკინის იარაღი, ოქროს სამკაული, სარიტუალო ნივთები და ინსიგნიები (შტანდარტის თავები, სარტყლები). მათ შორის გამოირჩევა ე.წ. წარჩინებული მეომრის სამარხები. ამ ტიპის სამარხებისათვის დამახასიათებელია სარიტუალო, გრავირებული სარტყლები, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები (ლაგმები, უმბონები), მახვილები, სატევრები, ცულები, შუბისწვერები და ისრისწვერები.

ყურადღება მიიქცია ერთ-ერთი წარჩინებული მეომრის სამარხში (№ 9) აღმოჩე-

ნილმა ბრინჯაოს გრავირებულმა სარტყელმა, რომელზედაც ღვთიური ნადირობისა და საომარი მოქმედების ამსახველ სცენებთან ერთად ვხვდებით გუთანში შებმული ცხენის გამოსახულებას. მასთან ერთად უღელში შებმულია მეორე ცხენი, რომელზედაც მეომარია ამხედრებული.



სურ. 6. გვავირებული სარტყელი № 9 სამარხიდან. გრაფიკული რეკონსტრუქცია

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მე-14 სამარხში დაკრძალული მიცვალებული. 50-55 წლის მამაკაცის თავის ქალას ტრეპანაცია ჩაუტარებიათ. როგორც ჩანს, ოპერაციას წარმატებით ჩაუვლია. სპეციალისტთა აზრით (პ. ფირფილაშვილი) მე-14 სამარხში დაკრძალულს ტრეპანაციის შემდეგ 2 წელი მაინც უცხოვრია - ტრეპანაციის ადგილზე ნაწიბურებია წარმოქმნილი. ეს ფაქტი ჩვენი წინაპრების მაღალ კულტურაზე მეტყველებს. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს, აგრეთვე, ნარეკვავის სამაროვნის სამარხებში აღმოჩენილი ნივთე-



სურ. 7. № 9 სამარხის ინვენტარი

ბის დამზადების ტექნოლოგია და ესთეტიკური მხარე.

ზემოაღნიშნული კომპლექსები, იქ აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით (კერამიკა, მოჭიქული ჭურჭელი, ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევრები, შუბისწვერები; ბრინჯაოს ცენტრალურ-ამიერკავკასიური ტიპის და ბრტყელი ცული, ლაგმები, ორფრთიანი ისრისწვერები, ცალპირლესული მოხრილი



სურ. 8. სამარხი № 14

დანები, ოქროს სამკაული და სხვა) საშუალებას გვაძლევს ნარეკვავის სამაროვნის თარიღი ძვ.წ. XI-X და VI-V სს. შორის პერიოდით განვსაზღვროთ.

ნარეკვავის სამაროვანზე მონაპოვარი ძეგლების ანალიზიდან ირკვევა, რომ იმდროინდელ საზოგადოებაში მიმდინარეობს სოციალური დიფერენციაცია. ეს ვითარება კარგად ეხმიანება I საუკუნის ცნობილი სწავლულისა და მეცნიერის სტრაბონის ცნობას - ქართლში (იბერიაში) 4 გენოსის (გვარის) არსებობის შესახებ. მესამე გვარში იგი აერთიანებს მიწათმოქმედთ და მეომრებს. სწორედ ეს ფენა შეიძლება ამოვიცნოთ ნარეკვავის სამაროვანზე დაკრძალულთა შორის.

ნარეკვავის სამაროვანზე აღმოჩენილი მასალები, სხვა ამავდროულ ძეგლებთან ერთად, საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ის დემოგრაფიული სიტუაცია, რომელიც არსებობდა მტკვრისა და არაგვის ხერთვისში, ქართლის (იბერიის) ძველი დედაქალაქის მცხეთის წარმოშობამდე, რამაც გარკვეულწილად დააჩქარა ქალაქწარმოქმნის პროცესები და ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

Andria Apakidze, Guram Kipiani, Vakhtang Nikolaishvili

RECENTLY DISCOVERED SEMETERY IN NAREKVAVI (MTSKHETA)

GPC commenced WREP activities in Mtskheta district in late winter, 1998. Mtskheta was referred to as Great Mtskheta and its suburbs is an ancient capital of Georgia. According to the description given in written sources, the core town used to be surrounded by satellite cities. This has been proved many times through archaeological studies. Moreover, it has also been confirmed that a concept of the "capital" started to form in IV c BC in this region. Rich cultural inheritance reflected by the existence of dense settlements as early as Bronze Age served as a basis for formation of the "capital" concept.

Recognizing that Mtskheta has invaluable and special significance for development of Georgian archaeology, the Academy of Sciences of Georgia established a separate institute assigned to study specifically the ancient capital of Georgia a few years ago. A number of problems are related to such studies, namely: to what degree the culture of the capital was reflected in other parts of the country, what was the economic impact of the town, wich served as a crossroad of many routes and point of exchange, on the whole of Georgia, what cultural and artistic legacy was collected from the convergence of east and west, what is the role of the pre-Classical culture of Georgia in the formation process of Classical period cities, what cardinal changes brought about immediate conversion of the centre of Classical period Georgia into a religious centre of the country, once a new religion - Christianity started to take root.

A large necropolis was exposed as a result of WREP activities at the village of Narekvavi in late winter, 1998. The Institute had had preliminary information on location of this significant feature and had been planning its studies in the future. GPC issued a contract immediately and a team from the institute started systematic studies of the monument. Very soon it became apparent that it was a rare feature on the basis of the following properties:

1. A long chronological profile from the Late Bronze Age to the Iron Age i.e. from 2nd millenium BC through 4th cent. B.C. was confirmed.

2. Tombs were located extremely close to each other, which is not characteristic for that period.

3. Gold artifacts are a very rare finding in tombs of that period. Some tombs of the necropolis were quite rich.

4. Almost all tombs had been used for burial of warriors according to artifacts found. Presumably, this necropolis had belonged to only one caste of the society, namely distinguished military people.

Tombs of this period (2nd millenium B.C.) with characteristic bronze artifacts have been excavated quite frequently. The culture of this period has been studied quite well all over Georgia with a number of fundamental researches having focused on this time period. Nonetheless, the Narekvavi necropolis has added greatly to existing scientific knowledge. First of all, abundance of weapons and cult-ceremonial artifacts (deer, fish, pig, etc) is quite remarkable. Of no less importance are sophisticated shapes and exquisite geometrical ornaments of ceramics. Ritual pottery with

window-type ornament on the surface and handles with wolf figurines located opposite each other are of particular interest. Such ritual pots are a reflection of the universal order as it had been understood by our ancestors - pot i.e. centre and antithetical wolves i.e. context in the ancient art.

A surprise finding was a hypothetical model of a two-wheel carriage in one of the tombs. Small vessels had been arranged specially between two ceramic wheels - a model of the carriage and its cargo already prepared for journey. This finding should not come as a surprise if we take into consideration that death as perceived by ancient man was not the end of life but it was still part of the life beyond the human vision. Similarly, birth was arrival into the human scope of vision.

Another significant discovery – experienced craniologists while examining bone material from one of the tombs determind through forensic evidence that a man who lived in the second half of the 2nd millenium B.C. had undergone a complicated surgery - skull trepanation and lived at least four years afterwards, prior to be entombed.

Scientific studies of Narekvavi necropolis continue - there are still lots of issues to be clarified and many artifacts require restoration. The institute staff will always have pleasant memories of the period of cooperation with GPC. The added knowledge on material and spiritual culture of the past is the fruit of this cooperation.

ნინო მირიანაშვილი

ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია

ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამუშაოები ჩაატარა როგორც მილსადენის რეკონსტრუქციის, ისე ქსნის სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე. გამოვლინდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი და ნაწილობრივ, უკვე ცნობილი ნამოსახლარების (ძალისა) გარეუბანი.

1. ძალისა. ახ.წ. I-IV სს. ქალაქი მდებარეობს მცხეთის რაიონში, სოფელ ძალისის განაპირას, მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე.

მშენებლებმა 1,2 მ სიგანის თხრილი გაავლეს ანტიკური ხანის ნაქალაქარის რამდენიმე საცხოვრებელ უბანზე. დაახლოებით 2 კილომეტრზე, მცირე ხარვეზებით, დაფიქსირდა კულტურული ფენები, რომელთა სიმძლავრე 0,5-1,1 მეტრს შორის მერყეობს.

ქვემოთ მოცემულია მილსადენის ის მონაკვეთები, სადაც არქეოლოგიური ნაშთები დადასტურდა:

KP 887-892. მთელ სიგრძეზე დაფიქსირდა ნაგებობათა ნაშთები და ფენა, რომელიც შეიცავს თიხის ჭურჭლის ნატეხებს, ნაცარ-ნახშირსა და დიდი რაოდენობით კრამიტის ნატეხებს.

KP 914-915. ჭრილში ჩანს ინტენსიური სამოსახლო ნაგებობათა ნაშთებით, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით. დაფიქსირდა დერგი, რომელიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. გამომწვარია მოვარდისფრო-მოჩალისფროდ. ჭურჭელი სქელკედლიანია (დამტვრეულია).

KP 940. ამ თხრილშიც წინას ანალოგიური სურათია დაფიქსირებული. ჩანს ნაგებობის ნაშთები (კედლის წყობა), რიყის ქვით მოგებული იატაკი (?) და დერგი, რომელიც ანალოგიურია უკვე განხილულისა (დამტვრეულია).

KP 1007-1010. თხრილში უწყვეტად, მთელ სიგრძეზეა დაფიქსირებული სამოსახლოს არსებობა, მისი ყველა ნიშნის მიხედვით.

KP 1142-1143. ამ თხრილშიც ინტენსიური სამოსახლო დასტურდება.

თხრილებიდან ამოღებული მასალა დაცულია ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე (ტაბ. I).

თუ გავითვლისწინებთ იმ გარემოებას, რომ მილსადენის ტრასიდან 100-ოდე მეტრის დაშორებით მდებარეობს ანტიკური ხანის ნაქალაქარ ძალისას დედა-ციხე, აკროპოლისი, რომლის გარშემოც საცხოვრებელი უბნებია განლაგებული, გამორიცხული არ ჩანს, რომ თხრილებში სწორედ ამ უბნების ნაშთები დაფიქსირდა.

ერთი საცხოვრებელი უბანი უკვე გამოვლენილია და შესწავლილი ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. აქ გათხრილია: გრანდიოზული სასახლეები, აბანოები (მათ შორის მოზაიკურიატაკიანიც, რომელზედაც დიონისესთან დაკავშირებული სცენებია გამოსახული). ადმინისტრაციული შენობა და არქიტექტურულად საუკეთესოდ გადაწყვეტილი საცურაო აუზი (41 × 14 მ) საკუთარი წყალსადენითა და საკანალიზაციო კოლექტორით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ უბანში 6 წყვილი წყალსადენი და ორი საკანალიზაციო კოლექტორია გამოვლენილი, ყველა ნაგებობას საკუთარი წყალსადენი და საკანალიზაციო არხი აქვს. აბანოების გარდა გათბობის სისტემა სასახლეებშიც არის მოწყობილი. ნაქალაქარის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ II საუკუნის ბერძენი გეოგრაფოსი კლავდიოს პტოლომაიოსი ძალისას იბერიის არქიტექტურულად კარგად გაფორმებულ ქალაქთა შორის მოიხსენიებს.

2. თეზი. საცხოვრებელი ნაგებობა. ოთახი. ახ.წ. VII-VIII სს. მდებარეობს კასპის რაიონში, სოფ. თეზის ჩრდილოეთით, მთის ფერდობის ზედა ნაწილში, ნავთობსადენის მშენებლობის ზონაში, 567 და 568 ნიშნულებს შორის.

ნაგებობის დიდი ნაწილი გამოვლინდა მილსადენისათვის გაჭრილ 2,5 მ სიგანის თხრილში.

თხრილის გაწმენდით დადგინდა, რომ ნაგებობა მისგან ორივე მხარეს მდებარეობდა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩრდილოეთით დიდი რაოდენობით მიწა იყო მოზვინული, ხოლო კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო ვადა უკიდურესად იყო შეზღუდული, თხრილი მხოლოდ სამხრეთისაკენ გავაფართოვეთ 3,5 მეტრით.

გასათხრელ ფართობზე (12,5 × 5,5 მ^2) 0,3 მ ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ დაფიქსირდა მძლავრი კულტურული ფენა, რომლის სიმძლავრეც ზოგან 1,2 მეტრს აჭარბებდა და ძირითადად ნაცარ-ნახშირს, ცხოველთა დამწვარ ძვლებს, ბათქაშისა და ნალესობის, აგრეთვე მცირე რაოდენობით თიხის ჭურჭლის ნატეხებს შეიცავდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თიხის შვერილებიანი ფილის აღმოჩენის ფაქტი, რაც ამ მიდამოებში აბანოს არსებობის უტყუარი მანიშნებელია. ასეთი ფილები განკუთვნილია კედელთან თავისუფალი სივრცის შესაქმნელად და მხოლოდ აბანოებისა და გათბობის სისტემების მშენებლობისას გამოიყენება.

0,9 მ სიღრმეზე შემოიხაზა ოთახის სამ-



სურ. 1. გათხრების ზედი. ოთახის ნაწილი და მიმდებარე სამეურნეო ფართობი ორმოებით

ხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე (სურ. 1). იატაკი მოლესილი იყო. იატაკზე არსებული ბათქაშის ნატეხებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ნაგებობის კონსტრუქციაში ხის 8-10 სმ. დიამეტრის ძელები გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ძეგლის გათხრისას კრამიტყრილი არ დაფიქსირებულა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შენობას თავის დროზე მცენარეული გადახურვა ჰქონდა.

ოთახის თავდაპირველი ფართობის დადგენა არ მოხერხდა. გათხრილი ფართობი კი 21,5 მ^2-ს უდრის. იატაკზე თითქმის 0,1 მ სისქის ნაცრის შემცველი ფენა დაფიქსირდა. ოთახის, სავარაუდოდ, ცენტრალურ ნაწილში თიხით მოლესილი კერა აღმოჩნდა (სურ. 2).

კერის მახლობლად თიხის ჩალეწილი ოთხი ჭურჭლის ნატეხები გაიწმინდა. ოთხივე ჭურჭელი თითქმის მთლიანად აღდგა (სურ. 3-5).

ოთახს დასავლეთიდან ეკვრის სამეურნეო დანიშნულების ფართობი, რომლის მხოლოდ ნაწილია (3,4 × 8,6 მ^2) გათხრილი. აქ ოთხი ორმო შემოიხაზა. ორმოებში №№ 1, 2 და 4 მხოლოდ ნაცარ-ნახშირისა და წვრილფეხა საქონლის ძვლების ფრაგმენტები აღმოჩნდა, ხოლო № 3 ორმოში კი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები იყო ჩაყრილი. ნატეხების აწყობა და ფორმების აღდგენა შესაძლებელი გახდა (სურ. 6). ორმოს გარშემო ნაცროვანი ფენა დაფიქსირდა.



სურ. 2. ოთახის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი კერა



სურ. 3. კერასთან ნაპოვნი ჭურჭელი



სურ. 4. კერასთან ნაპოვნი ჭურჭელი



სურ. 5. კერათან ნაპოვნი ჭურჭელი. გრაფიკული რესტავრაცია

3. ნასოფლარი. მდებარეობს კასპის რაიონში. სოფ. თეზის ჩრდილოეთით არსებულ გორასა და მის მიმდებარე ვაკეზე. იგოეთი-ლამისყანის გზის ორსავე მხარეს, ნავთობსადენის მშენებლობის ზონაში, 566-568 ნიშნულებს შორის.

ექსპედიცია ერთი თვის მანძილზე მუშაობდა ქსნის სატუმბი სადგურისა და მასთან მისასვლელი გზისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე.

სამუშაო ორ უბანზე მიმდინარეობდა. I უბანი მოიცავს 2 ჰა ფართობს და მთის ფერდობზე მდებარეობს. II უბანი კი მის მიმდებარე ვაკეზე. მისი ფართობიც 2 ჰექტარია.



სურ. 6. ორმოში აღმოჩენილი ჭურჭელი

სულ გავლებული იქნა 10 სადაზვერვო თხრილი. №№ 1, 3, 4 და 5 თხრილებმა, რომლებიც ფერდობის სამხრეთ ნაწილში გაიჭრა, დაახლოებით ერთნაირი სურათი მოგვცა. ჰუმუსური ფენის აღებისთანავე გამოჩნდა ზემოდან დაცურებული რიყის ქვები. ამ ფენის შემდგომ კი თხრილებში 0,4-0,5 მ სიღრმეზე დაფიქსირდა ნაგებობათა ძლიერ დაზიანებული საძირკვლების ნაშთები. № 4 თხრილში კი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა.

თხრილი № 2 გავლებულ იქნა № 1 და № 3 თხრილებს შორის. მასში დაფიქსირდა მარნის ნაშთი (იხ. ქვემოთ).

№ 6 თხრილი გავლებულ იქნა ფერდობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მასში საწნახელი დაფიქსირდა. ის ადგილი კი, სადაც ქვევრები იყო ჩადგმული, მთლიანად ჩაშლილა საუკუნეთა მანძილზე.

საწნახელი ორნაწილიანია. ყურძნის წვენის ქვევრში ჩასასხმელად გამოყენებული მილები მხოლოდ ერთ ნაწილს აქვს. მეორე ნაწილში იგი ამოქოლილი და მოლესილია. საწნახელის ზომებია 7 × 4 მ^2.

თხრილები № 7 და № 8 გავლებულ იქნა ფერდობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, უშუალოდ ოკამი-ლამისყანის გზის მიმდებარედ. მათი ზომებია 4 × 0,9 მ^2 და 8 × 4 მ^2. თხრილებში მოჭიქული კერამიკის ნატეხები დაფიქსირდა.

თხრილი № 9 გავლებულია ფერდობის ცენტრალურ ნაწილში. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. თხრილის

თავდაპირველი ზომებია 42 × 2,5 მ². თხრილის დასავლეთ ნაწილში ჰუმუსური ფენის აღებისთანავე გამოჩნდა კედლის წყობა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო დამხრობილი და რომელიც თხრილის სამხრეთ კედელში შედიოდა. საჭირო გახდა თხრილის 4 მეტრამდე გაფართოება. კედლის წყება კვლავ გაგრძელდა.



სურ. 7. გრეხილორნამენტიანი ქოთანი

კედლის საძირკვლის რიყის ქვის წყობა თხრილის ცენტრალურ ნაწილშიც დაფიქსირდა. იგი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 2,8 მეტნრია, სიგანე 1,2 მ.

თხრილის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა რიყის ქვით კინრხსნარზე ნაგები იატაკი. იგი მოლესილი ყოფილა. იატაკის გამოვლენილი ნაწილის ზომებია 4 × 2,5 მ². იატაკი თხრილის ორსავე მხარეს ვრცელდება.

ამრიგად, თხრილში ძლიერი კულტურული ფენა დაფიქსირდა, რომელიც ძირითადად ნაგებობათა ნაშთებს შეიცავდა. გაიწმინდა ორი სამეურნეო ორმო, რომლებშიც ნაცარ-ნახშირი, ცხოველების ძვლები, ბათქაშისა და მოლესილობის ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ თხრილში დიდი რაოდენობით გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. II), მათ შორის ისეთი, რომელთა ფორმის აღდგენაც გახდა შესაძლებელი. მაგალითად ჭრაქი და გრეხილორნამენტიანი ქოთანი (სურ. 7).

თხრილი № 10 (8 × 4 მ²) გავლებულ იქნა ფერდობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ. თხრილში აღმოჩნდა თიხის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები.

ამრიგად, I უბანზე დაფიქსირდა სოფლის ტიპის სამოსახლოს არსებობა. რაც შეეხება II უბანზე წარმოებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს, აქ გავლებულ იქნა სამი სადაზვერვო თხრილი. მათში ძირითადად ნაგებობათა ნაშთები დაფიქსირდა. შესაძლებელი გახდა ორი სამშენებლო ფენის გამოყოფა: ზედა, რომელიც მიწის პირიდან 0,4-0,7 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს, თანადროულია I უბანზე მიკვლეული დასახლებისა. ხოლო მეორე, რომელიც გაცილებით ღრმად, 1,2-1,4 მ სიღრმეზე მდებარეობს, გაცილებით ხანდაზმულია. ამას ადასტურებს არა მხოლოდ მშენებლობის ტექნიკა, არამედ კრამიტის ნატეხების არსებობის ფაქტიც.

თხრილების მიმდებარე ტერიტორიაზე შეიმჩნეოდა ქვევრის ნატეხები. მიწის პირიდან 0,20 მ სიღრმეზე შემოხაზა წაგრძელებული სწორკუთხედი ნაგებობა, რომელიც საწნახელი აღმოჩნდა. 0,20 მ მიწის ფენის აღების შემდეგ გაიწმინდა ორნაწილიანი საწნახელი (6 × 1,8 მ). როგორც ჩანს იგი დიდხანს იყო ექსპლოატაციაში, რადგან სამჯერ შეუკეთებიათ. იგი განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლია.

ექსპედიციამ იგოეთ-ლამისყანის გზის ზედა ფართობზე სამაშველო სამუშაოები ჩაატარა. ჭრილში ჩანდა 2 სამეურნეო ორმო, ნაცარ-ნახშირის ფენები და კედლის წყობა (სურ. 8).



სურ. 8. მაშველი სამუშაოების მიმდინარეობა

არსებული თხრილები ორივე მხარეს გავაფართოვეთ და შესასწავლი ფართობი 48 მ^2-მდე გავზარდეთ.

მიწის პირიდან 1,8 მ სიღრმეზე დაიწყო გამოჩენა თიხის ჭურჭლის ნატეხებმა. კულტურული ფენის სისქე 1-1,3 მეტრია. მთელ ფართობზე დაფიქსირდა ძლიერი ნაცარ-ნახშირის ფენა და ორი სამეურნეო ორმო. ორმოებში, რომელთა სიმაღლე 0,8 მეტრია, ხოლო საშუალო დიამეტრი 0,4-0,5 მ შეადგენს, აღმოჩნდა დამწვარ-დანახშირებული ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები.

აღსანიშნავია, რომ აქ გამოვლენილი დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელი XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

საფიქრებელია, რომ ნასახლარი არსებული თხრილის ორსავე მხარეს ვრცელდება.

აქვე გამოვლინდა თიხის მოჭიქული ჯამი, მინის სამაჯურის და მინის სანელსაცხებლის ყურის ფრაგმენტები, რაც ამ ადგილას სამარხის არსებობაზე მიუთითებს.

4. ეკლესია. მდებარეობს კასპის რაიონში, სოფ. თეზის ჩრდილოეთით, ოკამი-ლამისყანის გზის მარცხენა – ზედა მხარეს, ფერდობის ცენტრალურ ნაწილში, მილსადენის მშენებლობის ზონაში, 566 და 567 ნიშნულებს შორის (სურ. 9).

აქ გამოვლენილი ნაგებობის გათხრილი ნაწილის სიგრძეა 8,5 მეტრი, სიგანე კი 6,5 მეტრი უნდა ყოფილიყო. თხრილი გავლებული იყო ეკლესიის სამხრეთ კედლიდან 4 მეტრის დაცილებით. ჩვენს მიერ გათხრილია 8,5 × 4 მ^2 (სურ. 10).

ჭრილში კარგად ჩანდა ძლიერი კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა: თიხის ჭურჭლებსა და ნატეხებს, ხის კონსტრუქციის დამწვარ-დანახშირებულ ნაშთებს, რიყის ქვის კედლის წყობის და მოლესილობისა და ბათქაშის ნატეხებს.



სურ. 9. მილსადენისათვის გაჭრილი თხრილი



სურ. 10. ეკლესიის გათხრების საერთო ხედი



სურ. 11. ეკლესიის აფსიდა და თარო



სურ. 12. ეკლესიაში აღმოჩენილი კერამიკა

მიწის პირიდან 0,9 მეტრზე შემოიხაზა წიდების კონტური. კედლები ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლეა 0,9 მეტრი. კედლებში 0,8-0,9 მ ინტერვალით, რიყის ქვის წყობაში ხის ძელები იყო ჩაშენებული. ნაგებობა დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მას მშვენივრად გამოყვანილი აფსიდა აქვს, რომელსაც მთელ სიგრძეზე, იატაკის დონიდან 0,6 მეტრ სიმაღლეზე, 0,5 მ სიგანის კარგად შელესილი თარო შემოუყვება. თაროზე თიხის ჭურჭლები ეწყო (სურ. 11, ტაბ. III).

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის შიდა ფართობის პრეპარაციის დროს დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლები ჩნდებოდა (სურ. 12).

ეკლესია დაშენებული იყო უფრო ადრეულ ნაგებობაზე. უდროობის გამო არ მოხერხდა მისი შესწავლა.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩავჭერით 2 × 1 მ^2 თხრილი. მასში ქვევრი და ქვევრის ძირი აღმოჩნდა. ქვევრს მრგვალ-ბრტყელი სარქველი ეფარა. ქვევრი დამზადებულია მცირე მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია მოწითალოდ. ზედაპირი თოკისებური ორნამენტით არის შემკული. ასეთი ქვევრები ადრეულ შუა საუკუნეებშია გავრცელებული (სურ. 13).



სურ. 13. ქვევრი ეკლესიიდან

5. მარანი. მდებარეობს კასპის რაიონში,



სურ. 14. მარანი. საერთო ხედი

სოფ. თეზის ჩრდილოეთით, მთის ქვედა ფართობზე, ნავთობსაქაჩი სადგურის გზისათვის განკუთვნილ ფართობზე, 566 და 567 ნიშნულებს შორის.

მარნის მთის ფერდობზე მდებარეობამ განაპირობა ის, რომ მისი მხოლოდ ნაწილი შემორჩა (სურ. 14).

საწნახელი თაღარსა და ქვევრს თიხის მილებით უკავშირდებოდა (სურ. 15).

მარანი დიდი ხნის განმავლობაში ყოფილა მოქმედებაში. მის კედლებზე შელესილობის სამი ფენა დაფიქსირდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მარნის ტერიტორიაზე კულტურულ ფენაში კერამიკული



სურ. 15. მარანი. თაღარი და ქვევრი

0,2 მ ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ დაფიქსირდა რიყის ქვით დუღაბზე ნაგები კედლის წყობა, რომელიც მარნისა და საწნახელის ჩრდილოეთი კედელი აღმოჩნდა. მისი სიმაღლეა 2,2 მ.

1,7 მ სისქის მიწის ფენის აღების შემდეგ შემოისაზღვრა რიყის ქვის დუღაბზე ნაგები ორნაწილიანი საწნახელი. საწნახელის დანარჩენი კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,2 მეტრია. საწნახელის ზომებია: გარეთა: 6,8 × 2,4 მ^2, შიგნითა – 5,8 × 1,2 მ^2. საწნახელის აღმოსავლეთით, მისგან 0,5 მეტრის დაშორებით გაიწმინდა შესანიშნავად ნაგები თაღარი და ქვევრი. მასალა არ დაფიქსირებულა.

6. იგოეთი. ნამოსახლარი, სამარხები. მდებარეობს კასპის რაიონში, სოფლების იგოეთისა და სამთავისის მიმდებარე ტერიტორიაზე, იგოეთ-სამთავისის გზის ორსავე მხარეს, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ნიშნულები 573-575.

სამოსახლოს ტერიტორიაზე, იგოეთი-სამთავისის გზის მარჯვენა მხარეს გავლებულ ოთხ თხრილში ძლიერი კულტურული ფენა დაფიქსირდა. აღმოჩნდა: იატაკის მოლესილობის ფრაგმენტი, ნახევარაგურები, ქვევრებისა და დერგების ნატეხები. ჭრილში ჩანდა კედლის წყობის ნაშთებიც.

ექსპედიციამ მცირე ფართობზე აწარმოა გარკვეული სამუშაოები. დაფიქსირდა სამოსახლოს ფრაგმენტი. მიწის პირიდან 0,8 მ სიღრმეზე გაიწმინდა კრამიტყრილდის ნაშთი, რომელიც ძირითადად ბრტყელი, გვერდებაკეცილი, წითლად შეღებილი კრამიტისაგან შედგებოდა. მრგვალი კრამიტის ნატეხები ძალიან ცოტა იყო. კრამიტყრილის აღების შემდეგ გამოჩნდა რიყის ქვით ნაგები საძირკვლის ნაშთი. 1,2 × 0,9 მ^2 განათხარ ფართობზე თიხის ჭურჭლის ნატეხები არ დაფიქსირებულა. შეგროვდა კრამიტების დიდი რაოდენობა და ცოტაოდენი კერამიკა (ტაბ. IV).

სამოსახლო ვრცელ ტერიტორიაზეა დაფიქსირებული, მაგრამ ამჯერად მისი შესწავლის საშუალება ექსპედიციას კონტრაქტით გათვალისწინებული, უკიდურესად შეზღუდული დროის გამო, არ მოხერხდა.

სამოსახლოს ტერიტორიაზე მოხერხდა ორი სამარხის მიკვლევა და გაწმენდა. ორივე სამარხი ნაკლული იყო.

სამარხი № 1. მიწაყრილიანი ორმოსამარხია. მდებარეობდა მდ. ლეხურას ნაპირზე, ვაკეზე. სამარხის ძირითადი ნაწილი ხრამში იყო ჩაშლილი. ჩონჩხის ნაწილი კი მიწის პირზე ეყარა.

სამარხი № 2. მიწაყრილიანი ორმოსამარხია. მიწის პირიდან 0,6 მ სიღრმეზე შემოისაზღვრა სამარხი ორმო (1,9 × 0,75 მ^2). მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილი. ჩონჩხი დაზიანებული და ნაკლული იყო. მას თავის ქალა აკლდა.

სამარხი დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა: მიცვალებულის ზურგის არეში 2 მოზრდილი ქოთანი, ფეხებთან დერგი და ქოთანი. მუცლის არეში თითქმის მთლიანად ჩალეწილი თიხის ორი ჭურჭელი გაიწმინდა, რომელთა ბოლომდე აღდგენა არ მოხერხდა. მიცვალებულის ჩონჩხი სამარხში მიმობნეული იყო ლანგრის ნატეხებზე.

ქოთნები დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ, მათ ფართო პირი, დაბალი ყელი, თანაბრად მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვთ. ყველა მათგანს ეტყობა ცეცხლის კვალი. ქოთნის ზომებია: პირის დმ – 12 სმ, მუცლის – 21 სმ, ძირის – 10 სმ; სიმაღლე – 25 სმ.

დერგი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფრო-მოჩალისფროდ. მას ვიწრო პირი, დაბალი ყელი, შემაღლებული კორპუსი და ფართო, ბრტყელი ძირი აქვს. მისი ზომებია: პირის დმ – 9 სმ, მუცლის – 19 სმ, ძირის – 12 სმ; სიმაღლე – 33 სმ. კეცის სისქე – 0,8 სმ.

ლანგარი დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოჩალისფროდ. სქელკეციანია. მას ფართო, ოდნავ მოყრილი პირი, თანაბრად მომრგვალებული კიდე და ფართო, ბრტყელი ძირი აქვს. ზედაპირი გაპრიალებულია. ლანგრის ზომებია: პირის დმ – 21 სმ, ძირის – 18 სმ; სიმაღლე – 12 სმ; კეცის სისქე – 1,2 სმ.

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. კეცისა და ფორმის მიხედვით ორი ჭურჭლის არსებობაა სავარაუდო. ისინი ფართო პირიანი ქოთნებია. ორივე კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული. აქვთ ფართო ძირი. ორივე ჭურჭელს ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

სამარხი სამოსახლოს სინქრონულია და ახ.წ. II საუკუნეებით თარიღდება.

Nino Mirianashvili

NASTAKISI ARCHAEOLOGICAL EXPEDITION

A number of features interesting in many aspects have been discovered in village Tezi of Kaspi district and its vicinity. These features are wine storage, residential building.

The wine storage occupies 7 × 6 m^2 area and is built of stones and mortar. A wine-press (6.8 × 2.5 m^2) is a main part of the storage. The plastered wine-press is also made of cobbles and mortar. It had apparently been used for a long time since it has been plastered and repaired several times.

The press nave is comprised of two chambers; each joined with pithoi with clay pipes through which grape juice used to flow into pithoi. The wine storage is dated by 13th–14th cc.

The original size of the residential building cannot be determined. The part which survived occupied 12.5 × 5.5 m^2. A hearth plastered with clay was exposed in its western part. Pottery was collected around the hearth. The building is dated by 5th-7th cc.

A fragment of a bath-house tile with a joining spike was discovered in the building, which indicates that a bath-house used to be located on this site.

Discovery of a 11th-12th cc church is of particular significance. The original size of the church cannot be determined. The length of the excavated part is 8.5 m. The church must have been 6.5 m wide.

The church used to have a beautiful apse built of cobbles and mortar. Wood planks had been put in stone masonry at 0.8 - 0.9 m intervals. The maximum height of the remaining walls is 0.9 m. A 0.5 m wide shelf was located at the height of 0.6 m from the apse floor. The shelf was used for pottery. A lot of pottery was collected in the church, which is quite rare.

The church was built on an older structure. Remnants of a wine storage were identified in the northern-eastern part. One pithos with a rope-type ornament has been cleaned. It is generally dated by 5th-7th cc.

Features located near villages of Samtavisi and Igoeti are of particular significance.

Pit-type tombs were identified directly within the construction zone. These tombs are dated by 2nd cent. on the basis of collected pottery. A small part of a building with a lot of roof tiles has been identified. Cobble foundation of a 1.20 m long and 0.8 m wide wall was cleaned. This building is dated by 1st-2nd cc. on the basis of the collected tiles.

A part of a fortification building dating from 3rd-2nd cc. B.C. was exposed during construction works on Igoeti hill.


0 1
1


2
0 1


3
0 1


0 3
4


5


0 2
6


7
0 1


0 1
9


10


0 1
8


11

ტაბ. II









ალექსანდრე რამიშვილი

მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები ფლევის ნავთობსატუმბი სადგურის მშენებლობისას

ხაშურის რაიონის ფლევის საკრებულოს სოფ. ნაცარგორის ტერიტორიაზე, ფლევის ნავთობსატუმბი სადგურის მშენებლობა მიმდინარეობდა ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეული მრავალფენიანი (ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული გვიანანტიკური ხანის ჩათვლით) ნამოსახლარისა და შესაბამისი სამაროვანის ჩრდილოეთით 500 მ-მდე დაცილებით. უშუალოდ ნავთობსატუმბი სადგურის მშენებლობის ტერიტორიაზე, მას შემდეგ, რაც მშენებლებმა მიწის თხრის დროს იპოვეს შუბისპირი და ეს ფაქტი აცნობეს არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, ექსპედიციამ მიაკვლია და გათხარა გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის 5 სამარხი, რომელთაც მივეცით ნომრები 510-514-მდე (გავაგრძელეთ იქვე მეზობლად, ფლევის ღელის მარჯვენა ნაპირზე, ექსპედიციის მიერ გათხრილი სამარხების ნომრები).

სამარხი № 510. აღმოჩნდა ნავთობსატუმბი სადგურის სამშენებლო მოედნის დაახლოებით ცენტრში (სურ. 1). დასარძალავი ორმო შემორჩენილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წაგრძელებული მართკუთხედის სახით ზომით 2,0 × 1,7 მ. სამარხს წაცლილი ჰქონდა ჩრდილოეთის, ალბათ 0,5 მ სიგრძის ნაწილი.

სამარხი ინჰუმაციური იყო. უძრავად დაგვხვდა ჩონჩხის ქვედა ნაწილი, ბარძაყის ძვლები. ჩონჩხის შემორჩენილი ნაწილების მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით სამარხის კედლის გასწვრივ. სამარხში აღმოჩნდა თიხის 5 ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევარი, შუბისპირი, ორთითი (?), საკინძე და საქონლის ძვლები. ინვენტარი ძირითადად განლაგებული იყო მიცვალებულის წინ (ტაბ. I).

1. სადღვებელი (?), თიხის, პირშესქელებული, დაბალი ყელით, ოდნავ დაქანებული მხარითა და ძირისაკენ შევიწროებული ტანით. ძირი პატარა და ბრტყელი აქვს. მხარზე დატანებული პატარა ხვრელი საშუალებას გვაძლევს ეს ჭურჭელი ჩავთვალოთ სადღვებელად.

ჭურჭლის მხარი შემკულია ამოღარულ ტალღისებურ სარტყლებს შორის მოქცეული ამოღარული ხაზებით. ჭურჭლის ზედაპირი შავპრიალაა, კეცი – რუხი-მოწითალო.

აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან, ჩრდილოეთიდან პირველი.



2. დორა, თიხის, გადმოშილილი პირითა და დაბალი, თითქმის ცილინდრისებური ყელით, მხარი მკვეთრად დაქანებულია, ხოლო თითქმის სფეროსებური ტანი ასევე მკვეთრად შევიწროებული ქვემოთკენ; ძირი პატარა და ბრტყელია. აქვს ტანის ზედა ნაწილში მიძერწილი მართკუთხა განივკვეთიანი ყური, ზედაპირზე ორი სიგრძივი ღარითა და ამ ღარების გარედან ქვემოთკენ დაქანებული ირიბი ნაჭდევების მწკრივით.

ყელს ქვემოთ, მუცლის ჩათვლით, ჭურჭლის ტანი დაფარულია ამოღარული სახეებით შედგენილი ხაზებით, რომელთა შორის დომინირებს წესიერად მიახლოვებული რომბისებური ფიგურების მწკრივი.



ჭურჭლის ზედაპირი შავია, კეცი რუხი.

აღმოჩნდა № 1-ის უშუალოდ სამხრეთით, სამარხის დასავლეთ კედელთან.

3. დორა, თიხის, პირშესქელებული, რამდენადმე მომაღლო ყელით, დაქანებული მხარით და ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული ქვედა ტანით. ჰქონია ორი ზოომორფული ყური. მათგან შემორჩენილია მხოლოდ ერთი, რომლის ზედაპირსაც გასდევს სამი ამოღარული ზოლი.



ჭურჭლის მხარი შემკულია. ყელის ძირში შემოსდევს ამოღარულ ხაზებს შორის მოქცეული მჭიდროდ მიჯრილი ორმუხლიანი ტეხილი ხაზების მწკრივი, ხოლო უშუალოდ მის ქვემოთ ჭურჭლის ტანის ზედა ნაწილს შემოსდევს ამოღარულ ზოლებს შორის მოქცეული ფრიზი. ეს უკანასკნელი ვერტიკალური ზოლებით დაყოფილია 7 დაახლოებით თანაბარ ნაწილად. ვერტიკალურ ზოლებს შორის დარჩენილი არეები კი შევსებულია მჭიდროდ მიჯრილი რვა მუხლიანი ტეხილის 17-18 მწკრივით.

ჭურჭლის ზედაპირი შავპრიალაა, კეცი რუხი.

აღმოჩნდა № 2-ის სამხრეთით, სამარხის დასავლეთ კედელთანვე.

4. ქოთანი, თიხის, ოდნავ გადაშლილი პირით, დაბალი ყელითა და ოდნავ შესამჩნევი მხარით. ტანი თანდათანობით ვიწროვდება ქვემოთკენ, ძირი კი ბრტყელი აქვს. მხარზე შემოსდევს ირიბ ნაჭდევებს შორის მოქცეული ამოღარული სარტყლები, ხოლო პირს შიდა მხარეს ამოღარული ზოლი.

ჭურჭლის ზედაპირი რუხი-მოშავოა, კეცი — რუხი.

აღმოჩნდა სამარხის ცენტრში.





5. ქილა, თიხის, პატარა, ვიწრო, ბიკონუსური ტანითა და ბრტყელი ძირით. პირს ქვემოთ ამოღარული სარტყელი აქვს.

გამომწვარია რუხ-მოწითალოდ. ტანზე შავი ლაქებით. აღმოჩნდა № 1 თიხის ჭურჭელში.

6. სატევარი, ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, დაღარულზედაპირიანი, მომრგვალებულწვერიანი პირითა და ჩარჩოიანი ტარით, რომელშიც ჩასმული იყო ხე (აღმოჩნდა ხის ტარზე დასამაგრებელი მართკუთხაგანივკვეთიანი ბრინჯაოს 3 მანჭვალი). ტარი შემკული ყოფილა ბრინჯაოს პატარა ფიგურებით. აღმოჩნდა რვაქიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ცენტრში ერთ მხარეს მირჩილული ჰქონდა (სატევარზე დასამაგრებლად) ბრინჯაოს პატარა ღერაკი. სხვათა შორის, ვარსკვლავი შემონახული იყო სატევრის ქუდის ცენტრში, დაახლოებით ისე, როგორც ეს სატევრის ჩანახატზეა მოცემული, ხოლო დანარჩენი ოთხი ფიგურა, მათგან ორი პატარა რომბი და ორი ასევე პატარა სამკუთხედი, დაძრული იყო თავის ადგილიდან და ამიტომ მათი განლაგების საკმაოდ ბევრი ვარიანტი არსებობს. როგორც ვარსკვლავს, ასევე რომბებსა და სამკუთხედებს უკანა მხრიდან მირჩილული ჰქონდა ბრინჯაოსავე პატარა ღერაკები სატევრის ტარში ჩასასმელად.



სატევრის ვადა შესქელებულია და ორივე მხრიდან გასდევს 5-5 ამოღარული ხაზი. ტარის ნაპირები ორივე მხრიდან დაკბილულია, ხოლო ჩარჩოს ძირი – დაფანჯრული; ვადის ზემოთ ამოჭრილია ტოლფერდა სამკუთხედი, ხოლო ტარის ნახევარიწრის ფორმის თავს თაღში ამოჭრილი აქვს 3 ტოლგვერდა სამკუთხედი წვერებით შიგნითკენ. კიდევ ერთი, ელიფსის ფორმის ხვრელი აქვს სატევარს ტარზე ქუდისა და ტარის ყელის საზღვარზე, ვიწრო ნაწილით ქვემოთ.

სატევარი აღმოჩნდა ბარძაყის ძვალთან, ცალი ფხით მიწაზე.



7. შუბისპირი, ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი, მომრგვალებული მკვეთრი ქედით პირის მთელ სიგრძეზე. მასრას გაკეთებული აქვს 2 სამანჭვლე ხვრელი. შუბისპირს წვერი მცირედ მოღუნული აქვს, მაგრამ მე მიჭირს იმის თქმა, ასე ჩაატანეს ის მიცვალებულს, თუ აღმოჩენის დროს მოიღუნა. სწორედ ეს შუბისპირი გამოჩნდა მიწის სამუშაოების დროს პირველად.

აღმოჩნდა ბარძაყის ძვალსა და № 3 ჭურჭელს შორის.

8. საკინძე, ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, ბოლო დაწვრილებული. ზედა ნაწილში მირჩილული აქვს მრგვალი ყუნწი. ყუნწს ზემოთ კი ღეროზე დარჩილულია ოთხფეხა ცხოველი ძლიერი ტანითა და გრძელი კუდით (ძაღლი ?). ცხოველი დგას თავით ყუნწისაკენ (წვეროსაკენ), კუდი კი მორკალული დევს საკინძის ბოლოზე. სწორედ კუდის ასეთი სიგრძე აყენებს ეჭვქვეშ ფიგურის იდენტიფიკაციას ძაღლთან.



საკინძი აღმოჩნდა სატევართან, მის დასავლეთით, წვეროთი აღმოსავლეთისაკენ.



9. ორთითა, ბრინჯაოსი, მართკუთხა განივკვეთის მქონე ყუნწით. შერჩენილი აქვს ერთი თითი, რომელიც მკვეთრად მოღუნულია, მეორე კი მოტეხილი და დაკარგულია.

აღმოჩნდა № 4 თიხის ჭურჭელში.

10. ცხოველის ძვლები, მსხვილფეხა საქონლის ქვედა ყბა აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, № 1 ჭურჭლის ჩრდილოეთით, ხოლო წვრილფეხა საქონლის კბილები — სამარხის სამხრეთ ნაწილში, სატევრის აღმოსავლეთით.

სამარხი № 511. აღმოჩნდა № 510 სამარხის დასავლეთით დაახლოებით 15-ოდე მეტრზე. დასაკრძალავ ორმოს გეგმაში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა ჰქონდა (ზომები — 2,1 × 1,0 მ). სამარხში აღმოჩნდა თიხის 3 ჭურჭელი და ბრინჯაოს 2 ღილი (ტაბ. II).

1. დორა (?), თიხის, პირგადაშლილი, ყელდაბალი, დაქანებული მხარით, ბრტყელძირა. მხარზე შემოსდევს ამოღარულ ხოლებს შორის მოქცეული, ასეთივე ხოლით გაყოფილი სარტყელი, წვეროთი ზემოთ მიმართული სამკუთხედის თითო მწკრივით. ზედა მწკრივის სამკუთხედში ჩახატულია 3-3 სამკუთხედი, ქვედას კი ზედაპირი დაღარული აქვს პარკეტულად. ჭურჭლის ზედაპირი შავია. აღდგენილია ნაწილობრივ, ამიტომ ძნელი სათქმელია, ჰქონდა მას ყური თუ არა.

აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.



2. ჯამი, თიხის, ოდნავ გადმოშლილი პირითა და სწორი გვერდით. დამზადებულია მქისე თიხისაგან, გამომწვარია მოწითალოდ. დაშლილია.

აღმოჩნდა № 1 ჭურჭლის დასავლეთით.



3. ქოთანი, თიხის, პირგადაშლილი, მხარზე ირიბ ნაჭდევებს შორის მოქცეული



ამოღარული სარტყლებით. ამოღარულივე ზოლი აქვს პირზეც ზემოდან. ზედაპირი შავია, კეცი – რუხი-მოწითალო. ძლიერ დაშლილია.

აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო ნაწილში.

4. ღილი, ბრინჯაოსი (2 ცალი), ნახევარსფერული, შიდა მხარეს ყუნწით. ერთი მათგანი გატეხილია.



აღმოჩნდა № 2 ჭურჭლის ნატეხებთან.

სამარხი № 512. აღმოჩნდა № 511 სამარხის ჩრდილო-დასალეთით დაახლოებით 15 მ-ზე. სამწუხაროდ, არ მოხერხდა არც დასაკრძალავი ორმოსა და არც მიცვალებულის პოზის დადგენა. ასევე ვერ მოხერხდა იმის გარკვევაც, ინჰუმაციურია თუ არა ეს სამარხი.

ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა დაზიანებულმა თიხის ჭურჭელმა.

1. დერგი, თიხის, ბრტყელძირა, ყელისა და მუცლის არეში ამოღარული სარტყლებით. აქვს შავპრიალა ზედაპირი და რუხი-მოწითალო კეცი. ჭურჭელი ძლიერ დაშლილია.





აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

2. ჯამი, თიხის, პირშესქელებული, გვერდის ძირში ამოღარული სარტყლით, ბრტყელძირა. ჭურჭელს შავპრიალა ზედაპირი და რუხი კეცი აქვს. იგი ძლიერ დაშლილი და ნაკლულია, მაგრამ იძლევა საშუალებას ფორმის სრული აღდგენისა.

აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში.

სამარხი № 513. აღმოჩნდა № 510 სამარხის ჩრდილოეთით 20-25 მ-ის დაცილებით. დასაკრძალავ ორმოს გეგმაში ჩრდილო-დასავლეთის მქონე მართკუთხედის ფორმა აქვს (ზომები – 1,8 × 1,4 მ). სამარხი ინჰუმაციურია. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით სამხრეთისაკენ. მიცვალებული - კბილების მიხედვით ზრდასრული ინდივიდი - დაკრძალული იყო სამარხის ჩრდილო ნაწილში (სურ. 2).

სამარხში აღმოჩნდა თიხის 5 ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევარი და ხელშუბისპირი (ტაბ. III).

1. დერგი, თიხის, პირშესქელებული, გოფრირებული ყელით, სფეროსებური, ძირისკენ შევიწროებული ტანითა და ბრტყელი ძირით. მხარის ბოლოს შემოსდევს ორ ამოღარულ ზოლს შორის მოქცეული ამოღარუ-



ლივე ტალღისებური ზოლით შედგენილი სარტყელი. ჭურჭლის ზედაპირი შავპრიალაა, კეცი – რუხი-მოწითალო.

აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.



2. კოჭობი, თიხის, ოდნავ გადმოშლილი პირით, რამდენადმე ბიკონუსურტანიანი, ბრტყელძირა, მოწითალო ზედაპირითა და შავი კეცით.

აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან.

3. ჯამი, თიხის, პირგადმოშლილი, ბრტყელქუსლა, შავი ზედაპირითა და კეცით, ძალიან ცუდად გამომწვარი. ავიღეთ ნაწილობრივ მიწიანად.



აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო კედელთან, მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ.

4. ჯამი, თიხის, შესქელებულპირიანი, სწორგვერდიანი, ბრტყელქუსლა, შავი ზედაპირითა და წითელი კეცით. გამომწვარია ძალიან ცუდად. ნაწილობრივ ავიღეთ მიწიანად.



აღმოჩნდა № 3 ჭურჭლის უშუალოდ აღმოსავლეთით.

5. ქოთანი, თიხის, გადმოშლილი პირით, დაბალი ყელით, მკვეთრად დაქანებული მხრებითა და ძირისაკენ თანდათან შევიწროებული ტანით. ძირი ოდნავ შესამჩნევი ბრტყელი ქუსლის მქონეა. ძირის კიდეს შემოსდევს ირიბი ნაჭდევები, ხოლო თავად ძირი დაფარულია ამოღარული სპირალით. მხარეზე შემოსდევს ამოღარული ზოლები, რომელიც ზემოდან ასეთივე ტალღისებური ზოლით, ხოლო ქვემოდან ირიბი ნაჭდევებითაა შემოფარგლული. ჭურჭლის ზედაპირი შავია, ზოგან თითქოს მორგვის კვალით.





აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან, თითქმის შუაში.



6. სატევარი, ბრინჯაოსი, ტარშეურჩენელი, პატარა ყუნწით, სამანჭვალეე ხვრელით, ფართო, მომრგვალებული მხრებითა და თითქმის სწორი, შედარებით ვიწრო პირით; პირის მთელ სიგრძეზე სატევარს გასდევს მკვეთრი ქედი. წვერი მომრგვალებული აქვს. ხის ტარი, როგორც ჩანს, ოდნავ გადმოდიოდა მხრებზე და დამაგრებული იყო თითო მანჭვლიანი ბრინჯაოს გარსაკრავებით. გარსაკრავების ზედაპირი დაღარულია პარკეტულად.



აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში.

7. ხელშუბისპირი, ბრინჯა-

ოსი, მასრაგახსნილი, მკვეთრქედიანი პირით. მასრის ბოლოში დატანებული აქვს ორი სამანჭვლე ხვრელი.

აღმოჩნდა მიცვალებულის ხელის მტევანთან.

სამარხი № 514. აღმოჩნდა სამშენებლო ფართობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან. სამარხი გამართული იყო ზუსტად მხარეების მიმართ დამხრობილ კვადრატულ ორმოში, ზომებით 1,2 × 1,2 მ-ზე. სამარხი, როგორც ჩანს, კენოტაფი იყო, რადგანაც არ აღმოჩნდა ძვლის მცირე ნაშთიც კი. სამარხში ჩალაგებული იყო თიხის ძლიერ დაშლილი 6 ჭურჭელი და მინის (პასტის) მძივები (ტაბ. IV).

1. ტოლჩა, თიხის, რამდენადმე კასრისებური ფორმის, ბრტყელძირა, მართკუთხა განივკვეთიანი ზოომორფული ყურით. პირს ქვემოთ შემოსდევს ირიბი ნაჭდევები და შემდეგ ამოღარული სარტყლები. ირიბი ნაჭდევები შემოსდევს ძირის კიდესაც. გამომწვარია რუხად.



აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში.

2. კოჭობი, თიხის, ოდნავ გადმოშლილი, დაბალი ყელით, წითელკეციანი, შავი ზედაპირით, ძლიერ დაშლილი.

აღმოჩნდა № 1 ჭურჭლის აღმოსავლეთით.

3. ქოთანი, თიხის, პირგადმოშლილი, დაბალი, კონუსისებური ფორმის მქონე ყელით, სფეროსებური ტანით, ბრტყელძირა, ალბათ ცალყურა (მართკუთხა განივკვეთიანი, ნაპირებზე და შუაში სიგრძივად გასდევს მკრთალი ირიბი ნაჭდევები). მხარზე შემოსდევს ირიბ ნაჭდევებს შორის მოქცეული ამოღარული სარტყლები, ძირის კიდეს კი - ასევე ირიბი ნაჭდევები. დამზადებულია მქისე თიხისაგან. გამომწვარია რუხ-მოყავისფროდ.



აღმოჩნდა № 2 ჭურჭლის აღმოსავლეთით.

4. ქოთანი, თიხის, პირგადმოშლილი, ყელდაბალი, მკვეთრად დაქანებული მხრებით, ძირისკენ შევიწროებული ტანითა და ბრტყელი ძირით. მხარზე შემოსდევს ამოღარულ ხაზებს შორის მოქცეული, ერთმანეთისაკენ წვეროთი მიმართული ნაჭდევი სამკუთხედების მწკრივი. გამომწვარია შავად.



აღმოჩნდა № 3 ჭურჭლის უშუალოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით.

5. ქოთანი, თიხის, ოდნავ პირშესქელებული, ყელდაბალი, სფეროსებური ტანით, ბრტყელძირა. მხარზე ამოღარული ზოლებით. დამზადებულია თეთრჩანართებიანი თიხისაგან. შავზედაპირიანი, ნაცრისფერი კეცით.



აღმოჩნდა № 4 ჭურჭლის ჩრდილოეთით.

6. ქოთანი, თიხის, ბრტყელძირა, შავზედაპირიანი, ნაცრისფერი კეცით. აღმოჩნდა № 5 ჭურჭლის აღმოსავლეთით.



7. მძივი, მინის (პასტის), მწვანე, შვიდი რგოლისებური და რვა ბიკონუსური. გაფანტული იყო თიხის ჭურჭლებს შორის.



შეთხვევით აღმოჩენილი ნივთები ნავთობსატუმბი სადგურის ტერიტორიაზე.

სატევარი, ბრინჯაოსი, მოტეხილი და დაკარგულია ჩარჩოიანი ტარის ზედა ნახევარი. სატევარი მთლიანადსხმულია, რამდენადმე პატარაა, თორემ სხვა მხრივ მსგავსია აქვე, № 510 სამარხში აღმოჩენილი სატევრისა. განსახილველ სატევარსაც ტარის ქვედა ნაწილში ამოჭრილი აქვს ტოლფერ-



და სამკუთხედი, ხოლო ტარის ნაპირები დაკბილულია. ვადა შესქელებული და დაღარული აქვს. პირი თანაბრად ვიწროვდება წვერისაკენ, რომელიც რამდენადმე მომრგვალებულია. პირს თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს დაბალი შესქელებული ქედი სასისხლე ღარებით. ქედი თითქმის მთელ სიგრძეზე შემკულია ოთხიდან (წვეროსკენ)

შვიდი (ვადისაკენ) ამოკაწრული ხაზებით შედგენილი შვიდმუხლიანი ტეხილით. გარდა ამისა, ვადის ქვემოთ, სასისხლე ღარებს ზემოდან საზღვრავს ამოღარულ ხაზებს შორის მოქცეული ირიბი ნაჭდევების მწკრივი.



სატევარი, ბრინჯაოსი, ტარშეურჩენელი, პატარა ყუნწით. ყუნწის თავსა და მხრებს შერჩენილი აქვს თითო სამანჭვლე ხვრელის ქვედა ნახევარი. სატევრის ზედა ნაწილი ფართოა, მომრგვალებული მხრებით. ქვედა ორი მესამედი კი თითქმის სწორი, ვიწრო, მკვეთრქედიანი, მომრგვალებულწვერიანი პირია.

სანაყი, ქვის, ერთ მხარეს ამოღარული ფოსოთი.



მიუხედავად სატუმბი სადგურის მშენებლობის დროს აღმოჩენილი სამარხების მცირერიცხოვნებისა, მეტად დიდია მნიშვნელობა ამ სამარხებში აღმოჩენილი მასალისა, როგორც თვით ნაცარგორის სამაროვნის, ასევე საერთოდ საქართველოს არქეოლოგიისათვის. ჯერ ერთი, ნავთობსატუმბის მშენებლობის ფართობში გამოვლენილი სამარხები ეკუთვნიან გვიანი ბრინჯაოს ხანის უადრეს პერიოდს, რომელიც მხოლოდ მეოთხედი საუკუნის წინ გამოიყო ცალკე პერიოდად. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის არა თუ სამარხები, არამედ ერთი ნატეხიც კი არ აღმოჩენილა აქამდე ნაცარგორის ჩვენს მიერ შესწავლილ საკმაოდ ვრცელ უბანზე, მაშინ, როდესაც ეს პერიოდი საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი იქვე, ღელის გაღმა მდებარე 8 მ სისქის კულტურული ფენების მქონე ნასახლარზე.

ხუთივე სამარხში აღმოჩნდა თიხის 21 ჭურჭელი, მათ შორის აღსანიშნავია ამ დროისათვის დამახასიათებელი დერგები, ფართომხრიანი ორყურა ქოთნები-დორები, ქოთნები, ჯამები და კასრისებური ქილა. ასევე ამ დროისათვის არის დამახასიათებელი აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის შემკულობაც: ამოღარული სარტყლები, მჭიდროდ მიჯრილი ტეხილი ხაზებითა და ამოღარული ვერტიკალური ზოლებით შედგენილი ფრიზები, ამოღარული ხაზებით შედგენილი რომბული და სხვა სახეები, ირიბი ნაჭდევები ჭურჭლის ძირის კიდეზე, ნაჭდევი სამკუთხედები და სხვ. მსგავსი ფორმისა და შემკულობის კერამიკა ცნობილია სინქრონული სამაროვნებიდან (სამთავრო, წეროვანი, ბერიკლდეები და სხვ.) და ნამოსახლარებიდან (ნაცარგორა, ცხინვალისა და აქვე ღელის გაღმა მდებარე, საციხურის გორა წაღვლში, მჭადიჯვრის გორა, ყათლანიხევი და სხვ.).

არანაკლები მნიშვნელობისაა საქართველოს და საერთოდ კავკასიის არქეოლოგიისათვის ნავთობსატუმბის მშენებლობისას გამოჩენილი მანამდე ნაკლებად ცნობილი ტიპის სატევრებისა და საკინძის აღმოჩენა საკმაოდ კარგად შემონახულ კომპლექსებში. საერთოდ თიხის ჭურჭელთან ერთად ნავთობსატუმბის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ორ-ორი სატევარი ორი ტიპისა, მასრაგახსნილი ორი შუბისპირი, ყუნწიანი ორთითი, სკულპტურულგამოსახულებიანი საკინძი და სხვ.

საკმაოდ ორიგინალურია თავისის ფორმით № 510 სამარხში აღმოჩენილი სატევარი. აღსანიშნავია, რომ ამავე სამაროვანზე აღმოჩნდა შემთხვევით დანგრეული სამარხიდან მეორე მსგავსი სატევარი მოტეხილი და დაკარგული ტარით. დღეისათვის ჩემთვის ცნობილ რამდენიმე მსგავს სატევარს შორის მხოლოდ ერთია მოპოვებული

ბორჯომის რ-ნის სოფ. მაჭარისწყლის № 1 სამარხში, დანარჩენები კი შემთხვევითი მონაპოვარია. ერთი მათგანი სასირეთის განძიდან არის, მეორე ხაშურის რ-ნის სოფ. ბრილიდან. ხუთი ამგვარი სატევარი დაცულია ცხინვალის მუზეუმში და ორი მსგავსი სატევარი ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან. სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით ყველა მათგანის შესახებ აღნიშნულია, რომ ისინი მიეკუთვნებიან გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს, რასაც ჩვენი მონაპოვარი, ვფიქრობ, სრული უეჭველობით ადასტურებს.

ასევე საყურადღებოა ჩვენს მიერ № 513 სამარხში მოპოვებული მეორე ტიპის სატევარიც მომრგვალებული ფართო მხრებით, ვიწრო გრძელი პირითა და მოკლე ყუეწით. გარდა იმავე სამაროვანზე ჩვენს მიერვე შემთხვევვით აღმოჩენილი მეორე ასეთივე სატევრისა, დღეისათვის ჩემთვის ცნობილია კიდევ ორი მეტ-ნაკლებად მსგავსი სატევარი. ერთი მათგანი აღმოჩენილია ხაშურის რ-ნის სოფ. ბრილში და დაცულია ხაშურის მუზეუმში, მეორე ბორჯომის რ-ნის სოფ. რველის სამაროვნის კულტურულ ფენაში, სხვათა შორის გვიანი ბრინჯაოს ხანის ასევე ადრეული ეტაპის ნივთების გარემოცვაში.

ჯერ-ჯერობით მაინც მე არ ძალმიძს რამდენადმე მიახლოებული პარალელის მითითება № 510 სამარხში აღმოჩენილი ცხოველის სკულპტურით დამშვენებული საკინძისა.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა აღმოჩენილი ძეგლების თარიღის შესახებ. სამარხებში ჩატანებული კერამიკა აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელიც გაბატონებული იყო ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შუა ბრინჯაოს ხანიდან (კეცი, ფორმები, შემკულობა), მაგრამ ამასთან ერთად ჩნდება რიგი ახალი ელემენტებისა და ფორმებსა (ჯამები, ორყურა დოქები – დორები, სადღვებლები და სხვ.) და შემკულობაში (მჭიდროდ მიჯრილი ტეხილი ხაზებისა და ვერტიკალურად ამოღარული ზოლებით შედგენილი ფრიზები, დაშტამპული სამკუთხედები და სხვ.), რომლებიც მას გამოარჩევენ როგორც წინამორბედი, ასევეე მომდევნო, ე.წ. ფოთლისებური სატევრების შემცველი კომპლექსებისაგან. სწორედ ამ პერიოდს ვუწოდებთ ჩვენ გვიანი ბრინჯაოს უადრეს ხანას და ვათარიღებთ ძვ.წ. XV ს-ით, მაგრამ ამ და ზოგიერთ სხვა საკითხის შესახებ დაწვრილებით მსჯელობა გვექნება გამოვლენილი ძეგლების მეცნიერული პუბლიკაციის დროს.

Alexandr Ramishvili

ARCHEOLOGICAL FINDINGS DURING OIL PUMP STATION CONSTRUCTION IN DIDI PLEVI (KHASHURI DISTRICT)

In 1998 during PS construction in Didi Plevi there were found some burials of Late Bronze Age. Oil Pump Station is located southwards of the village Natsargora in Didi Plevi Sakrebulo area. In 1980-1992 Khashuri expedition carried out extensive works to trace and study multi-layer hill settlement (from Early Bronze Age to Ancient Period inclusive). It was identified that cultural layer thickness on the settlement is 8 meters and there were 509 tombs of various periods found in the cemetery.

In 1998 the expedition excavated 5 tombs on the oil pumping station area, they were given numbers No 510 and 514. Despite the small number of burials excavated in the course of PS construction, significance of materials found in the tombs is rather extensive both for Natsargora cemetery and Georgian and Transcaucasian archeology in general. These tombs date back to early Late Bronze Age, which was selected as an independent period.

In all five tombs there were found 21 clay vessels, including jars, wide sided double handled pots and bowls and barrel-shaped jugs typical for those times. Clay vessel ornaments are also typical for that period for its grooved belts, rhomb-shaped and diagonal imprints, triangles on the bottom of the vessels, etc. The similar ceramic vessels were known in synchronous cemeteries in Samtavro, Tserovani, Berikldeebi, etc., and the settlements alike were found in Natsargora, Tskhinvali and Satsikhura Gora, Khatlanikhevi, etc.

The findings excavated in the course of PS construction were of similar significance both for Georgia in particular, and Caucasus archaeology in general. They included rare types of dagger and buttons in well preserved complexes. Along with clay vessels there were found two types of bronze dagger, couple, spearhead, hook, 2 buttons with sculptural figure carved on it, 15 green paste necklace rings, etc.

A dagger found in tomb No 510 is very unique by its shape, unfortunately all daggers found before this were without accompanying material. It has a rounded body and the handle has bronze figures engraved on it, also two tiny rhombs and triangles and one eight-point star. Therefore, excavation of the said dagger is very significant, moreover excavation of similar one before proves that this type was rather popular in throughout the entire Caucasus.

The other dagger was found in tomb No 513. Compared to the first one it had no handle. It also has rounded shoulders, sharp pointed rounded body and it is likely that it had a wooden handle. These are unique exampls of daggers, one of which is kept in Khashuri museum No 35/35 and the other in Rveli burial place (Borjomi). Each dagger of both types were found on the PS construction site.

As for the necklace found in tomb No 510, it is round with a hook welded to the upper part and a fairy animal resembling a dog, but with rather a long tail, engraved on it. I do not know of any such button found elsewhere.

In order to identify the date of the excavated materials, it should be noted that the pottery buried in this place continues traditions typical for Central Transcaucasia in the Bronze Age, however, there appear new components, as well, and ornaments. This is the period which together with Mr. K. Pitskhelauri, we have named "early Late Bronze Age" and dates back to 14th cent. B.C.



სურ. 1. სამარხი № 510



სურ. 2. სამარხი № 513


0 2 4 6
0 2 4 6
0 2 4 6
0 2 4 6
0 1 2 3
0 1 2 3
0 2 4 6
0 2 4 6
0 2 4 6
0 2 4

ტაბ. II




0 2 4 6

ტაბ. IV











თენგიზ მეშველიანი, რევაზ პაპუაშვილი, ერეკლე ქორიძე, მინდია ჯალაბაძე

გორაძირის არქეოლოგიური გათხრები

ძეგლი მდებარეობს საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულთან, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კმ-ზე განლაგებული ორი გორიდან ერთ-ერთზე – უმაღლესზე (ჩრდილოეთით მდებარე გორა). ეს ის ადგილია, სადაც 1967-1968 წლებში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის კორბოულის რაზმი (რაზმის ხელმძღვანელი – ცირა დავლიანიძე, წევრები – ელგუჯა გოგაძე და ქეთინო დვალი). გათხრები წარმოებდა გორის ძირთან, დაახლოებით 3-4 ჰექტარის ფართობის ყორღანულ ველზე.

1997-1998 წლებში კვლევით არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია.

1997-1998 წწ. გორაძირის თხემზე საველე-არქეოლოგიური სამუშაოების წარმართვის აუცილებლობა ახალმშენებლობით იყო განპირობებული. კერძოდ, იქ, სადაც აღმოჩნდა ძეგლი, უნდა აეგოთ ნავთობსადენის მაკონტრლებელი საკომუნიკაციო ანტენა და ნაგებობა აპარატურისათვის და მომსახურე პერსონალისათვის (ამჟამად ანტენა დადგმულია, ნაგებობა – გამართული).

გორაძირის თხემი, რომლის საერთო ფართობი 500 მ^2-მდე აღწევს, ორი, თითქმის თანაბარი ნაწილისაგან შედგება. პირველი – სამხრეთი ნაწილი უფრო მაღალია და ქვაყრილით დაფარული, მეორე, ჩრდილოეთი ნაწილი, პირველზე 6 მ-ით დაბალია და წარმოადგენს მოვაკებულ მინდორს, რომელზედაც ასწლოვანი რცხმელის ხეა ამოსული. თხემის ჩრდილოეთი და სამხრეთ ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან 45° დახრილობის ფერდობით (სურ. 3, ჭრილი 4-4). ვინაიდან ჩრდილოეთ მონა-



სურ. 1

კვეთზე ანტენის, ხოლო სამხრეთ მონაკვეთზე საცხოვრებელი ნაგებობის გამართვა იყო განზრახული, ამიტომ არქეოლოგიური სამუშაოები ორივე უბანზე განხორციელდა. მცირე გათხრები წარიმართა მათ დამაკავშირებელ ფერდობზეც.

ქვა-ღორღით დაფარული სამხრეთ ნაწილის გათხრების დასაწყისშივე თავი იჩინა ქვის კედლის, ალიზის, თიხის შელესილობისა და ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან შედგენილმა კულტურულმა ფენამ (I კულტურული ფენა). იმთავითვე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ნაგებობა, რომლის ნანგრევებითაც იყო წარმოქმნილი ფენა, განადგურებული იყო ძლიერი ხანძრისაგან. თიხის ჭურჭელიც და შელესილობის ფრაგ-



სურ. 2. თხრილის გეგმა

მენტებიც ცეცხლისაგანაა დეფორმირებული და ხშირად წიდადაც იყო ქცეული (სურ. 1).

ლად დაფიქსირდა თხრილის ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ მონაკვეთებში. ის



სურ. 3. ჭრილები

ფენის სიმძლავრე 1 მეტრამდე აღწევდა. გაითხარა 125 მ^2 ფართობი. ნაგებობის კედლები, რომელთა სისქე 50-70 სმ შორის მერყეობს, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე ალაგ-ალაგ 1 მეტრს აღწევს, ფრაგმენტუ-

ძლიერ იყო დაზიანებული დასავლეთ ნაწილში, 60-იან წლებში აგებული სარეტრანსლაციო რადიოანტენის ბეტონის საძირკველის მშენებლობის დროს.

ნაგებობის კონსტრუქციის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, მაგრამ შემორჩენილი ნაწილით ფიქსირდება ზოგიერთი თავისებურებანი. კერძოდ:

1) გეგმაში ის სწორკუთხედი უნდა ყოფილიყო (სურ. 2). მისი ზომა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 10 მეტრია, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – გაურკვეველია, რადგანაც ის განადგურებულია თანამედროვე ბეტონის კონსტრუქციით და ბუნებრივადაცაა ეროზირებული.

2) ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირებულია შიდა კედლის ნაშთიც. ეს კედელი, რომელიც ქვის ცალპირი წყობითაა ნაგები, სამხრეთ კედლის პარალელურია და შესაძლოა ძირითადი ნაგებობის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის ნაშთებსაც წარმოადგენს.

3) აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში დაფიქსირებული დანახშირებული ხის ძელის ფრაგმენტებიც.

4) შიდა კედელთან აღმოჩნდა ალიზის აგურის ორი ნახევრად დაშლილი ფრაგმენტი.

5) შიდა კედლის ჩრდილოეთ ნაწილში და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩენილია ბათქაშის, შელესილობის ფრაგმენტები თეთრი საღებავის კვალით.



სურ. 4. ბულები

ყურადღება იქცევს ამ ფენაში აღნიშნული ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში მომწვანო ფერის თიხისაგან ნაგები კუბის ფორმის პოდიუმის დაფიქსირება. აქვე მოპოვებული ორი ჭურჭელიც მეტად თავისებური და უჩვეულო ფორმებით იქცევენ ყურადღებას (ტაბ. $I_{1,8}$). მათი უჩვეულობა შემდეგში მდგომარეობს: ორივე მათგანი თეფშისებრი ფორმისაა, დახვრეტილი და მათზე ზემოდან დაძერწილია სფერულკორპუსიანი პატარა კოჭბები, მხრებზე სამ-სამი კოპით. აქვე ამ ფენაში აღმოჩნდა ბულები (სურ. 4), რკინის ლურსმები, რკინის გაურკვეველი ნივთები და კერამიკის ფრაგმენტები, დამახასიათებელი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებისათვის (ტაბ. I).

I კულტურული ფენის ქვეშ დაახლოებით 1 მ სიღრმეზე თავი იჩინა თიხის ნაწარმისა და ნახშირის ხშირი ჩანართებით შედგენილმა II კულტურულმა ფენამ. მისი სიმძლავრე ალაგ-ალაგ 50 სმ-მდე აღწევდა. ის დაფენილი იყო ქვედა, უძველესი ნაგებობის იატაკზე.

ქვედა ნაგებობა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,5 მ სიღრმეზეა გამართული და წარმოადგენს კლდოვან დედაქანზე შერჩეული სწორზედაპირიანი ფილაქვებით გამართულ სწორკუთხა მოედანს, ფაროთობით 10 × 10 მ (სურ. 5). მისი ცენტრალური ნაწილი, დაახლოებით 3 მ დიამეტრით, ფილაქვებისაგან თავისუფალი იყო (სურ. 6). აქ მოვარდისფრო კლდოვან დედაქანში ჩაჭრილი იყო 1 მ-მდე დიამეტრის მქონე ორმო. ამ ორმოს ზუსტად მოერგო სხვა ადგილზე მოხვედრილი ბრტყელი, მრგვალი ლოდი, რომლის ცენტრში 10 სმ დიამეტრის გამჭოლი ნახვრეტი იყო მოთავსებული სურ. 7). სავარაუდოა, რომ იგი სარიტუალო სვეტის ან კერპის ბაზისს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ არც სხვა საყრდენი და არც კედლის ან მისი საძირკვლის მანიშნებელი დეტალი ამ ფენაში არ აღმოჩენილა. ჩანს, ეს იყო ღია ტიპის კვადრატული სამლოცველო მოედანი, რომელიც მოგებული იყო ფილაქვებით (სურ. 5), ხოლო შუაში იდგა საკულტო სვეტი ან კერპი.

საყურადღებოა, რომ ამ მოედანზე დიდი ოდენობით იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა ცხოველთა და ფრინველთა დამწვარი ძვლე-

ბი (სავარაუდოდ – შეწირულთა). ამ ფენაში მოპოვებულ თიხის მრავალრიცხოვან ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა რკინის ფიბულა, რკინის ამიერკავკასიური ტიპის ისრისპირი, ბრინჯაოს ორფრთიანი სკვითური ისრისპირი, ბრინჯაოს ვარსკვლავისებური ნივთი და ბრტყელგანიკვეთიანი ბრინჯაოს სამაჯური.

აღნიშნული შენობის ხასიათისა და ზომების განსაზღვრა მისი ფრაგმენტულობის გამო არ ხერხდება. სავარაუდოდ ის ქვის საძირკველზე აღმართული ბათქაშით შელესილი ხის ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

ნაგებობის შიდა სივრცეში მოპოვებული თიხის ნაწარმი ძლიერ ფრაგმენტულია.



სურ. 5.

აღნიშნული ნივთები თიხის ნაწარმთან ერთად განსაზღვრავს კიდეც ფენისა და შესაბამისად ქვედა ნაგებობის თარიღს ძვ.წ. VII საუკუნით (ტაბ. II).

თხემის ჩრდილოეთ ნაწილში დავაკებულ მინდორზე გამოვლინდა და გაიწმინდა ოთხკუთხა ნაგებობის კედელთა საძირკვლის ნაშთი. საძირკვლად გამოყენებული ყოფილა დიდი ზომის ფლეთილი ქვები. მისი შიდა არე დაფარული იყო სამშენებლო ბათქაშითა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილი ფენით.

მათი უმრავლესობა კოლხური ქვევრების, დერგებისა და ქოთნების ნატეხებია. მათთან ერთად გვხვდება აგრეთვე საბერძნეთიდან შემოტანილი ამფორისა და შავლაკიანი ჭურჭლის მცირე ფრაგმენტი, რომელიც ფენის თარიღს რამდენადმე აზუსტებს ძვ.წ. V-IV საუკუნეებით. ამავე დროს ამავე ფენაშია მოპოვებული ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაწარმიც, კერძოდ კი ბრინჯაოს ფიბულა (ტაბ. III_8) და ზოომორფულყურიანი ტოლჩის ფრაგმენტი (ტაბ. III_1). ეს გარემოება გვავარაუდებინებს, რომ ძეგლის ამ მონაკვეთში



სურ. 6



სურ. 7

კულტურული ფენები აღრეულია და მათი დაზუსტებისათვის დამატებითი საველე სამუშაოებია საჭირო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მცირე მასშტაბის სამუშაოები განხორციელდა თხემის ჩრდილოეთ და სამხრეთ მონაკვეთების დამაკავშირებელ ფერდზეც. აქ მართალია უძრავი კულტურული ფენა ან ნაგებობის ნაშთი არ დადასტურებულა, მაგრამ ის მთლიანად დაფარული იყო ზედა, სამხრეთ მონაკვეთიდან გადმონაშალი კედლის ფრაგმენტებით, გამოუსადეგარი ნივთებისაგან,

თიხის დამსხვრეული ნაწარმისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნაშთებისაგან შედგენილი ნაგვის ფენით.

აქ აშკარად სხვადასხვა დროის ნაწარმთან ერთად ყურადღებას იქცევს რკინის შუბისპირი, რკინის სატევრის ბრტყელი სატარე ნაწილი და ბრინჯაოს ქინძისთავი ადამიანის სკულპტურული გამოსახულებით.

არქეოლოგიური გათხრები არ წარმოებულა გორაძირის აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ დაფერდებებზე, რომლებზედაც ტერასული შევაკებანი შეინიშნება და ზედაპირულად კულტურულ ფენათა ნაშთიც ფიქსირდება. აქ ადგილობრივი მოსახლეობისაგან აღინიშნება მრავალგზისი შემთხვევითი მონაპოვარიც. თვით გორის ძირში, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნაწილში დაგეგმარებულ სამოსახლოთა კვალი აშკარად ჩანს. მისგან დასავლეთით 300 მეტრში აღმოჩენილია და ნაწილობრივ შესწავლილი ზემოთ აღწერილი ნაგებობების შესაბამისი ეპოქის სამაროვანი.

ამგვარად არქეოლოგიური კომპლექსი გორაძირი წარმოადგენს ფართომასშტაბიან, რთულსა და დიდი მნიშვნელობის მქონე ისტორიულ ობიექტს შედგენილს ძვ.წ. VII-IV საუკუნეების საკულტო ნაგებობებით (თხემზე), შესაბამისი ეპოქის ნამოსახლარებითა და სამაროვნით.

გორაძირის კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით გამოვლინდა კერამიკული მასალა – სხვადასხვა ფორმისა და ორნამენტის მქონე ჭურჭელი, სამწუხაროდ ძალზე ფრაგმენტირებულ მდგომარეობაში.

გორაძირის თიხის ჭურჭელი ძირითადად საშუალო სისქის ან თხელკედლიანია, თუმცა გვხვდება სქელკედლიანიც. გამოწვა მეტწილად მოყავისფრო და აგურისფერია, არის აგრეთვე შავი, ლეგა-მონაცრისფრო და მოწითალო. თიხა ძირითადად უხეშად ნაზელი, წვრილმარცვლოვანი, სილა-ქარსნარევია. ზედაპირი მქისეა, ზოგჯერ შავპრიალა. ჭურჭელი, როგორც წესი, ჩარხზეა ნაკეთები.

ფორმაშემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ტიპისა და დანიშნულების ჭურჭელი: საშუალო და დაბალყელიანი დოქები, ქილები და ქოთანკოჭბები, ლანგრები და ჯამები, ყურმილიანი და ზოომორფულყურიანი პატარა ზომის ჭურჭლები, სამარილეები, თიხის ჭურჭლის სარქველები და სხვ.

ჭურჭლის კედლების მრავალრიცხოვან ფრაგმენტთა დიდი ნაწილი ორნამენტირებულია: ჭდეული კონცენტრული ღარებით, ირიბი და ტალღოვანი ჭდეული ზოლებით, ტალღოვან-სავარცხლისებური შტამპებით, რელიეფური ზოლებით, ჭდეული შვეული ღარებით, მეჭეჭისებური დანაძერწებით, წიწვოვანი ორნამენტით, ყურებზე რქისებური შვერილებითა და ლილვაკისებური დანაძერწებით, პატარ-პატარა ჭდეული წრეებითა და სხვ.

* * *

ძეგლი ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია. გორაძირის მატერიალურ კელტურაში მკაფიოდ იჩენს თავს ადრერკინისა და ადრეანტიკური ხანის კოლხური კულტურის ელემენტები. მაგრამ ამ კულტურას მთლიანობაში მაინც მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალურობა ახასიათებს, რასაც ქმნის აღმოსავლური ნაკადის ორგანული შერწყმა კოლხურთან. იგი შუალედური რეგიონია და განხილულ პერიოდში აქ არსებობდა და ინტენსიურ ურთიერთგავლენას ახდენდა კოლხური და აღმოსავლურ-ქართული კულტურები.

სავარაუდოა, რომ გორაძირი წარმოადგენდა იმდროინდელ მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრს დიდი საქარავანო გზების გზაჯვარედინზე, სადაც, ალბათ, თავს იყრიდა არა მარტო ამ რეგიონის მოსახლეობა, არამედ უფრო შორეულ მხარეთა წარმომადგენლობაც. ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ამ ხანის

კოლხურ და იბერიულ (შიდა ქართლურ) კულტურათა შერწყმა-შეხვედრები ამ რეგიონში ნათლად ჩანს.

ამ გათხრებმა მრავალი სრულიად ახალი საკითხი წამოჭრა, რომელთაც გორაძირის მიდამოებში შემავალი ძეგლების ცალკეული ჯგუფი ერთ საერთო პრობლემაში შეჰყავს, ამიტომ, ცხადია, რომ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში საჭიროა გაგრძელდეს კვლევა-ძიება საერთო სიტუაციის ყოველმხრივი დაზუსტების მიზნით.

Tengiz Meshveliani, Revaz Papuashvili, Erekle Koridze, Mindia Jalabadze

ARCHAEOROGICAL EXPEDITION AT GORADZIRI

Archaeological site Goradziri is located in the southern-eastern part of village Korbouli in Sachkhere district. The site is comprised of a 75 m high natural hill whose ridge is divided in two parts. The northern part is lower and flattened while the southern part is 4 - 5 m higher.

GPC planned to construct a radio station on this hill, which necessitated archaeological surveys.

Archaeological surveys revealed a cult complex on the ridge extending on both the southern and northern parts.

A 100 m^2 cobble pavement with square corners, a plastered floor and pit in the middle was exposed on the southern part of the hill. Lots of coal and bone fragments were discovered in the pit.

A two-winged Scythian arrowhead and iron fibula together with pottery found on the cobbled area indicate that the first stage of construction started in 7th cent. B.C. Remnants of several buildings of stone and adobe have been exposed. These buildings extend into unstudied areas. They can be dated by 5th-4th centuries B.C. on the basis of clay bulas found here. Remnants of plastered buildings with stone foundations located on the northern part are dated by the same period. The basis for such dating is clay artifacts including Greek black-glazed vessels.

Remnants of a settlement built with dry masonry technique are noticeable at the bottom of the hill, especially in its western part. A burial mound dating from 8th-6th centuries B.C. was excavated in the 60's further to the west, at the distance of 150-200 m. There is another though smaller hill south of Goradziri where cultural layers are also present.

Thus, Goradziri is a very interesting archaeological complex represented by cult structures, settlement and burial mounds. Its location on the crossroads between Eastern and Western Georgia increases its significance.


1
2
3
4
5
6
7
8
9
0 1

ტაბ. II




1
2
3
4
5
6
7
0 1
8

ვახტანგ ჯაფარიძე, კარლო კალანდაძე, გიორგი გვინჩიძე

არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობსადენის ტრასაზე აღმოსავლეთ კოლხეთში

ეგრისის არქეოლოგიური ექსპედიცია ნავთობსადენის ტრასის მონიტორინგს 1997 წლის ოქტომბრის თვიდან ატარებდა. დაზვერვები და არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ზესტაფონის, თერჯოლისა და ბაღდათის რაიონებში.

პირველი საკონტროლო გათხრები კი ნავთობსადენის წნევის მარეგულირებელი სადგურის მშენებლობის ტერიტორიას დაუკავშირდა ზესტაფონის რ-ნის სოფ. ქვემო საზანოში, სოფ. საქარის საზღვართან. მთელ ამ ფართობზე გაკეთდა 11 საძიებო თხრილი, მათ შორის მხოლოდ ერთი სადგურის მშენებლობის ფარგლებს გარეთ.

თხრილი № 1, სადგურის ფართობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან 45 მ 60 სმ-ით აღმოსავლეთით. ზომა – 5 × 2 მ, სიღრმე - 50 სმ, დამხრობა - ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ისევე როგორც ყველა სხვა თხრილის). მცირე ზომის რიყის ქვების 20 სმ-ის სიფართისა და 4 მ-ის სიგრძის ზოლი იწყება თხრილის აღმოსავლეთ კედლიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან 1 მ 30 სმ-ის დაშორებით, 30 სმ-ის სიღრმეზე და მთავრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (h-50 სმ). სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ნახშირის 60 × 20 სმ ფართის მონაკვეთი დაფიქსირდა (h-20 სმ). მისგან აღმოსავლეთით 60 × 35 სმ ფართისა და 15-20 სმ სისქის მკვრივი მასის – გამოუწვავი ალიზის (?) ფენა გაიწმინდა. მთელს თხრილში სტრატიგრაფიული სურათი ზოგადად შემდეგია: მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმემდე - განიადაგებული ფენა, რომლის ზედა ნაწილი ჰუმუსირებულია, 25 სმ-ის შემდეგ თხრილის ძირამდე კი - მოყვითალო თიხნარი. ასეთივე სურათია ყველა სხვა თხრილში. ადრე, დაზვერვების დროს ყურადღებას იქცევდა სადგურის სამშენებლო მოედნის გარეთ, მომიჯნავე ტერიტორიაზე, ორგან ნაპოვნი კერამიკული ფრაგმენტები. უშუალოდ ჩრდილო მონაკვეთში ნაპოვნი იყო სავარაუდოდ რომაული ხანისადმი მისაკუთვნებელი მასალა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით დაზვერვებით გამოვლინდა არქაული პერიოდის თიხის ჭურჭლების ნატეხები. მაშინ სავენახე ფართობზე დაზვერვები ვერ განხორციელდა. მხოლოდ შემდგომ, უკვე ნავთობსადენის ტრასისა და აღნიშნული სადგურის მშენებლობის დროს, მისგან სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით მდ. ძუსას მარცხენა ნაპირზე დადასტურდა ძველი ნასახლარის ნაშთები. უფრო გვიან ამ ნასახლარის ნაშთებმა თავი იჩინა მდ. ძუსას მარჯვენა ნაპირზეც, სადაც ტრასის ნიველირების დროს გაშიშვლდა საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა, გადამწვარი ქვებისა და ბათქაშების მინარევებით. აქ, შესაძლოა, ნასახლარი შემაღლებულ ბორცვსაც დაუკავშირდეს. აიკრიფა არქაული, ერთგვარად უსახო კერამიკის ფრაგმენტები. ამ ხანის ფენის ფრაგმენტები დადასტურებული იყო მშენებელთა მიერ მდ. ძუსის ფონამდე გაჭრილი სამანქანო გზის ჭრილშიც. ამავე ნაპირზე ძირითადი მილსადენის წნევის სადგურიდან მიერთების მონაკვეთიდან, მშენებლობის დამთავრების წინ, კვლავ დაფიქსირდა, ზოგადად ადრებრინჯაოს ხანით განსაზღვრული, ნასახლარის ნაშთი; გაწმენდილ იქნა იატაკის დონე და მასთან დაკავშირებული, ასევე თიხით ამოლესილი ორმო-კერა, რომლის ძირის ნაწილი ნაცრის სქელი ფენით იყო დაფარული. ზემოთ აღ-

ნიშნული ნასახლარი დიდ ინტერესს იწვევს და მომავალში შესწავლას საჭიროებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნავთობსადენის სოფ. ქვემო საზანოს მონაკვეთზე მილსადენისთვის გაჭრილი თხრილის ჭრილებში მდ. ბუჯიდან დასავლეთით 200-300 მ მოცილებით დაფიქსირებულია ძველ (ანტიკურ ?) ნასახლართა ნაშთები.

ფეოდალური ხანის ნასახლარები დადასტურდა სოფ. დილიკაურში ნავთობსადენის ტრასის სასოფლო გზის 710 ნიშნულთან. აქ გზის გაყვანის დროს ქვევრები იყო გამოჩენილი. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ ჩატარებულა.

ექსპედიციის ძირითადი გათხრითი სამუშაოები დაუკავშირდა ზესტაფონის რ-ნის სოფ. მეორე სვირში არსებულ ძეგლს - „ციხურას“ (სურ. 1). აქ გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო ფერდის მონაკვეთში ძველი ნასახლარი დაზიანდა. მშენებელთა დაფინანსებით ჩატარდა 10 დღიანი არქეოლოგიური გათხრები. დაზიანებათა შედეგად გამოჩნდა ძველი ნასახლარის კულტურული ფენები, წარმოდგენილი გადამწვარ-გაწითლებული ქვებითა და ბათქაშებით, ალაგ-ალაგ დაფიქსირდა ნახშიროვან-ნაცროვანი ფენა, რაც კარგად შეინიშნება ბორცვის ფერდის ჭრილში.

ძეგლი მდებარეობს ქ. ზესტაფონიდან სამხრეთ-დასავლეთით 15-ოდე კმ-ის მანძილზე, მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე, მისგან 800 მ-ის მოცილებით.

„ციხურა“ ბუნებრივი, წაგრძელებული ბორცვიდან თხრილით განმხოლოებულ კონცხს წარმოადგენს. იგივე ბორცვის „ციხურისაგან“ სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული მონაკვეთი, ასევე წარმოადგენს ბუნებრივი მონაცემებით განმხოლოებულ გორას (სურ. 2).

დასავლეთით ორთავე ბორცვი, „ციხურის ღელის“ მცირე ხევით გამოეყოფა ტერასული შემაღლების ბორცვოვან ზოლს, რომლის ზედაპირული დაზვერვებით ანტიკურ დასახლებათა ნაშთები გამოვლინდა.

„ციხურა“ ადრიდანვე იქცევდა ყურადღებას, როგორც თავისი ბუნებრივი მონაცემებით, ასევე ცალკეული შემთხვევითი მონაპოვრებითაც. მასალის ერთი ნაწილი



სურ. 1. ციხურა

20-30-იანი წლებიდან მოხვდა ჯერ ქუთაისის სახელმწიფო, შემდეგ ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მხოლოდ ეს მონაცემები დასაზუსტებელია.

მეორე უბნად მივიჩნევთ ციხურის ჩრდილო-დასავლეთით, თხემთან ახლოს მდებარე ტრასის მონაკვეთს (სურ. 2). მცირე, ზედაპირული სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა



სურ. 2

როგორც აღნიშნული იყო ნავთობსადენის ტრასამ ადრევე დააზიანა ძირითადად ჩრდილო ფერდი, არქეოლოგიური ძიება უპირატესად ამ მონაკვეთს შეეხო (იხ. გეგმა, სურ. 2). ეს არის გათხრების უბანი № 1, რომელიც მთელი ფართობის ნაკვეთებად (დიდ კვადრატებად) დაყოფამდე, ცალკეულ მონაკვეთებად დაიყო. გარკვეული ინტერვალებით ცენტრალური თხრილიდან ჩრდილოეთით ოთხი ასეთი შედარებით მცირე თხრილი დაიდო.

ძირითადი ბორცვის დასავლეთით, საყანე ფართობში და „საციხურის ღელის“ მომიჯნავე ფართობზე.

ჩრდილო (№ 1) უბანზე, მთელ ფართობზე, ანუ ნაკვ. I, VI, IX-ში (სხვა ნაკვეთებში კულტურული ფენები არ გამოვლენილა, ან ვერ მოესწრო სამუშაოების განხორციელება) ძირითადად ერთნაირი სურათი გვაქვს. კულტურული ფენები მეტნაკლებად წაშლილია და მიწის თანამედროვე ზედაპირიდან მათი ინტენსივობა

20-30 სმ-ია, იშვიათ შემთხვევაში 40 სმ-ს არ აღემატება. ყველგან გვხვდება ხურვებისგან გაწითლებული ქვები, გაწითლებული თიხის გუნდები (და არა კოლხური სამოსახლოებისთვის ტიპიური ბათქაშები). 3 - 1-3 და 1-4 თხრილებში ძალზე ფრაგმენტულად დადასტურებული იყო თიხატკეპნილი იატაკის (?) ნაშთები. აღნიშნულ თხრილებში ზედა ჰუმუსური ფენა შერეულ, მაგრამ აშკარად წინარე ანტიკური ხანისადმი მისაკუთვნებელ ფრაგმენტირებულ მასალებს შეიცავდა. ქვედა დონეზე კი ადრეული, ზოგადად ბრინჯაოს ხანით დათარიღებული კერამიკა, შემკვრივებული თიხნარის დონეს (იატაკის დონე ?) დაუკავშირდა. ლისხმება რომ ეს მონაკვეთი უკვე ნავთობის ძველი ტრასის მშენებლებმა დააზიანეს.

ზემოთ უკვე აღნიშნული, მატერიალური ნაშთების შემცველი ფენა გარკვეულ დონეზე ქვანაყარი მასით არის ნიველირებული. აქ ძირითადად გვხვდება სხვადასხვა ზომის რიყის ქვები, ალაგ თეთრი (კირქვის) ქვების ანატკეცები, ზოგან კიდევ ასეთივე ქვის უფრო ოთხკუთხა ფილები (სურ. 3). ეს დონე ნაკვეთის ცენტრალური ნაწილის კვადრატებში იშვიათად შეიცავდა არქეოლოგიურ მასალას. ფენების დარღვევის გამო ნასახლარის რა ნაწილთან გვაქვს საქმე, ძნელი გასარკვევია.



სურ. 3. გათხრების ხედი

უფრო ინტენსიურად ეს მონაცემები IX-ე ნაკვეთში გამოვლინდა, კერძოდ D3, E3-4, F5 კვადრატებში. დასახელებულ კვადრატებში ზედა ჰუმუსური ფენა უკვე მოხსნილი დაგვხვდა, ხოლო ქვანაყარი გაწითლებული ფენა დარღვეული. კერძოდ ეს შეეხება F4, G4, G6, H6 კვადრატებს; იგუ-

მეტ ინტერესს იწვევს ნაკვ. IX-ის კვ. F5 და განსაკუთრებით F5-F6 კვადრატების მომიჯნავე ნაწილი (სურ. 4). აქ, და ნაწილობრივ, კვ. G6-ში, გარკვეული ინტერვალებით, დაახლოებით 1,02 მ-ის ფართობზე გაიწმინდა წვრილი ქვებით მოფენილი დონე. ამ დონეზე ზოგადად გვიანი



სურ. 4. თხრილის გეგმა და ჭრილი

ბრინჯაოს ადრეული ეტაპით დათარიღებული თიხის ორნამენტირებული ჭურჭლების ორიოდე ფრაგმენტი დაფიქსირდა. ფენა და მასალა in situ არის დაფიქსირებული. უფრო ჩრდილოეთით, კერძოდ F5-ე კვადრატის ცენტრალურ ნაწილში და, განსაკუთრებით, ჩრდილო მონაკვეთში დონე უკვე აშლილია, შეიცავს მომდევნო ხანის მასალებს, მაგ. დაფიქსირებული იყო ადრეანტიკური ხანის ჭურჭლის შვერილყურიანი ფრაგმენტი (ანალოგ. ტაბ. II).

ზემოთ აღნიშნული მონაკვეთის სტრატიგრაფიისა და სხვა მონაცემების გარკვევის თვალსაზრისით მნიშვნელობა ჰქონდა IX ნაკვეთის D5, E6 და F7 კვადრატებში მოქცეულ ბორცვის ფერდის ჭრილის არქეოლოგიურ შესწავლას (სურ. 4). აქ ნაყარი მიწისაგან 2 მ-ის ზოლის განთავისუფლების შემდეგ, მიმდინარეობდა ფენა-ფენა ჩაღრმავება. თხრილის საერთო სიგრძე 6 მ-ს აღემატება, სიგანე - 1,5 მ-ია. მთელ ფართობზე გვხვდებოდა, როგორც საფიქრებელია, ფერდის ზედა ნაწილიდან ჩამოცურებული მასა, სხვადასხვა ზომის ხურვებისაგან გაწითლებული ქვები, ზოგჯერ ანატკეცებიც; დაფიქსირებული იყო მომცრო ზომის ბათქაშებიც. იშვიათად გვხვდებოდა კერამიკა; მასალა შერეულია. ზედაპირიდან 80-100 სმ-ის დონეზე თითქოს უძრავი კულტურული ფენა დაფიქსირდა. ნახშირისა და ნაცრის მინარევებით, ფრაგმენტული ძვლებით, ალაგ-ალაგ ფენის ქვედა დონეზე შემკვრივებული და ზოგან ხურვებისგან გაწითლებული, მკვრივი თიხნარის ფენა გაიწმინდა. არქეოლოგიური მონაპოვარიც -

კერამიკა, თითქოს ერთგვაროვანი გახდა. ძირითადად მოშავო კეცის, ანდა მონაცრისფრო-ყავისფერი. ამათგან უფრო მასიური ჭურჭლის გვერდის ნატეხზე - სავარცხლისებრი იარაღით დატანილია ურთიერთპარალელური ხაზები (ტაბ. I_5). აქვე იყო დაფიქსირებული ცხოველის ყბის ფრაგმენტი და კაჟის ნამგლის პირის ჩასართი (ამ საგნის შესახებ იხ. ტექსტში ქვემოთ). ინტერესს იწვევს იგივე ჭრილის შემდგომი დონეც, სადაც ქვების გროვა გაიწმინდა. თხრილის გაფართოების შესაძლებლობა მშენებლობის ტემპებმა არ მოგვცა, ამიტომ გათხრებიც გადაიდო. შესაძლოა სხვადასხვა დონეზე წარმოდგენილი ქვების გროვა, რაიმე ნაგებობის ნაშთი იყოს. ნაყარი ქვების სხვადასხვა დონეზე გვხვდებოდა დანახშირებული ხის ნაშთები, ძალზე ფრაგმენტირებული. ინტერესს იწვევს ამ დონეზე ნაპოვნი ორნამენტირებული კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. $I_{1,3}$) ეს მასალა ფენის თარიღს გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით განსაზღვრავს.

ზემოაღწერილი, ასევე IX ნაკვეთის, F5-6 კვადრატების მიჯნაზე გამოვლენილია ფენა, სადაც ამგვარივე ჭურჭლის ფრაგმენტები იყო დაფიქსირებული (ტაბ. I). ჭრილის ქვედა ფენასა და ამ უკანასკნელის დონეს შორის სხვაობა ბორცვის მკვეთრი შეფარდებით შეიძლება აიხსნას.

ზოგადად გვიანი ბრინჯაოს ადრეული და მომდევნო ხანით შეიძლება დათარიღდეს პირველი უბნის შესწავლის დროს სუსტად გამოვლენილი კულტურული ფენის ნაშთები, წარმოდგენილი ფრაგმენტულად. აქ შერეულ მასალაში, ზედა დონეზე გვხვდებოდა აღნიშნული ხანისადმი მისაკუთვნებელი მასალები. მათი ერთი ნაწილი დაფიქსირებულია ტაბ. I-ზე (გარდა უკვე მითითებულისა და ტაბ. $I_{9,12,13}$-ისა). შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდებოდა ადრეანტიკური, ან ელინისტური ხანის დასათარიღებლად მეტყველი არქეოლოგიური მასალა. ტაბ. I-ზე (9, 12, 13) მოტანილია სწორედ ამ ხანის მასალა: კოლხური პითოსისა და ბადიის ნატეხი, აგრეთვე, შავლაკიანი ჭურჭლის ძირის ნატეხი (ეს უკანასკნელი სამშენებლო მოედანზე იყო ნაპოვნი შემთხვევით). ადრეანტიკური ხანითვე შეიძლება განისაზღვროს ზოომორფული ყურის მქონე ჭურჭელიც (ტაბ. II_5).

კიდევ ერთი ჯგუფი არქეოლოგიური მასალების ასევე უკავშირდება ნავთობსადენის ტრასის მონაკვეთს და ამდენად მეტნაკლებად დარღვეულ ფენებს. ეს არის სხვადასხვა ფორმის და მოყვანილობის ყურები, უფრო შვერილები. მთელი მასალა წარმოდგენილია ტაბ. II-ზე. აქ მხედველობაში გვაქვს ტაბულაზე წარმოდგენილი ყურების ის ნიმუშები, რომელთაც არქაული იერი აქვთ. ნამდვილად ასეთად ჩაითვლება - ფრაგმენტი 12:98/81 (ტაბ. II_4) და 12:98/82 (ტაბ. II_2). ეს არის ჰორიზონტალურად გამოყვანილი რელიეფური დანაძერწით, ორივე მათგანს ქედზე დანაჭდევები აქვს. სამწუხაროდ, ეს მასალა პირველი უბნის თხრილის უკიდურეს, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს უკავშირდება (ნაკვ. I), სადაც ფენები მნიშვნელოვნად დარღვეულია, მაგრამ ადრეული თარიღი ეჭვს არ იწვევს. ამ არქაული იერის ყურებიდან ყურადღებას იქცევს ფრაგმენტი - 12:98/445 (ტაბ. II_8), იგი I უბნის ჭრილის მონაკვეთიდან მომდინარეობს, ნაპოვნია მე-8 ბარისპირზე თხრილის ზედაპირიდან და ჩვენის აზრით ჭრილის შეურეველ ფენას უკავშირდება. საკვლევია ამ დონის მიმართება ჭრილის მკვეთრად გამოხატულ იმ ფენასთან (სურ. 5), რომელშიც დადასტურებულია ქვანაყარი, დანახშირებული ხის ნაშთები და გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპის კოლხური კერამიკა (მაგ. 12:98/454, ტაბ. I_1).

I უბანთან დაკავშირებით, დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ G9 კვადრატის მონაკვეთებისგან ჩრდილოეთით არსებული ფართობის თხრილით შემოწმების დროს, ისევ დადასტურდა გვიანი ბრინჯაოს ხანის



სურ. 5.

ნასახლარის ნაშთები (სურ. 5). ინტერესს იწვევს „ციხურას“ თხემი. იგი ჩრდილო ფერდის ძველი გზის მონაკვეთიდან (იქვეა № 1 არქეოლოგიური თხრილი) 26 მ-ით მაღლაა შემართული. როგორც აღინიშნა ხელოვნური თხრილით არის გამოყოფილი მეორე ბორცვისაგან. ეს უკანასკნელი უფრო მაღალი და მეტი ფართობის მომცველია (2400 მ2) ვიდრე „ციხურა“. აქ ექსპედიციას გათხრითი სამუშაოები არ უწარმოებია და მხოლოდ ზედაპირული მასალის აღნიშვნით შემოვიფარგლებით. მასალის ერთი ნაწილი თავის დროზე აქ სატრანგულაციო ბოძისთვის გაჭრილი თხრილის მიწაში მოკრეფილ კერამიკას წარმოადგენს. ამასთან, ძველი ორმოს ამოწმენდის შედეგადაც იყო მოპოვებული მასალა. ამ მასალებიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ალიზის ნახანძრალი აგურების ნატეხები. გვხვდებოდა მოზრდილი ბათქაშების ნატეხებიც. ამოწმენდილ ორმოში, ჰუმუსური ფენის ქვემოთ 0,3 მ სისქის ბათქაშიანი ფენა დადასტურდა; იგი აქ ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი 0,4-0,6 მ-ის დონეზე თხრილის ჭრილში სამშენებლო კერამიკის ნატეხები შეგვხვდა, მაგ. გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხი (სისქე - 2,7-3 სმ.) აკეცილი გვერდის h – 3,3 (3,4) სმ; სისქე - 3,1 სმ. ამათი კეცი მოწითალო-მოყავისფროა, კვარცისა და ქარსის მცირემარცვლოვანი ჩანართებით.

თხემზე ზედაპირულად მოპოვებული მასალებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს მოყვითალო-ნაცრისფერი ზედაპირითა და მონაცრისფრო სარჩულის მქონე ფრაგმენტი (ტაბ. I_{II}), ზედაპირი წრიული, ნახევრადწრიული (?) და შვეული ურთიერთპარალელური ღარებით არის შემკული. ეს ფრაგმენტი, შესაძლოა, თხემზე თავის დროზე გვიანბრინჯაოს ხანის ფენის არსებობაზე მიუთითებს.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „ციხურას“ ჩრდილო-დასავლეთი შევაკებული ტერასაც, რომელიც, ადგილობრივ მაცხოვრებელთა თქმით, უკანასკნელ ხანებამდე ინტენსიურად მუშავდებოდა სასოფლო-სამეურნეო მიზნებით, კერძოდ, იხვნებოდა მსუბუქი ტრაქტორით 20 სმ-მდე სიღრმეზე.

ანაკრეფი მასალიდან აღსანიშნავია მცირე ზომის თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (გატეხილია ორად) მოშავო კეცითა და ასეთივე ფერის ზედაპირზე წვრილი ჩაღარული სარტყლებით (ტაბ. III_8).

თხრილი № 1 (ზომა – 5 × 4 მ). 20-ოდე სმ-ის სისქის ჰუმუსური ფენის ქვეშ - დაახლოებით 15 სმ-ის სისქის კირქვის ქვების ჯგუფი გამოვლინდა, რომელსაც გამოსახულების ფორმა აქვს. მის ქვედა ნაწილზე დაფიქსირდა ზურგზე გაშოტილი (?) უინვენტარო მიცვალებულის ჩონჩხი (ძლიერ დაზიანებული), „ფერხთით,“ ქვების ძირის

დონეზე, ე.ი. 35-40 სმ-ის სიღრმეზე - ასევე უინვენტარო ორი მიცვალებულის ჩონჩხთა ნაშთები.

40-60 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია 3 პირ-ყელის ფრაგმენტი: I (ტაბ. III_1). ძლიერ გადაშლილი პირით, თხელკედლა, მოყვითალო კეცით; II (ტაბ. III_9). ზომიერად გადაშლილი პირით, შედარებით სქელკედლა, მოყავისფრო ფერის კეცით; III (ტაბ. III_7). დაბრტყელებულპირიანი, კეცით სქელკედლა, მოყვითალო-მოწითალო. საყურადღებოა აგრეთვე მოწითალო ფერის თევზიფხურორნამენტიანი ბრტყელი ყურის ფრაგმენტი (ტაბ. IV_7).

თხრილი № 2 (ზომა - 4x2). №1 თხრილთან შედარებით 5 მ-ით ახლოს „ციხურას“ ციცაბო ფერდთან. I ფენა, 20 სმ-ის სისქის - ჰუმუსური, II, 30 სმ-ის სისქის - ნაშალი, III_{30} სმ-ის სისქის - მოშავო, ასევე დარღვეული (მათ დასრულებამდე, 80 სმ სიღრმემდე, მასალა შერეული ფენის შთაბეჭდილებას სტოვებს). მომდევნო, IV და ბოლო ფენა, სავარაუდოდ in situ, მოყვითალო თიხნარია მომცრო თეთრი ბრტყელი ქვებითა და ბათქაშებით, რომლებიც ხურვებისაგან გაწითლებულია (განსაკუთრებით - ბათქაშები). ამ ფენაში, რომელიც ბოლომდე ვერ იქნა შესწავლილი საველე სამუშაოების შეწყვეტის გამო და დაკონსერვდა, მასალა უმნიშვნელო რაოდენობით დადასტურდა.

II-III ფენებში გამოვლენილი ჭურჭლის ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია: 5 პირ-ყელის ფრაგმენტი: I (ტაბ. III_6). სწორპირიანი, მოყავისფრო ზედაპირითა და მოშავო სარჩულით, ქარსის ოქროსფერი და თეთრი მინარევებით; II (ტაბ. III_2). პირმოყრილი ჯამის, მოშავო, წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედისებრი ორნამენტით, სარჩული მოშავო-მოყავისფრო, კეცი მონაცრისფრო, ქარსის ოქროსფერი და თეთრი მინარევებით; III (ტაბ. III_5). გლუვპირიანი, ნაცრისფერი, მოშავო-მოყავისფრო კეცით, შეიცავს ქარსის ოქროსფერ მინარევებს; IV (ტაბ. III_3). სწორპირიანი, მოყავისფრო-მოშავო, სარჩული მოშავო, შეიცავს ქარსის ოქროსფერ და თეთრ მინარევებს; V (ტაბ. III_4). პირგადაშლილი, ნაცრისფერი, თხელკედლა, მოყავისფრო-მონაცრისფრო კეცით; ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი მოშავო, ტალღისებრორნამენტიანი, თხელკედლა (ტაბ. III_{10}); ჭურჭლების ყურების 4 ფრაგმენტი: I (ტაბ. IV_5). მრგვალგანივკვეთიანი, მოწითალო, მონაცრისფრო კეცით; II (ტაბ. IV_6). რამდენადმე ბრტყელგანივკვეთიანი, მოყავისფრო, მოწითალო კეცით; III (ტაბ. IV_8). განივი, რამდენადმე ბრტყელგანივკვეთიანი, მონაცრისფრო ზედაპირითა და კეცით; IV (ტაბ. IV_9). განივი, რუხი, მოშავო კეცით. ძირ-გვერდის ფრაგმენტები: I (ტაბ. IV_2). მოყავისფრო-მოშავო, ქარსის ოქროსფერი მინარევებით; II (ტაბ. IV_4). მოშავო-მოყავისფრო; III (ტაბ. IV_1). მოშავო-მოყავისფრო, ქარსის მინარევებით; IV (ტაბ. IV_3). მოყავისფრო-მოშავო.

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში 1,2 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი ძლიერმოკუნტულად, თავით დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე დაკრძალული მიცვალებულით, უინვენტარო.

მთელი ზემოაღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვარი ადრეანტიკური ხანით უნდა დათარიღდეს.

„ციხურას“ ანტიკური და წინაანტიკური ხანის ფენებში და ზედაპირულად, არცთუ იშვიათად, შერეული იყო უფრო ადრინდელი პერიოდის (პალეოლითი, ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაო) დაზიანებული ნამოსახლარებიდან მომდინარე არქეოლოგიური ნაშთები, რომელთა შორის იყო ქვის ინვენტარი - 131 ც. მათგან სჭარბობდა კაჟის ქანზე დამზადებული იარაღები - ანატკეც-ანამტვრევები 64 ცალი და წარმოების ნაშთი - 75 ცალი. გარდა კაჟისა ნედლეულად გამოუყენებიათ აგრეთვე ობსიდიანი - 4 ცალი და რიყის ქვა - 6 ც.

რადგან აღნიშნული მასალის დიდი ნაწილი, გარდა ნამგლისპირისა, დაზიანებული, ადრინდელი ნამოსახლარებიდან მომდინარეობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ციხურა და მისი შემოგარენი წინა ეპოქებშიც ყოფილა ათვისებული.

ცხოვრება ამ მხარეში პალეოლითის ხანიდან მაინც უნდა დაწყებულიყო, ამას მოწმობს მუსტიეური იერის ოთხიოდე ანატკეცი (ტაბ. V_{10-13}), რომელთაგან ერთი (ტაბ. V_{11}) მეორედ გამოუყენებიათ, როგორც ნედლეული და აშკარად ეტყობა ორი სხვადასხვა დროის პატინა. წარმოების ნაშთის სიმრავლე კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვის ხანაში ეს ადგილი სადგომ-სახელოსნო ყოფილა.

თვით გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში უძრავ მდგომარეობაში დაფიქსირდა კაჟის ნამგლისპირი, რომელიც სხვა მასალისაგან აშკარად გამოირჩევა დამუშავების მაღალი ტექნიკით, სიმეტრიულობით და განსაკუთრებით თხელი პატინით (ტაბ. V_1).

დანარჩენი მასალა შემდეგნაირად ხასიათდება:

ნუკლეუსები (5 ც.), კაჟის, ამორფულები, მრავალფუძიანები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის. ზომა უფროსის: 6 × 6 × 4 სმ; უმცროსის 3 × 4 × 3,5 სმ (ტაბ. V_{14-16}). ნამგლისპირი (1 ც.), კაჟის, ღია მოვარდისფრო, ორმხრივდამუშავებული, ოდნავ მორკალული, თხელპირიანი, მკრთალად პირდაკბილული, გლუვი, ზომა: 5,2 × 1,8 × 0,1 სმ (ტაბ. V_1) (ფენიდან); ნამგლისპირი (1 ც.), კაჟის, ხორცისფერი, ნაკლული, პირდაკბილული, ორგვერდდამუშავებული, გლუვი, პატინირებული, ზომა: 3,5 × 1,3 × 0,1 სმ (ტაბ. V_2) (ზედაპირული); ნამგლისპირი (1 ც.), კაჟის, ხორცისფერ ანატკეცზე გაფორმებული, ნაკლული, ცალპირდაკბლული, ორმხრივდამუშავებული, (ფენიდან).

საფხეკი (1 ც.) კაჟის, გაფორმებული პირველადი ანატკეცის ბოლოზე, ზომა: 4,8 × 0,4 × 0,1 სმ (ტაბ. V_5); საფხეკი გვერდის (1 ც.) კაჟის, გაფორმებული მეორადი ანატკეცის ორივე ნაპირზე, ზომა: 5 × 3 × 1,1 სმ (ტაბ. V_4).

სახვრეტი (1 ც.), კაჟის, შოკოლადისფერი, პატარა, ჩამოყალიბებული მიკროანატკეცის შვერილზე, იარაღზე მკრთალი და თანმიმდევრული რეტუში ზურგის მხრიდანაა დატანილი. ზომა: 3,2 × 0,2 × 0,1 სმ (ტაბ. V_3).

ანატკეცი (18 ც.), მეორადი, კაჟის, ბრტყელი, ფართო, თხელი ნაპირები, რომლებსაც ეტყობათ გამოყენების კვალი, პატინითა და ლაქებით დაფარული (ტაბ. V_{8-9}).

ლამელასებრ ანატკეცები (9 ც.), კაჟის, მოგრძონი, ორწიბოიანები, თხელპირიანები, რეტუშისა და გამოყენების კვალით (ტაბ. V_{6-7}).

ანატკეც-ანამტვრევები (5 ც.), კაჟის, რეტუშისა და გამოყენების კვალით სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის.

ნუკლეუსის მაგვარი ანამტვრევები (4 ც.), კაჟის, სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის.

არქაული (მუსტიეური) ანატკეცები (4 ც.), კაჟის, მასიურები, ბრტყელი, ძალზედ სქელი პატინით დაფარული, დიდი დარტყმის მოედნითა და შესაბამისი ბურცობით (ტაბ. V_{10-13}).

წარმოების ნაშთი (75 ც.), კაჟის სხვადასხვა ზომის ქერცლისებრი ანატკეც-ანამტვრევები, რომლებიც წარმოიქმნებიან იარაღების კეთების დროს.

შურდულის ქვა (3 ც.), რიყის ქვის, მრგვალი, საშუალო ზომის, მთელი, ზომა: 5 სმ დიამეტრი.

სასრეს-სანაყი (1 ც.), რიყის ქვის, ცალბოლოსამუშაოპირიანი, გახეხილ-გაპრიალებული, შუაზე გადატეხილი, მრგვალგანივკვეთიანი (ზომა: 7 × 5 × 5 სმ).

ხელცული (1 ც.), რიყის ქვის, ვიწროსამუშაოპირიანი, თხელპირიანი, ოვალურგანივკვეთიანი, გახეხილი ზომა: 7 × 4 × 2 სმ.

ხელსაფქვავები (3 ც.), რიყის ქვის, ბრტყელზედაპირიანი, ხაოიანი, დამზადებული ტუფოგენური წარმოშობის ქანზე, სხვადასხვა ზომისა და ფორმის.

გარდა ქვის მასალისა ზედაპირულად შეგროვდა შემდეგი სახის კერამიკული ნაწარმი:

კვირისტავი თიხის, გამომწვარი, ნახევრადკონუსური, პატარა, ზომა: 3,5 x 2,5 სმ (ტაბ. VI_1).

ჭურჭლის ბრტყელი და მომრგვალებული ფრაგმენტი, ორივე სიბრტყიდან ნახვრეტი, ზომა: 5,6 x 5,5 × 1,5 სმ, (ტაბ. VI_2).

ბორბლის მოდელი, თიხის გამომწვარი, ნაკლული, გამჭოლი ნახვრეტით, (დმ.- 4,5 × 4,5 სმ).

ციხურაზე აღმოჩენილი იარაღ-ხელსაწყოები მსგავსებას ავლენენ დასავლეთ საქართველოს შესაბამისი ეპოქების იარაღებთან.

დასასრულ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ზესტაფონის რ-ნის სოფ. მეორე სვირის „ციხურა“ და შემოგარენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია ნავთობსადენის ტრასის ეგრისის ექსპედიციის სამუშაო ზონაში.

ინტერესს იწვევს, ის რომ სოფ. მეორე სვირის „ციხურის“ მომიჯნავედ კიდევ ორი „ციხურა“ არის დადასტურებული. ამათგან ერთი ისევ სვირში, სვირის რკინიგზის სადგურის ჩრდილოეთით მდებარეობს. ტერასული შემაღლებიდან ასევე თხრილით გამოყოფილ ბორცვს წარმოადგენს. კულტურული ფენები და ძირითადად ანტიკური ხანის მასალები ბორცვს გარდა დადასტურებულია მიმდებარე ტერასის ვრცელ მონაკვეთზე. მეორე „ციხურა“ მდ. ჩოლაბურის ტერასიდან თხრილით გამოყოფილ ბორცვს წარმოადგენს. იგი თავის დროზე მნიშვნელოვნად დაზიანდა მიწის სამუშაოების დროს; მის ირგვლივ დიდ ფართობზე დადასტურებული იყო (ტ. ჩუბინიშვილი) ძველ (ძირითადად ანტიკურ) დასახლებათა ნაშთები. კიდევ ერთი ციხურა -„ციხიათა“ დადასტურებულია ბაღდათის რაიონის მიმართულებით სოფ. ცხენთაროში. ეს უკვე ვაკეზე მოზვინული, თხრილით განმხოლოებული ბორცვია. დაიზვერა ამ ბორცვს ირგვლივ ვაკეზე, ნავთობსადენის ტრასის მომიჯნავედ არსებული სამოსახლო. დაზიანებებს ადგილი არ ჰქონია.

სოფ. მეორე სვირის „ციხურის“ დაზვერვით ერთგვარად ახალი ინფორმაცია მივიღეთ ამ რიგის ძეგლების ქრონოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით. კერძოდ, სვირის „ციხურის“ მონაკვეთი ათვისებული ჩანს ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანიდან (მუსტიე). გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე „ციხურის“ ბორცვზე საკმაოდ ვრცელი სამოსახლო წარმოქმნილა. ამ ხანის კერამიკა დადასტურებულია თხემზეც. არქეოლოგიური მასალების მიხედვით სამოსახლო გვიანი ბრინჯაოს მომდევნო ეტაპზეც გაანაგრძობს არსებობას.

მნიშვნელოვანია, რომ ანტიკურ (ადრეანტიკურ-ელინისტურ) ხანისათვის ბორცვის თხემზე ალიზის აგურებით ნაშენი შენობებია საგულვებელი. ინტერესს იწვევს ახ.წ. პირველი საუკუნეების მასალების გამოვლენა, რაც მანამდე დადასტურებული იყო მხოლოდ პატრიკეთის ბორცვზე. ბორცვის თხემზე ამ ხანის კრამიტებია დადასტურებული. ამ დროს ერთგვარად ეხმიანება ადრებიზანტიური ხანის მასალებიც. ინტერესს იწვევს ის, რომ „ციხურის“ მეორე ბორცვზე, ისევე, როგორც მათგან დასავლეთით არსებულ ტერასულ ზოლზე, ანტიკური ხანის სამოსახლოთა ნაშთებია გამოვლენილი. ეს და კიდევ ორი „ციხურის,“ მათ ირგვლივ დაფიქსირებულ სამოსახლოთა ნაშთების ჩათვლით. არსებობა სვირის მონაკვეთში მნიშვნელოვანი მასშტაბის დასახლებათა კონცენტრაციაზე მიუთითებს, რომელთა ერთი ნაწილის გამაგრებულ ცენტრად - ციხედ. შეიძლება ვიგულისხმოთ მეორე სვირის „ციხურა“. ის და ამ რეგიონის სხვა ციხურების წარმოქმნა ფაზისის

მაგისტრალის არსებობითაც არის განპირობებული. ისინი აკონტროლებენ გზას. ამასთან, „ციხურა“, როგორც აღნიშნული იყო, დღეს გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის არეალში შემავალ უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტს წარმოადგენს.

Vakhtang Japaridze, Karlo Kalandadze, Giorgi Gvinchidze

ARCHAEOLOGICAL INVESTIGATION ON THE PIPE-LINE ROUTE, EASTERN COLCHIS.

Since autumn 1997 the Egrisi Archaeological expedition had provided pipeline route monitoring. The first controlled excavations in the village of Kvemo Sazano, Zestaphoni district, were connected with the construction of PRS-2. On contiguous territory on both banks of the river Dzusa were discovered settlement remains presumably dated Bronze Age. In the trenches were discovered archaeological cultural layers. This important monument needs further investigation.

Since July 1998 the monitoring was provided in Zestaphoni, Terjola and Bagdati districts. The most important monument on the pipeline route is "Tsikhura", village of Meore Sviri, Zestaphoni district (fig. 1). This is a fortified settlement, which was located on the hill and was surrounded by a trench. The remains of the settlement are preserved on the top of the hill and other areas. The controlling trench was connected with north part of the hill and with a section of pipeline route. In the trench the layers were mixed. Presumably in the classical period and 2nd half of 1st millenium on the top of the hill "Tsikhura", constructions made of mad bricks could have existed.

The exposition of materials dating of 1st cent. A.D. proved very important as well as they were found only on Patriketi Hill.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
0 1 2 3

ტაბ. II




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
0 1 2 3

ტაბ. IV




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
0 1 2 3
14
15
16

ტაბ. VI



რევაზ პაპუაშვილი

გულეიკარის არქეოლოგიური ძეგლები

ანტიკური ნამოსახლარი მდებარეობს აბაშის რაიონის სოფ. გულეიკარის სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ. მანძილზე, ნავთობსადენი ტრასის 796-ე კილომეტრზე.

ნამოსახლარი, რომელსაც ადგლობრივი მოსახლეობა ნაეკლესიარს უწოდებს, წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს, გამართულს სებულია (სურ. 1). ბორცვზეც და მის გარშემოც ბათქაშისა და კერამიკის ფრაგმენტები შეინიშნება.

ნავთობსადენი გაყვანილი იქნა ბორცვის ჩრდილოეთ მონაკვეთში, რის შედეგადაც გამოვლინდა არხის ნაწილი და მისი მიმდებარე კულტურული ფენები.



სურ. 1. დიხა-გუძუბას გეგმა

დაცემულ ვაკეზე. მისი დიამეტრი 50 მეტრია, ხოლო სიმაღლე 1,5 მ. ბორცვს თხრილი შემოუყვება, რომელიც ამჟამად ამოვ-

არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, მაგრამ მონიტორინგის შედეგებიც საყურადღებო აღმოჩნდა



სურ. 2

კულტურული ფენა დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 0,2 მ. სიღრმეზე. მისი სიმძლავრე 0,6 მ-ია. ჰორიზონტალური განფენილობა, აღმოსავლეთიდან-დასავლეთით, ფიქსირდება ნათვობსადენისათვის გაჭრილ თხრილში, 30 მ სიგრძეზე.

კულტურული ფენა შედგება ნახშირის, ნაცრის, სამშენებლო ბათქაშისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ნაშთებისაგან. ის მოშავო ფერისაა და დიდი რაოდენობით შეიცავს აგურისფრად გამომწვარ ბათქაშის ფრაგმენტებს.

ფენაში მოპოვებული მასალის აბსოლუტური უმრავლესობა კერამიკითაა წარმოდგენილი. გვხვდება როგორც ადგილობრივი, კოლხური, ასევე საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებიდან იმპორტირებული ნაწარმი.

გამოირჩევა: რვა ცალი სხვადასხვა დერგის პირ-ყელის ფრაგმენტები, პითოსები სადა და ორნამენტირებული პირის გვირგვინით (სურ. $2_{2,4}$), ყურმილიანი ხელადის ყურის ფრაგმენტი (სურ. 2_9), სხვადასხვა ქოთნის ყურები (სურ. 2_{7-8}), სწორი და გამოყვანილი, სასმისის ძირები (სურ. 2_{11-12}), აგრეთვე სხვადასხვა ჭურჭლის ორნამენტირებული ფრაგმენტები (სურ. 2_{5-7}).

რაც შეეხება იმპორტულ ნაწარმს, გამოირჩევა: სინოპური თიხისაგან დამზადებული ყელგამობერილი ამფორის ფრაგმენტი (სურ. 2_{10}) და კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული ლანგრის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი (სურ. 2_{13}).

არის კიდევ ერთი ფრაგმენტი ჰორიზონტალურად დაღარული ჩალისფრად გამომწვარი ჭურჭლისა, რომელიც მოგვიანო იერისაა და შესაძლოა გვიანანტიკური ხანის ნაწარმად იქნეს მიჩნეული (სურ. 2_{14}).

ლითონის ნაწარმი წარმოდგენილია ბრწყინვალე პატინით დაფარული ბრინჯაოს ჯამის ფრაგმენტით (სურ. 2_3).

აღწერილი კულტურული ფენის თავისებურებანი, მასში მოპოვებული ნახშირისა და სამშენებლო ბათქაშის ფრაგმენტები იძლევა საშუალებას, რომ აღნიშნული ფენა, რომელიც ხანძრის შედეგადაა განადგურებული, ბათქაშით შელესილი ხის ნაგებობის ნაშთად წარმოვიდგინოთ.

ძეგლის შემდგომი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გაირკვეს მისი კონსტრუქციული თავისებურებანი და დაგეგმარება.

მოპოვებული მასალის მიხედვით ძეგლი წინასწარულად თარიღდება ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით.

გარდა იმისა, რომ ამ ძეგლის სრულყოფილ საველე-არქეოლოგიურ გამოკვლევას შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ანტიკური ხანის კოლხური დასახლების, მისი დემოგრაფიული სიტუაციისა და გარე სამყაროსთან კონტაქტების თვალსაზრისით, ინტერესსა ზრდის ის გარემოებაც, რომ იგი მდებარეობს ამავე ეპოქის ცნობილ ნამარნუს ნაქალაქართან, რომელსაც 80-იან წლებში სწავლობდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით. ნამარნუს ნაქალაქარი კი, თავის მხრივ, მკვლევართა (გ. გრიგოლიას) მიერ გაიგივებულია ანტიკურ ავტორთა (ფსევდო-სკილაქს კორიანდელი) მიერ მოხსენიებულ დიდ ბარბაროსულ ქალაქთან, „საიდანაც იყო მედეა.“

გულეიკარის სამაროვანი, ქვევრსამარხები. მოპოვებული მასალის მიხედვით წინასწარ თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებით.

სამაროვანი მდებარეობს აბაშის რაიონის სოფ. გულეისკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კმ. მანძილზე, ნავთობსადენი ტრასის 794-ე კილომეტრზე.

სამაროვანი გამართულია დაცემულ ვაკეზე. ზედაპირულად არაფერი შეინიშნებოდა. ნავთობსადენისათვის არხის გაჭრის დროს გამოვლინდა მისი გარკვეული ნაწილი, კერძოდ, სამი ქვევრსამარხი

ძეგლზე მოპოვებული მასალა წარმოდგენილია ორი ქვევრის პირ-ყელისა და კორპუსის ფრაგმენტებით, მოზრდილი დერგის ძირითა და ქვის კეცის ნატეხით. შეინიშნებოდა ძვლის ნაშთებიც.

ქვევრებისა და დერგის ფრაგმენტების მიხედვით სავარაუდოდ სამი სამარხი უნდა იყოს დაზიანებული.

სამარხი № 1 წარმოდგენილია ქვის კეცის და დერგის ძირის ფრაგმენტებით (სურ. 3).



სურ. 3.

სამარხი № 2 ჩალისფერკეციანი, სქელკედლიანი ქვევრის პირ-ყელისა და კორპუსის (სურ. 4) ნატეხებითაა წარმოდგენილი. ქვევრის პირის გვირგვინზე ბადისებური ნაკაწრიც შეინიშნება.



სურ. 4.

სამარხი № 3 ჩალისფერკეციანი, სქელკედლიანი ქვევრის პირ-ყელისა და კორპუსის (სურ. 5) ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი.



სურ. 5.

სამაროვნის ინტენსივობა და გავრცელების არეალი უცნობია. მის მიმართ ინტერესს ზრდის ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ რეგიონში ხსენებული ეპოქისა და ხასიათის ძეგლის აღმოჩენის ფაქტი ცნობილი არაა.

Revaz Papuashvili

ARCHEOLOGICAL MONUMENTS OF GULEIKARI

The ancient settlement is located at I km to the south-west of the Guleikari village of Abasha district, at 796 km of the pipeline route.

The settlement was named by the local community as "naeklesiari" because of the artificial hill, located on a flat plain. Its diameter is 50 meters, height-1, 5 m. The hill is surrounded by a trench, which is filled at present (fig.1). Plaster and pottery fragments can be noticed on the hill and around it.

The pipeline was laid in the southern section of the hill; a section of a channel and its adjacent layers have been revealed as a result.

No archeological excavations have been carried out, but the monitoring outcomes proved to be interesting.

Cultural layer has been identified at 0,2 m depth from the surface. The thickens is 0,6 m. Horizontal stretching, from East to West, was identified in the pipe trench, at 30 m length.

The cultural layer contains coal, cinder, construction plaster and remains of household items. It is of black colour and contains a great number of plaster fragments, baked in a brick colour.

The absolute majority of the material obtained from the layer is represented by pottery. We come across both local, Colchian, and produce imported from Greece.

Outstanding features: 8 fragments of mouth-neck of different big jugs, pythoi with modest and decorated mouth wreath (Fig. $2_{2,4}$), handle fragment of a jug (fig. 2_9), different jar handles (fig. 2_{7-8}), straight and streamline, vessel bottoms (fig. 2_{11-12}), also decorated fragments of various vessels (fig. 2_{5-7}).

As to the imported items, the following can be distinguished: a fragment of a neck-protruded jug produced from Sinopean clay (fig. 2_{10}) and fragments of a dish bottom moulded from a well treated clay (fig. 2_{13}).

There is another fragment of a vessel baked in a parched wheat colour with horizontal grooves, which looks like it was produced later and probably can be deemed as late ancient age (fig.2_{14}).

Metal items are represented by a fragment of a bronze cup covered by excellent patina (fig.2_3).

The peculiarities of the described cultural layer, fragments of obtained coal and construction plaster enable us to consider the above layer, destroyed by fire, as a wooden edifice plastered with mortar.

Further investigation of the monument gives us the opportunity to identify its structural peculiarities and planning.

Based on the obtained material, the monument preliminarily dates from 6th-4th centuries B.C.

A detailed archeological investigation of the monument could provide us with significant data in terms of ancient Colchian settlement, its demographical situation and contacts with the outer world. The monument is located near Namarnu town remains, well-known for the same age. In the 1980s the town was subject of investigations by the archeological expedition guided by Professor T. Mikeladze. Namarnu town remains have been identified by some scientists (G. Grigolia) with a big barbarian town referred to by Pseudo-Skylax): "from where Medea came".

Guleikari cemetery, vessel-burials. Preliminarily dates from 1st-2nd centuries. A.D. based on the obtained material.

The burial place is located at 1,5 km from the village of Guleikari, Abasha district, to the South-East, at 794 km of the pipeline route.

The cemetery stretches on a flat plain. Nothing could be noticeable on the surface. A certain portion was identified when digging the pipe trench, namely, three wine vessel burial pits.

The obtained material is a fragment of two jug mouth-neck and body, a fragment of a big jug bottom.

Three burials should be presumably damaged, based on the fragments of wine vessels and the jug. The burial No I is represented by fragments of a big jug bottom (fig. 3).

Burial No 2, hey coloured stone for burning, represented by fragments of mouth-neck and body of a thick walled wine vessel (fig. 4).

Burial No 3, hey colour stone for burning, represented by fragments of mouth-neck and body of a thick walled wine vessel (fig. 5).

The thickness and extent of the site is unknown. Interest in it has grow since the discovery of the monument. Said age and type in the region is also unknown.

ვაჟა სადრაძე, რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე

არქეოლოგიური კვლევა-ძიება სუფსის ტერმინალსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. 1997-98 წწ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა და საქართველოს მილსადენის კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად მდ. აწარმოებდა კვლევა-ძიებით სამუშაოებს (სურ. 1).

პირველ ეტაპზე, უნდა დაგვეზვერა ტერმინალისათვის გამოყოფილი ტერიტორია;



სურ. 1. სუფსის ტერმინალის გეგმა.

სუფსის სიახლოვეს, ნავთობგადასატვირთი ტერმინალის სამშენებლო მოედანზე, გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია* მეორე ეტაპი გულისხმობდა 2.5 კმ სიგრძის მილსადენისათვის ნავარაუდევი მონაკვეთის შესწავლას; ხოლო დასკვნითი მესამე ეტაპი - ზღვის სანაპირო ზოლში არსებული ქვიშაზვინულების (დიუნების) მოკვლევა-გათხრებს. აქვე ხელშეკრულებაში ცა-

* ტერმინალის ტერიტორიაზე წარმოებულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ვ. სადრაძე - ექსპედიციის ხელმძღვანელი; მ. ძნელაძე - ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მთავარი მრჩეველი არქეოლოგიის დარგში; რ. დავლიანიძე, ბ. მურვანიძე, კ. კალანდაძე, ზ. კალანდაძე, კ. კახიანი, თ. ჭანიშვილი - მეცნიერ-თანამშრომლები; მ. ყარაშვილი - არქიტექტორი, მხატვარი, ტოპოგრაფი; ე. გოგუაძე - ოზურგეთის გაერთიანებული მუზეუმების დირექტორი, ი. საჯაია, მ. სურგულაძე, ს. კალანდაძე - თანამშრომლები; მოკლევადიანი მივლინებით სამუშაოებში ჩაერთვნენ გ. კვირკველია, ა. ორჯონიკიძე, გ. ინანიშვილი, ლ. ჯიბლაძე - უფრ. მეცნიერ-თანამშრომლები.

ლკე მუხლად დაფიქსირდა არქეოლოგიური მეთვალყურეობის დაწესება.

20 იანვარს დაწყებულმა სადაზვერვო სამუშაოებმა შედეგი გამოიღო. ტერმინალის ერთ-ერთი ავზისათვის განკუთვნილ მოედანზე (სურ. 1-2) აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის ნაშთი.

აიგეგმა და გასათხრელად მომზადდა შესასწავლი ნაკვეთი (ფართობი 10 × 9 მ, სურ. 1, 2)

ნამოსახლარი შედგებოდა ძლიერ გადამწვარი ბათქაშის ნატეხებისაგან (ფენის სიმძლავრე - 0,22-0,35 მ. - სურ. 3), რომელ-



სუფსა-ტერმინალი.
ნამოსახლარის ნაშთი. გეგმა

სურ. 2

ამ დროისათვის ექსპედიციის სადაზვერვო არეალში მოექცა 27 ჰა ტერიტორია, რომელიც მშენებლებს ესაჭიროებოდათ პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად.

ნასახლარი მდებარეობს ლანჩხუთის რნის სოფ. გრიგოლეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტერმინალის სამშენებლო მოედანზე, მდ. სუფსის მარცხენა მხარეს, ბათუმი-ფოთის ტრასიდან 800 მ-ში.

უმძიმეს კლიმატურ პირობებში გაიჭრა სადაზვერვო თხრილები; მათი დახმარებით მოხერხდა ზემოაღნიშნული ძეგლის – ნამოსახლარის გავრცელების არეალის დადგენა. შემდგომ მოიხსნა 0,7-0,8 მ სისქის ფენა. შიაც შეიმჩნეოდა ძვლების დანახშირებული ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. I). გამართული იყო თიხნარ ნიადაგზე, ყოველგვარი შემზადების გარეშე, ვაკობზე. ეს ფაქტი კოლხეთის დაბლობის ზემოაღნიშნული მიკრორეგიონის ადრეული ნამოსახლარების ტოპოგრაფიისათვის უნიკალური ჩანს.

სამწუხაროდ, ძეგლის ძირითადი ნაწილი „კოლხიდმშენის“ მიერ პლანტაჟისა და საირიგაციო თხრილების გაჭრის პროცესში განადგურებულა. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა დაუზიანებელი მონაკვეთის შესწავლა.



სურ. 3. ნამოსახლარის ნაშთი

ძეგლი გაითხარა 20 დღეში; აღდგა იქ აღმოჩენილი მასალა და შესწავლილი მონაკვეთი გადაეცა სამშენებლო ორგანიზაციას.

II. მეთვალყურეობის პროცესში, ტერმინალის სამშენებლო ტერიტორიაზე (ტაბ. II_1), იქ, სადაც მდ. ჩირეს ახალი კალაპოტი იჭრებოდა, აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რის გამოც დავიწყეთ ძეგლის (სამაროვნის) შესწავლა. სამაროვანი მდებარეობს მდ. ჩირეს მარჯვენა სანაპიროზე, ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 300 მ-ის დაშორებით.

დამკვეთმა მხარემ ამჯერადაც ოპერატიულად დააფინანსა ძეგლის შესწავლისათვის ჩასატარებელი სამუშაოები.

ხელშეკრულების თანახმად, „ახალი არხის“ ზონაში მოქცეული ძეგლები უნდა შეგვესწავლა 15 დღეში.

ძეგლის გათხრას ართულებდა მძიმე კლიმატური პირობები და ჭაობი (გრუნტის წყლები 1,5-1,6 მ-ზე ამოდიოდა).

წინასწარულად უნდა აღინიშოს, რომ აქ დადასტურებული ანტიკური ხანის მასალების შემცველი სამაროვნის ნაშთი, საირიგაციო სისტემის გაჭრის პროცესშია დაზიანებული.

თხრილში (10 × 7 მ), რომელიც მშენებლებმა არხის კალაპოტის გაჭრისას ამოიღეს, თანდათან დავღრმავდით. თანამედროვე დონიდან 0,85 მ ქვემოთ, თიხის ჭურჭლის ნატეხებისაგან შედგენილი ყრილი აღმოჩნდა (სურ. 4). თიხის ჭურჭლის ნატეხებისაგან წარმოდგენილი ყრილის ქვეშ და მის დონეზე, თავი იჩინა წინარე და ადრეანტიკური (ძვ.წ. VI-IV სს) ხანის თიხის ჭურჭელმა (ტაბ. II), ნახშირისა და ძვლის ფრაგმენტებმა.



სურ. 4. სამაროვანი, ყრილი.



სურ. 5

ზემოაღნიშნული ძეგლის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების მიზნით, მოვზომეთ ნაკვეთი (20 × 20 მ, სულ 400 მ^2); მოვხსენით 0,75-0,85 მ სისქის ფენა (ჰუმუსი - 0,30-0,35 მ; თიხნარი 0,45-0,50 მ), ავგეგმეთ და გასათხრელად მოვამზადეთ ნაკვეთი (სურ. 5).

ზემოღნიშნული ნაკვეთის მე-6 და მე-7 კვადრატებში აღმოჩნდა ხის ძელების ნაშთი, რომლის ფუნქციონალური დანიშნულება ვერ დავადგინეთ. გასათხრელი ნაკვეთის მთელ ტერიტორიაზე გამოჩნდა ძლიერ დაზიანებული ფენა, რომელიც შეიცავდა ადგილობრივი და იმპორტული თიხის ჭურჭლის ნატეხებს.

სამაროვანზე, ვარაუდით, მიცვალებულთა დაკრძალვამდე, მომზადებულა მოედანი, დაუკრძალავთ მიცვალებულები (ურნებში?), შესრულებულა რიტუალი (აქა-იქ შეიმჩნეოდა კრემაციის ნიშნები, ცეცხლის კვალი, ნახშირის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები).

დაზიანებული და მთელი თიხის ჭურჭელი მცირე ბუდობებად იყო წარმოდგენილი; არაა გამოსარიცხი, რომ იქ კოლექტიურ დაკრძალვასთან გვქონდეს საქმე.

სამაროვნის იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ, თიხის ჭურჭლის გარდა (ისიც მეტად დაზიანებულია), მხოლოდ ქვის ერთი მძივი აღმოჩნდა.

ვფიქრობთ, სამარხები ადრევეა გაძარცული; წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მასალისაგან დამზადებული ინვენტარის (საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული...) არ არსებობა რამდენადმე უცნაური და აუხსნელი ჩანს.

სამარხთა მოკლე აღწერა:

სამარხი 1 (ტაბ. III$_1$). 7.03.97, ნაკვ. VII, კვ. 6,9; ნაკვ. VIII, კვ. 4,7; ზომები - 1,5 × 1 მ. აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,3 მ სიღრმეზე; გაჭრილი იყო ქვიშნარში. სამარხში მიცვალებულის(?) ძვლის დამწვარი(?) ფრაგმენტები, თიხის ჭურჭელი და დამუშავებული ქვა დადასტურდა (ტაბ. III$_{2-8}$).



სურ. 6. სამაროვანი, სამარხი № 4

სამარხი 2 (ტაბ. III_9). 7.03.97; ნაკვ. VI, კვ. 7; ნაკვ. XI, კვ. 1; (1,0 × 0,5 მ), ქვიშაში გაუჭრიათ, იატაკის დონეზე ძვლის ნატეხები დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი და ქვის მძივი (ტაბ. III_{10-13})

სამარხი 3 (ტაბ. III_{14}). 9.03.97; ნაკვ. VIII, კვ. 7,8; ნაკვ. XI, კვ. 2 (2,1 × 0,9 მ), აღმოჩნდა მიწის თანამედროვე დონიდან 1,2 მ სიღრმეზე. სამარხი ქვიშნარში იყო გაჭრილი (შიდა მასა უძრავი, დაუზიანებელი ქვიშისაგან შემადგენლობით განსხვავდებოდა). მიცვალებულის ძვლები არ დადასტურებულა. სამარხში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი (ტაბ. III_{15-18}).

სამარხი 4 (სურ. 6, ტაბ. III_{19}). 09.03.97; ნაკვ. XII, კვ. 2 (1,2 × 1,5 მ); ქვიშნარში გაუჭრიათ, ცენტრში ძვლის ნატეხები და დამწვარი ნახშირის ფენა დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი (ტაბ. III_{20-27}).

სამარხი 5 (ტაბ. IV_{1-2}). 05.03.7; ნაკვ. IX, კვ. 9; ნაკვ. XII, კვ. 3; ზომები: 1,6 × 1,1 მ. აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,3 მ სიღრმეზე. სამარხში მიცვალებული არ დადასტურდა. აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი.

სამარხი 6 (ტაბ. IV_3). 08.03.97; ნაკვ. IX, კვ. 6,9; (ზომები 1,0 × 1,8 მ). აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,3 მ სიღრმეზე; სამარხი ქვიშნარში იყო გაჭრილი. მიცვალებული არ დადასტურებულა. აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი (ტაბ. IV_{4-8}).

წინასწარულად უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინალის ტერიტორიაზე შესწავლილი სამაროვნის ეს ნაწილი (იმპორტული და კოლხური თიხის ნაწარმის მიხედვით) ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება. მისგან განსხვავებით, იქ წარმოდგენილი ყრილი (სინოპური კრამიტის ნატეხი, ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი: ამფორისკები, ჯამები და სხვ.) - ძვ.წ. IV-II სს-ს განეკუთვნება.



სურ. 7. სოფ. გრიგოლეთი, ზღვის სანაპირო ზოლი.

ტერმინალის ტერიტორიაზე გათხრილი ნამოსახლარი, იქ წარმოდგენილი იმპორტული თიხის ჭურჭლის მიხედვით (შავლაკიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები) ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

III. 1997 წლის 23 ოქტომბერს დავიწყეთ ზღვის სანაპირო ზოლის შესწავლა.

გაიჭრა სადაზვერვო თხრილები (სიგრძე 75-50 მ, სიგანე - 1 მ, სიღრმე - 1-1,5 მ, სურ. 7, ტაბ. IV_9). ძეგლი დიუნის (ქვიშა-ზვინულის) მიმდებარე ტერიტორიაზე დადასტურდა.

პანიის წარმომადგენლებს. გათხრის პროცესში გამოვლენილი თიხის ნაწარმი ავალაგეთ და კამერალურად დავამუშავეთ (ტაბ. IV_{10-16}).

წინასწარულად ნამოსახლარს თიხის ჭურჭელი წინაანტიკური ხანით ათარიღებს.

IV. 1998 წელს სამუშაოები გაგრძელდა ზღვის სანაპირო ზოლში-დიუნაზე (სურ. 8-9). იქ არსებული კულტურული ფენები ძლიერ იყო დაზიანებული. დიუნაზე დადასტურდა ნამოსახლარის „სახელოსნოს“ ნაშთი, რომელიც წარმოდგენილი იყო ამ



სურ. 8. სოფ. გრიგოლეთი, დიუნური ნამოსახლარის გათხრები

ძეგლის გავრცელების არეალის დასადგენად, თ. ჭყონიას ეზოში, ქვიშაზვინულზე, გაიჭრა სამი სადაზვერვო თხრილი (30 × 19 × 0,45-0,65 მ) დავადასტურეთ ძეგლის გავრცელების არეალი (20-22 მ) და ქვიშაზვინულების მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად გადავეცით საქართველოს მილსადენის კომ-

ტიპის ძეგლებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლისა და სადგრების ფრაგმენტებით. ასევე ვერტიკალურად ჩალაგებული თიხის აბაზანის ნატეხებით, რომელიც შემოუყვებოდა წაგრძელებული ოვალური ფორმის გადამწვარ ფენას. არაა გამოსარიცხი იქ სახელდახელო ქურის (?) არსებობა (სურ. 10) თიხის ჭურჭელი ანალო-



სურ. 9. სოფ. გრიგოლეთი, ნამოსახლარის ნაშთი.

გიურია გ. ჭყონიას ეზოში დადასტურებული კერამიკული ნაწარმის (ტაბ. IV_{10-16}).

ნაკვეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში იქნა შესწავლილი და გადაეცა დამკვეთს.

ზემოაღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდგომ, 1999 წლის თებერვლის ჩათვლით გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ინტერვალებით გააგრძელა სამეთვალყურეო საქმიანობა.

სამუშაოები მიმდინარებდა ორ ეტაპად. პირველი გულისხმობდა სოფ. ჯაპანიდან, მდ. სუფსამდე 33 მეტრიანი სიგანის ზედაპირის (მოედნის) მოსწორებას, ხოლო მეორე ეტაპზე სამუშაო მოედნის გაყოლებით მილისათვის თხრილის გაჭრას.

პირველ ეტაპზე, მეთვალყურეობისა და დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა ნამოსახლარისა და სამაროვნის ნაშთები, სულ 10 ძეგლი: ნიგოითი, შუხუთი, ჭოლიპა, ჩიბათი, ლესა, ნიგვზიანი, ახალსოფელი, სუფსა-ტაბანატი, ხიდმაღალა (ჩამოთვლილი ძეგლების შესახებ იხ. დანართი).

მეორე ეტაპზე ჩატარებული სადაზვერვო და სამეთვალყურეო სამუშაოების პროცესში, ძეგლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მივიღეთ. თხრილის გაჭრისას დაზიანდა წინარეანტიკური ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს.) ნიგოითის სამაროვანი და ნამოსახლარი. ძეგლი მდ. ფიჩორის მარცხენა ნაპირზე მილსადენის მე-800 კმ-თან მშენებლების მიერ გაჭრილ თხრილში დადასტურდა.

ნამოსახლარი ორმოსამარხებს აქვს დაზიანებული. დაახლოებით 0,8 მ სისქისა და 3-4 მ სიგანის სათავსოები გვიან გამართულ სამარხებს (1,70x1,80 მ) დაუზიანებიათ. დაზიანებულ ფენასა და სამარხებში ძირითადად შავად და ყავისფრად გამომწვარი, თი-



სურ. 10. სოფ. გრიგოლეთი, დიუნური ნამოსახლარის ნაშთი პრეპარაციის შემდეგ



სურ. 11. ნიგოითი, დაზიანებული სამარხის ნაშთი

ხის ჭურჭლის ფრაგმენტები დადასტურდა (სურ. 11; დამატებით იხ. დანართი ნიგოითი და იქ მოპოვებული მასალის საკატალოგო აღწერილობა).

ზემოაღნიშნული სამუშაოების დამთავრების შედეგად დასრულდა ჯაპანა-სუფსის მონაკვეთზე გამავალი მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე სამეთვალყურეო სამუშაოები.

ვიძლევით ზემოაღნიშნული ძეგლის მოკლე აღწერილობა-დახასიათებას.

ნიგოითის სამაროვანი და ნამოსახლარი (ძვ.წ. VIII-VII სს.), მდ. ფიჩორის მარცხენა ნაპირზეა გამართული. მილისათვის გაჭრილი თხრილში, რომლის სიმაღლე 1,7 მ-ია, 90-95 მ სიგრძეზე გამოვლინდა კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა ნამოსახლარის ნაშთსა და დაზიანებულ სამარხებს. ფენის სიმძლავრე 0,8-1 მ-ია.

ნამოსახლარი ფენა ადრევე, სამარხების გამართვის პროცესშია დაზიანებული. სტრატიგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ნამოსახლარი, სამაროვანზე ადრეული ჩანს. კულტურულ ფენაში და რამდენიმე დაზიანებული სამარხის ტერიტორიაზე შავად და ყავისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები დადასტურდა. მასალა ფრაგმენტულია და აღსადგენი, ამიტომ ტიპოლოგიური დალაგება ვერ ხერხდება. ნატეხების მიხედვით მაინც გამოიყო მცირე და დიდი ზომის სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭელი. კერამიკის ზედაპირი შემკულია ნაჭდევი და ნაღარი სახეებით, კანელურებით, ზოომორფული ყურით (ტაბ. V_{1-12}).

დანართი

ჯაპანა - სუფსა - ტერმინალის ტრასაზე მეთვალყურეობისა და დაზვერვების შედეგად მოპოვებული მატერიალის ნაშთების ჩამონათვალი:

ჭყონაგორა. KP 798-799

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ნიგოითი. KP 801-802

ამფორის ყელ-გვერდის ნატეხი, კერამიკის ფრაგმენტები

შუხუთი. KP 803-805

კერამიკის ფრაგმენტები, კაჟის ანატკეცი.

ლანჩხუთი-ჭოლიპა. KP 806-808

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ჩიბათი-გვიმბალური. KP 810-813

დერგის ყელ-გვერდის ნატეხი, ამფორის ყური, რკინის წიდა.

ლესა. KP 814-816

ალიზის ფრაგმენტი, კერამიკის ფრაგმენტები.

ნიგვზიანი. KP 818-821

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ახალსოფელი. KP 822-825

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი.

სუფსა-ტაბანატი. KP 826-827

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ხიდმაღალა. KP 829-832

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები

V. Sadradze, R. Davlianidze, B. Murvanidze

ARCHAEOLOGICAL INVESTIGATION OF SUPSA TERMINAL AND ADJASENT AREA

Remnants of a settlement containing materials dating from the Early Classical period were identified on the area allocated for one of the tanks on the terminal site during the surveys.

The settlement contained burnt adobe fragments (length-12, width-9; layer thickness-0.25-0.35 m, Plate II, fig. 1,2) with coal pieces and fragments of pottery.

The settlement had been constructed on silty clay soil without a specially arranged foundation, which is a unique feature for early settlements of this micro-region on Kolkheti Plain.

Unfortunately, the basic part of the monument had been destroyed during the construction of irrigation canals and planting. However, archaeologists managed to excavate the undamaged section, i.e. a part of the floor (2.4 × 1.3 m).

Remnants of a burial mound with materials dating from the Classical period were found during monitoring excavation of "a new canal".

After the feature had been cleaned and surveyed, a mound of pottery fragments was exposed. (Plate III, fig. 1.).

Six severely damaged graves were excavated in this section of the burial mound. A burial hearse-square must have been prepared for the dead and burial ritual had been performed (the square and pottery fragments had traces of fire. In addition, burnt bones and coal pieces were found).

The tombs must have been plundered and damaged in the past; otherwise the complete absence of tools and utensils, except for a stone necklace and piece of some unidentified iron item, seems quite strange and cannot be accounted for.

The studied part of the Supsa burial mound is preliminarily dated by 6th-4th cenruries B.C. on the basis of the imported and local Colchic pottery found in the course of the archaeological excavation.

The settlement can be dated to the first half of 5th cent. B.C. on the basis of the imported materials collected on the settlement area (fragments of black- and brown-glazed pottery).

Archaeological survey works were undertaken along the Supsa Terminal – Landfall pipeline section. Clay items characteristic to the dune settlements were revealed in a trial trench at the Batumi-Poti road crossing. Unfortunately, the feature had been destroyed during the road construction. The settlement is dated by 7th-9th centuries B.C. on the basis of the Colchic ceramics (zoo-morphological handle of the clay vessel, etc.) found on the site.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
0 3
15
16
17
18
19
0 3
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
0 3
0 3
36

ტაბ. II




სამარხი № 1
0 50 sm
1
2
3
4
5
6
7
8
სამარხი № 2
0 50 sm
9
10
11
12
13
სამარხი № 3
0 50 sm
14
15
16
17
18
სამარხი № 4
0 50 sm
19
20
21
22
23
24
25
26
27

ტაბ. IV















1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12

აიწყო და დაკაბადონდა
არქეოლოგიური კვლევის ცენტრში

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 225



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
თბილისი 380002
დიმიტრი უზნაძის ქ. № 14

